

# კრიტიკა

1134  
2019

N 8

ფასი 2 ლარი



2019 / ბაკალავრი

ელფრედ გარე

იუბილ მეფე



?? ? ? ?

პროზა	1	ცოტნე ავსაჯანიშვილი   ნათიას ოქროები
	9	ბესო პაპასქუა   მესაფლავე
	17	ოლესია თავაძე   ორი მოთხოვნა
	21	ნინო მოზესი   ვალი
პოეზია	31	ელენე კვირკველია
თარგმანი	35	ალფრედ ჟარის სიტყვა   წარმოთქმული „იუბიუ მეფის“ პრემიერაზე ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ
	38	ალფრედ ჟარი   იუბიუ მეფე ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ
კრიტიკა	47	ქეთევან კოკოზაშვილი   სარკმლიდან დანახული
პორტრეტი	51	რობერტ მესენჯერი   „უბადრუკი ფარისეველი“ ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

## პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები  
მალხაზ ხარბეგია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბეგია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,  
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,  
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალლაფერიძე,  
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,  
ირაკლი სამსონაძე, გულაუნდა სიხარულიძე,  
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,  
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიმბოლი

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამიზე დამდგარი  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ეპითული ლიტერატურის  
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: მარია მარია მარია

ვებგვერდი: მარია მარია

გამოდის 1993 წლიდან


© ჟურნალი გამოვევნებული მასალების გამოყენება  
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის  
საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტროს  
ფინანსური მხარდაჭერით



ცოტნე ავსაჭანიშვილი

# ნათიას ოქროები



თბილისიდან თუ მოიდიხარ, ჯერ ბაკურციხეი უნ გამოიცდე, ვეჯინ ჩამოუარო და გული არ უნ დეგენერები იმი გულითვინ, რო ვეჯინი ციხესიმაგრეი ვერ დაინახამ. იმიტო, რო ვეჯინი ლავრიდან, ჯამატაან აღმართამდე მარტო ტრასაა და ჰა-ჰა-ჰა-ჰა რა მოიკრა თვალი, რო ე ტრასა ტყუილი ტრასა კი არალი, სინამდვილეში ივანე ბერიტაშვილი სახელმძიმე ქუჩაა. ეგე ჯამატაან აღმართ რო აიცდები, მანდ არი სოფელი ძირკოვი, ოლონდ იგეთი პატარაა რო, სოფელ რათ ეძახიან ვერ მესმის. ძირკოვი გავლაი, ერთი წუთი ან უნდა და ან არა. ძირკოვი მემრე მოდის ჭანდარი. მაგან თუ გაიცდები, მემრე გურჯაანია, მარა ჭანდარ რათ უნ გავცდე ბჯო, ჭანდარ თუ გავცდი მემრე რალა მოგიყვეე? რაც უნ მოგიყვეე, ჭანდარში მოხდა ეგა. ეგე პატი ხუთმეტი წლინინ. მე მაშინ პატრაბიჭი ვიყავ, მარა ყველაფერი მახსომეს, იმიტო რო ჭანდარში ცირკი არ ჩამოდიოდა და არც პრეზიდენტობი კანდიდატი. თუ რამე უნ დეგეხსომებინა იქა, ეგ იყო ქელები. ქელები იყო პრაზინი ჭანდარში. არა, არა... კი არ გვიხაროდა ვინმე რო კვდებოდა, მარა ეგრე ხდებოდა რა. წარმაიდგინე ეგე... დედამოუტყან გაგანია აგვისტოა, ინვება მთელი გურჯაანი რაიონი და იგეთი რა უნ მოხდეო ჭანდარში კაცმა რო თქვაი, ეგე დედამოუა, ე რა მამხდარაო. ჰოდა ვიღაცა რო წეექცე-

ვათ ხოლმე, ხალხ გული კი ენვება მარა, თან იძახიან - ეგე დედამოუა ე რა მამხდარაო და მემრე ერთი კვირა სუ შაგაზე ლაპარაკობენ და თითონ კი არ იციან, მარა მე ვიცი ერთობიან რაღაცნაირათ.

ჰოდა მე რო პატრაბიჭი ვიყავ, მაშინ წეექცათ ნათო ბაბო. ჯერ ის იყო მაგარი, სამოცდეუთმეტი წლი ქალ ნათია რო ერქვა. აექ ნათია მარტო ორმოცი წლი ქალებსა ქვიათ. ბებერ, ან ნაზო უნ ერქვაი, ან ქეთო, ან კიდენა ნათელა. მარა ისიც სათქმელია, რო ე ნათია არ იყო პრასტო ბებერი. სხვა ბებერებ არც ებირჟავებოდაკე-კოფეი სუ ახალგაზრდებში სვავდა და იმათთან იყო კარქა. თან იგრე დაიზლაზნებოდა, ერთი არ წამოიტკივდებოდა არც წელი და არცა. გეგონება უკვდავიაო ი შობელძალი, ხან კაკლი ხესა ბლერტამდა, ხან ცულ უხათქუნებდა შემაი. ჰოდა, ერთხელაც რო გამააცხადა მაგი რძალმა ნათო წეგვექცაო, არავის არ ეჯერა სანამ თავი თვალით არ დაინახე პოლზეგაფშეკილი. წუნკალაან არსენა იძახდა - ბჯო, ამოდენა ბებერებ ზოგ წელკავი აქ, ზოგ სარკომაო, ისინი არა კვდებიან და ე ყოჩალ ქალ როგო დაიკრა წნევამ, ე რატოიგეთი მურტალი რამეა ბედიო. ჰოდა ეგრე იყო და ეგრეე... წეექცაკე ე უბედური ქალი და დაინტეი რძალ-მულმა ხრიალი... - იი, სად მიხვალ დედიო, რათ მოიკვდი დააო ტინც დაგნეულა იმაი ამო-

სუნცდელი სუკველაფერიო და ახში ამ ტირილ ლამის დედისპროჭი ლანძღვა მააყოლეო. მაგრე კი იჭაჭე- ბოდნენ, გეგონება უნ ჩაიყვნენ შიგა იგრე დარღო- ბენო, მარა გულში ორივე იძახდა - რა კარქია რო მოკვდათ, იმიტო, რო სანამ ცოცხალი იყო ე ქალი, ლამის არ თავში ჩაინიკ ჩაახლიდნენ ხოლმე, იგრე ეჩხუბებოდნენ. ვერ უგებდნენ და იმიტო. მული იმაი ვერ ინელებდა, ხათოთ ახალგაზრდობაში პროჭი შა- რაზე რო ქონდა გაყოფილი და რძალი კიდე ძან გამოუსვლელი პატრაგოგო იყო საიმისოთ, რო ეგე- თი კუუტო დედამთილი ეეტანა. ჰოდა ხან ჩანგალ ესვრიდნენ ერთმანეთ, ხან ქვაბ. მოდი ისიც სათ- ქმელია, რო ერთხელ ნათოთ ბიჭმა როსტომამ, ე თავი ცოლ შუბა უყიდა და რო მაიკითხეო რითი უყი- დეო, თურმე ნათოთ გაზდილი ძროხა გაუყიდნია და ოჯახ ლუკმაპური გამაარიდა ცოლი შუბი გულით- ვინ. შვილზე გაბრაზებლმა ნათომ, ბიჭ რო ვერა- ფერი გაუბედა ადგა და ე რძალი ცემა კაკლისა- ბერტყი ჯოხით. ეგეც გულში ედო რძალ და მაგა- საც იფიქრებდა კუბოში ჩანოლილი დედამთილი წინ... - ეგეო, რო მცემდიო, ვერა წევხარ ეხლა კუ- ბოშიო?!

მაშინ პატრაბიჭე ვიყავ, მარა მეც წავყე ბაბორ  
ჩემ სამძიმარზე. ბებრებიდან მარტო ბაბოჩემი მი-  
კიდა და ნონიაშვილი ზაირა. სხვა ბებრები უმდრა-  
ხათ იყვნენ ნათოითან, იმიტო რო ახალგაზრდობა-  
ში ყველაი ქმართან უგორავნია ნათოი აფრახებუ-  
ლი კატასავით. ჰოდა მიველით და ე ზაირა იძახდა,  
როგორი კარქი ქალი იყოო, როგორი პატიოსანიო  
და რამდენჯერაც პატიოსან იტყოდა, იმდენჯერ  
ყველაი ხარხარი უვარდებოდა ამოდენა სატირალ-  
ში. იგრე მარტო მე კიარა, სუყველანი იქ ვიყავით  
პატრაბიჭები. იმიტო, რო საპოვროში ხაშლამათ რო  
აკეთებდნენ, ძირში რაც დარჩებოდა მემრე ჩვენ  
გვაცეცხლებდნენ ხოლმე. მაგიტოც იყო, ბალლებ  
რო სუ გვიხაროდა ხოლმე, ვინმე ბებრი რო მოკ-  
ვდებოდა.

სამცღლოვიარო მუსიკაი მაგნიტაფონში უკრამდნენ. მერძე რო გამორთეი, სიბაძვილი სიმოხა ამოიდა. მოიდა ერთი წუთი მაგნიტაფონი და კასეტა მათხოვეკე, ეხლავე ჩამოიტანო. ერთი კი გაიღიქრეი - ამაი რა შავ ქვათ უნდა ე დუხავონ მუსიკაო, მარა უარ როგორ ეტყოდნენ და გაატანეი. იმ ცეტმა კიდენა, წაიღო ე მაგნიტაფონი სახში და ცოლ-შვილ ჩაურთო. ცოლი ცოცხით გამოუდგა, შენ კი მოგხვდეთ ცხელი ტყვიო, ე რეებ მასმენინეფო. ამა კი-დე, შენ იგეთ წუნკი ხარ, რო მოგვყვდები არ ჩამირთავ და რომც ჩამირთო რა ჭირათ მინდა, მე მაინც ველარ მოუსმენო. ჰოდა ეგე ეხლა ჩავრთამ - თან მუსიკათ ჩემეთვლება და თან მეც გავიგეფო.

გასვენები დღეი, მაგრა ცხელოდა. იგრე დააჭირა, პაპაჩემ რო თოხმოცდარვანელ სოხუმიდან პალმები ქონდა ჩამოტანილი, იმ ერთ დღეში გაყვითლდა. ნათო ვისაც უნ ენრიკა, ყველა დედისპროჭილანძლებოდა. ყველა იმაი გაიძახოდა - რაღა აგვისტოში მოუნდა სიკვდილი ამ ჩემი გადანგრუულ, სექტემბერში მამკვდარიყოო. დაავლეო ხელი და ნელ-ნელა წააყანებლეო ახალ სასაფლაოზე. ახალ სასაფლაო ეძახიან კოტეხი სასაფლაოი, თორე რაღა ახალი, ოცდაათი წელია რაც ეგემანდ ხალხ ასაფ-

ლავებენ. პაპანაქება სიცხეში წინ ნათია ბაბო მიქონდათ, უკან მაგი ახალგაზდა დაქალები მიჩანახალებდნენ. სუყველა ტიროდა. ქალები ცრემლიან პლატოკბა წურამდენ, კაცები კი ოფლიანებ. მემრე იმოტოლა ცრემლი და ოფლი აირია ერთმანეთში, ვიღდაცებმა თქვეი, ამ გვალვაში წყალი მაინც არ მოდის და მოიდა ბაჩონები გამოიტანოთ, ე ოფლი და ცრემლი ჩავასხათ და მემრე ტრუსიკებ მაინც დავრეცხამთ. ამოტოლა ხალხი მიდობდა საფლავზე... რო გეკითხნა, ყველაი ჭკუა მეეკითხებოდა, არადა კუბოი თავი დარჩათ სახში და ჩვენ დავაწიეთ პატრაბიჭებმა. კიდევკათ ჩავასწარით შარამდე თორე, მემრე ი მკედარ ნათო მანქანაზე დაუდებდნენ და უსახურაოთ დაასაფლავებდნენ.

ძალიანაც კი უზღდოდა ნათორი რძალ, რო დედამ-  
თილის დიდალი ოქრო ანდერძათ მიეღო, მარა  
მკვდარ ნათიათ თადარიგი დაუჭერნია და დაუწერ-  
ნია - მთელი ჩემი ოქროები საფლავში ჩამაყოლე-  
თო. არადა იმოტონა ოქრო ქონდა როო... აბა ნარ-  
მაიდგინე, რაც კი საყვარლები ყავდა, ყველა ოქრო-  
ებსა ჩუქნიდნენ. მაგაი კიდე მთელი სოფელი საყ-  
ვარლათ ერგებოდა. ძოკლეთ, აიღეო ნათო თავი ოქ-  
როებიანათ და კოტეხი სასაფლაოზე დათესევი.

\* \* \*

ყველას უყვარდა ნათია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ყავისფერი მოქასინები ეცვა. საოცრად ამ-შვენებდა გოგონას ყავისფერი მოქასინები და კლა-სიკური ფართხუნა შარგალი. ეს მოქასინები პოლო-ნელმა სპეცულანტმა აჩუქა. ფულს ცოცხალი თა-ვით არ ართმევდა. უბრალოდ ხანდახან დამენახვე ხოლმე - სოხოვდა. ტიტველი ნუ დამენახვები, ეგ მოქასინები ჩაიცვი და ეგეც მეყოფაო - გადარეული ჰყავდა სპეცულანტი ნათიას მშვენიერებას. ნათია უწნაური ქალი იყო. სოფელში არცერთი ქალი არ იყო მასავით მაღალი. არავის ჰქონდა მასავით სრულ-ყოფილი თეძოები. გრძელი, ყვავივით შავი თმა... არავის შეეძლო თვალების ისე ტრიალი, როგორც ბოზ ნათიას, მაშინ, როცა ვინმე მის სექსზე დაყო-ლიებას ცდილობდა. თვალების შეშინებული ცეცე-ბით, ნათია სირცევილს და უმანქოებას იგონებდა. ასე უფრო აცხოველებდა ბალნიან სოფლელ მამ-რებს. სინამდვილეში ნათია სულაც არ იყო მეძავი. უბრალოდ ძალიან უყვარდა ალერსი და არასდროს ამბობდა მასზე უარს. ჩვეულებრივ ქალებს არ ეს-მოდათ მისი, რადგან მათ ალერსის გარეშეც შეეძ-ლოთ ცხოვრება. ისინი არც იმსახურებდნენ ალერსა, რადგან გაცილებით უშნოები იყვნენ, ვიდრე ნათია. ნათიას ტუჩები პომადის გარეშეც საოცრად ლამა-ზი და მუქი იყო, მაგრამ მას მაინც ყოველთვის ესვა პომადა, რადგან სოფლელ მამრებს უცხო ხოლად ეჩ-ვენებოდათ კრასკასთან კოცხაობა და ასე უფრო იღგზნებოდნენ. კაცმა რომ თქვას, ნათიას სულ ხუ-თი საყვარელი ჰყავდა და სხვადასხვა დროს ხუთ კაცთან სექსი, ისედაც არ არის წყალნაღებული კურ-ტიზანობა. მას ფულიც არასოდეს აულია საყვარ-ლებისგან. აბა ფულს თუ არ იღებ, ბოზი როგორლა ხარ?!... ხანდახან ოქროებს სჩუქნიდნენ ხოლმე. დი-დად მაგასაც არ ითხოვდა. უბრალოდ იცოდნენ, რომ უყვარდა ოქროს ზიზილ-პიპილები და უსწორებ-

დნენ. იმიტომ, რომ ცოლებს ერჩიათ.

მისი მულიც შურიანი დედაკაცი იყო და რაღაც ცეკვებს წამოაძახებდა ხოლმე. არადა ნათია ქმრის სიცოცხლეში სხვებთან არ წვებოდა. ოცდაერთი წლისა იყო ქმარი რომ მოუკვდა. მეველე იყო კოლექტივში და ტრაქტორით დაეჯახა ვიღაცა ბრუციანი. ნათიას ალერსი უყვარდა და ქმარი აღარ ჰყავდა. შვილი კი ჰყავდა, მაგრამ დიდად ვერ კაიფობდა მაგის მოვლით. მერე ჭანდარში თბილისიდან სამოცდახუთი წლის ფრანგულის მასნავლებელი, ვასილ ხოტივარი ჩამოვიდა და იმან მიუალერსა ნათიას. ერთხელ მიუალერსა და ჭუა დაეკეტა მასზე. მას შემდეგ, ყოველდღე უნდებოდა მიალერსება. დღითი დღე უფრო და უფრო ძლიერად. გოგონაც არ იდგა უარზე. სხვა გასართობი მაინც არ ჰქონდა. მასზე გაცილებით უძროს გოგოსთან გადახლართვა ძალიანაც ესირცხვილებოდა მასნავლებელს, მაგრამ სადაც არსებობს ნამდვილი ლტოლვა, იქ სირცხვილი და რაღაც ცეკვი ვეღარ არიან ძლიერი ბარიერები. მინავლებულნი ყრიან და ხანდახან, ორგაზმის მერე იჩენენ თავს, ისიც რამოდენიმე წესით.

თვეობით მასნავლებელთან ცხოვრობდა ნათია და სოფელიც ჭორაობდა. ნათია მოწყურებულ ალერსს იღებდა. ბებერი მასნავლებელი კი, წლების წინ გამოგლოვალ ახალგაზრდულ სიყვარულს. მაგ ამბების გამო, მასნავლებელი სკოლიდან დაითრინეს კომუნისტებმა. ფეხებზე ეკიდა. თბილისში მაინც აღარ ბრუნდებოდა. იჯდა სოფელში და გოგებანართმეული ეალერსებოდა ნათიას. ფრანგულის მასნავლებელი იყო, მაგრამ იტალიურ ენას ეტროდა ვასილ ხოტივარი მას შემდეგ, რაც სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად ვერბანიაში იბრძოლა მუსოლინის წინააღმდეგ. ამიტომაც დაარქვა მშვენიერ ნათიას იტალიური მეტსახელი - ლა ბამბოლა - ანუ თოჯინა. ბამბოლამ აჩქა სიცოცხლის ათი წელი ხოტივარს და მერე მანვე წაართვა მთელი სიცოცხლე. ნათიას არ შეეძლო ვინმეს შეყვარება. ნათიას აქტი უყვარდა. ნათიას არ შეეძლო ერთგულება და არც სენტიმენტალურ დამოკიდებულებებს შეეძლოთ მისი გაავება. პირველივე ახალგაზრდა პაკლონიკმა გადაიბირა მასნავლებლისგან თავმობეზრებული ნათია. მას ახსოვდა ქმარი და იცოდა, რომ ახალგაზრდული ალერსი გაცილებით დიდებული რამ იყო, ვიდრე ხოტივარის ობივარი. პირველივე სისხლსავსე მთხოვნელთან იკოტრიალა ნათიამ. უსიტყვოდ მიატოვა ფრანგულის მასნავლებელი. გამნარებულმა და შერცხვენილმა მოხუცმა, დიდხანს ვეღარ გაუძლო ნათიას კოცნის გარეშე დაინიების უძედურებას და ტყვია დაიხალა. მაგის მერე იმასაც ამბობდენ სოფელში, ნათიაო ცოდვიანიაო და თარსიო.

\* \* \*

პოლ, ეგე კაკრაზ ეხლა გამახსენდა. არა სუ მახსომდა მარა, ეხლა უფრო კარგა გამახსენდა. ჩემ ბალლობაში კევი იყო და მაგრე ერქვა. ბაბოლი. მე მგონი ეხლაც არი. რავი მე კევ აღარა ვლეჭამ და შვილ რო გავაკეთევ, მემრე გავიგეფ. თუ მოიდა და მითხა - მამი ბაბოლი მიყიდეო. თუ მეტყვის მიყი-

დეო, ზნაჩიტ გავიგეფ კიდე გამოდის ეგეის კავი. უყიდი თუ არ უყიდი, ეგეის უკვე ჩემი საქმეა. ბალლი არ უნ გაატუტუცო თორე მერე მოა და მაიტა მამი მაშინა მიყიდეო გეტყვის. არა ეხლა ძან გავიჭერ მომავლი ამბებში, მარა აი ჩემ დროი ნაღდათ იყო ბაბოლი და სუ გვიკვირდა ხოლმე, ე ქალ ნათოი, ბაბოლაი რათ ეძახდნენ. ბჯო, გამოვიდოდა ე ნათია შარაზე და ებებრები მაშინვე მაგაი გაიძახოდნენ - ბაბოლა მოდის, ბაბოლა მოდისო. მერე ბაბოჩემ შევეკითხე - ბაბოვ, ბოზ ნათიაი, ბაბოლაი რათ ეძახით მეთქი? ეგაო, ახალგაზრდობაში დაარქვა ვიღაცა მასნავებელმაო. მეთქი, თქვენ დროი რა კევები იყო ბაბო? - რავი მე სადა მქონდა მაგი ფულებიო. კევები ქალაქში იყო, აქ ვინ მამიტანდაო... ისაო, ესაო... მემრე ააყოლა და ააყოლა, ძან რო დამდალა უთხარ, კარქი მოიდა ტვინი ნუ მამისანგლე მეთქი.

კევი იქით იყოი და ე ნათო რო დათესეი, მეორე დღეი მილიცია მოვარდა უბანში. არიქაო, საფლავი ამოუთხრია ვიღაცია და ეგრევე დაუგდიაო. მინა მაინც მეესნორებინა იმ შობელძალლსაო. ატყდა ერთი ამბავი. გამოვარდა ნათიაი ბიჭი, დედიცროჭი ილანძლებოდა, დედაჩემი ვინ ამოთხარა იმაი მოუტყან კარგის ჯიგარიო. მე კიდენა პატრაბიჭი ვიყავ და მაინტერესებდა ყველაფერი. ჩამოვდექ იმათ სახლთან და ეგე კევზე რო ვლაპარაკობდი. კაკრაზ კევი მქონდა ნაყიდი. გრძელები როა ათკაპიკიანები. ბაბოჩემმა ამამიტანა გურჯაანიდან. ჰოდა ერთი მილიციონერი გარეთ დააყენენი. ბჯო, გავხედა-ამ, იავნათ მე მიყურებს. მე კიდე ბალლობიდან მეშინია ე პაგონიანი ხალხისა. მერე დავაკვირდი და მე კიარა, ჩემ კევებ უყურებდა. ამკარათ უნდა რო გამამართვაი და თან ეხათრება, ბალლი ვარ მაინც. თან პირველათ დაინახა აეგეთი კევი და მაგრა უნდა რო მამთხოვი ერთიცალი. ჰოდა მოიდა და მამითათუნა თავზე ხელი. - სალამი ძია კაცოო. ვისი ხარო? - ეგე, გაურუე შვილივილი ვარ მეთქი. - ეგაო რა გაქო? - უუაჩა მაქ მეთქი. - მიატნისაო? - მე რავიცოდი მიატნი რა იყო და უყურებდი გალექებული. - მაიტა აბა ჩამალლეჭინე ერთი ცალი და გეტყვი რისაო. - ეგემაგის თქმა იყო და უცემ გამოიდნენ სახლიდან სხვა მილიციონერი, ნათიაი შვილი როსტრომა და ნათიაი რძალი. საფლავზე უნ ასულიყვნენ, რო ენახნაკე როგო იყო ამოთხრილი. ი მილიციონერმა მითხარა, მოიდა მალე მამეც კევი მეჩქარებაო. რა უნ მიმეცა ბჯო, ხუთიცალიი პაჩანი. გავიქეც სახში. ისე ეგ მილიციონერი ჩევენი უბნელი იყო, რამაზაი ბიჭი კოლა. მამამის რამაზაზეც ამბობდნენ, ნათია რო ნათიობდა და რამაზა კიდე ლვინის ქარხანაში მუშაობდა და კაი ფულ აკეთებდა, ეგეც უხათეუნებდა ხოლმე უბნი ბოზსაო. ერთისიტყვით, მე სახში ნაველ. ბაბოჩემ კარტოფილი უნ შეეწვა და უნ მეჭამნა. ჰოდა ე ნათიაი ოჯახობა კიდე ასულა ნათიაი საფლავზე და უნახნიათ ამოთხრილი. ბჯო, თავიდან უფიქრინიათ, ვინმე ძველი საყვარელი ხო არ გაგიედა და ე მკვდარ ხო არ უპირებდა რამე გარყვნილებაიო. მაგრამ არაო, დახედეთ და ისევ იგეთი იწვა, როგორიც ჩადეი. მემრე ე რძალ მოუქექნია კუბო და ერიჭაა... ოქროები ალარალიო... დაუწყისა ტირილი. - ჩემთვინ მაინც დე-



მეტოვნაო. ეგეო, ჩამაყოლე, ჩამაყოლე, რო იძახდა. ჩავაყოლე და არც თითონ შეერგო და არც მე შამარგო. - დაუწყის ბლავილი იმ ჩემისგადანგრეულ შუა სასაფლაოზე. ნათია ბიჭი მაგ დროი პაპიროზ ეწეოდა. მა რა უნ გეეკეთებინა? დედამისი ბოზი იყო, თან ამოთხარე და თან ოქროები მოპარე. რამაზაი მილიციონერ ბიჭ უთქვია - აი ვინც ეგემა-გაი იკადრებს, რო მკვდარი ამოთხაროი და რაღა-ცეები მაიპაროი კუბოდანო. სროკი კი არ უნდა მი-არჭოო... უნ აიღოო, დააბაო და როგორც ჯორი იგ-რე უნ აღმუვლო მთელი ცხოვრებაო.

\* \* \*

- მამისმინე აქეთ. ეგე აექ არი ტყუილი ოქროები. ხვალე აიტან აემაი დედაშენი საფლავზე და დაფ-ლამ. გაიგეე?! - პოლიციელმა კოლამ, ნათიას ვაჟს პარკში გახვეული ბიუტერია მიანოდა.

- მემრე?

- მემრე შენ ცოლ უთხარ, უბანში ხმა დააგდოი, ნათია სხვა ოქროებიცა ქონდა და რახან ის მაიპა-რეს, ამას ჩავატანთო. ამბავი რო გასკდება, ვინც მაიპარა ისიც გაიგევს და ჩვენ კიდე ჩაუსაფრდებით და ჩავაყუდეეფთ... - გაარა ითახში კოლამ.

- დაიცა ბიჯო, ეგემაგაი ვინ დაიჯერევს. მაგე-თი აჯამი იქნება ი ქურდი? - დაეჭვდა ნათიას ბიჭი.

- ჩვენა ვცადოთ და თუ დაიჯერა, დაიჯერა... თუ არადა რასა ვკარგამო? - მხარზე ხელი დაარტყა კოლამ.

- ვცადოთ პა, მაგიდედაცვატირე.

- ისე ბალლობაში როგორ დავცინოდა ხოლმე გახ-სომის? - ხასიათზე მოვიდა კოლა.

- რაზე? - ვითომ ვერ მიხვდა ნათიას ბიჭი.

- რა რაზე ბჯო, რო გეუბნებოდი ხოლმე მამაჩე-მი დედაშენ უშვრება მეთქი.

- გადი მოიდა ბიჯო ე. - გაბრაზდა ვაჟი.

- კარქი რა იყო, გამახსენდა პროსტო.

- ჰოდა ნუ გახსენდება.

- იიი...

- კურკლი კამპოტიი. ნუ გახსენდება მეთქი!

- ისე ლამაზი ქალი კი იყო საწყალი ნათო დეი-და.

- რა გინდა ბიჯო? წერაზე ხარ ატანილი?

- ეხლა რაღა გითხარ ისეთი ბჯო? ლამაზი იყო მეთქი.

- დედაშენზე რო ვთქვა ეგა, გესიამოვნებაა?

- თქვენი რა...

- ლამაზი ქალია ლამარა დეიდა.

- მადლობა ჯიგარო, გაიხარე.

- რიას ამობს ო... - დაიბნა ნათიას ბიჭი.

- ისე მამაჩემ რამაზასაც მაგრე რო ეფიქრა, სუ დედაშენთან ჰო არ იქნებოდა. ჰო ჰო ჰო.... - ჩაი-ხითხითა კოლამ.

- აეხლა შენ მოგიტყნამ... - ადგილიდან წამოფ-რინდა ნათიას ბიჭი.

- დაჯე ეგემანდ თორე პაჟიზნზე გაგიშვეფ იცო-დე. - დასერიოზულდა კოლა.

- მა რეებ მეუბნები ი.... - აქვითინდა ნათოს ვა-ჟი.

- კარქი ნუ ინირპლები. წაიღე ეგ პარკი და იგრე ქენ, მე როგორც გითხარ.

\* \* \*

ულამაზო ლამარა ყველგან ტიროდა. ბალიშშიც და სამზარეულოშიც. კოლექტივშიც და ბაზარშიც. სულელ რამაზას ევონა, რომ ყოველთვის ატყუებ-და ლამარას, მაგრამ ლამარამ ყოველთვის იცოდა სიმართლე. რამაზა ყოველთვის ელოდა, რომ ერ-თხელაც ცოლი ღალატის გამო კეტს გადაარტყამ-

და, ან უბრალოდ დასწყივლიდა მაინც, მაგრამ ლა-მარა ყოველთვის ჩუქად იყო და გულში თათხავდა მასზე ლამაზ ნათიასაც და მის გაბოზებულ ქმარ რამაზასაც. არადა რამაზა ყოველთვის მზად იყო იმისთვის, რომ შეტევაზე გადმოსული ცოლი ეცე-მა. რამაზამ ყველაზე უკეთ იცოდა რა საზიზღრობა იყო, როცა ის ქალი აღვიძებდა, რომელიც არ უყ-ვარდა. გაღვიძებამდე, ყოველთვის ნარმოიდგენდა ალტერნატიული გაღვიძების სცენას, სადაც ლა ბამბოლა“ პომადიანი ტუჩებით უნამავდა სახეს და შემდეგ მთელს დღეს სანოლში ატარებდნენ. იკი-დებდნენ ლვინის ქარხანასაც და ნათესავებსაც. იკი-დებდნენ შვილებსაც და საერთოდ ყველაფერს ისეთს, რასაც მათი სანოლიდან ნამოიდგომა სჭირდებოდა. თანდათანობით მშვენიერ ნათიაზე შეყვარებულ რა-მაზას, სულ უფრო და უფრო ზიზღდებოდა შეუხე-დავი ცოლი, მაგრამ მასთან გამოთხოვებას ვერ ბე-დავდა. ბრაზიანი მამამთილისაც ეშინოდა და იმა-საც ხვდებოდა, რომ სახელგატებილ ნათიას სახ-ლში ვერ მიიყვანდა. ის სულ ფეხებზე ეკიდა რამა-ზას, ნათია ადრე სხვებთანაც რომ იწვა. იმაზე დარ-დობდა, ბიჭები დამცინებენ და ეგეც რო არ იყოს, რა გარანტი მაქ მერე იმათთანაც რო არ დაინყოს კურტუმს ქნევაო. ძმაცმა რო ცოლი გამითახ-სირს, მერე ორივე უნდა მოვკლაო - ფიქრობდა რამაზა.

რამაზას ძალიან უნდოდა ლამარას ცემა. მაგ-რამ თითქოს ამას ხვდებაო, დამცირებული ცოლი, ყოველთვის მდუმარე და მორჩილი იყო. ცოლის ცემაზე მეოცნებე რამაზას, ეს მლიქენელური მორ-ჩილება და ჯიუტი სიჩქმე უფრო აბრაზებდა და ყოველ დამით ესიზმრებოდა, როგორ ახრჩიბდა უნიათო ცოლს. სიამოვნებისგან იშმუშნებოდა ახალ-გაღვიძებული რამაზა, მაგრამ მერე დაობლებულ კოლას ნარმოიდგენდა ხოლმე და ხასიათი უფუჭ-დებოდა. სანოლიდან დგებოდა და ისევ შეუბლშეკ-რული ჭამდა საძულველი ცოლის მიერ შემწვარ ყიყლიყოს. ქარხანაში მუშაობისას, გულს უმნა-რებდა ის ფაქტი, რომ სანატორელი გოგონა ახლოს არ ეგულებოდა და შეხვედრის მოლოდინით და ჰორმონების ბობოქრობით ანთებული, ზერელედ ეპირობოდა საქვეყნო დოვლათის მომპოვებლო-ბას. აბა ნათიას მუშაობა რად უნდოდა?! ნათია სახლში იჯდა და გრძელ თმას ივარცხნიდა მანამ, სანამ ვინმე მოსაფერებლად არ მივიდოდა. რამა-ზას ეგონა, რომ ახლა ნათია მხოლოდ მას აფერე-ბინებდა. მაგრამ ნათიასთვის აზრი არ ჰქონდა ვინ მოეფერებოდა. ნათიას ზოგადად უყვარდა ალერ-სი, რამაზასიც და ნიკოლოზისაც. არადა იმ დი-ლით, ჯიბეგახვრეტილმა რამაზამ, დედის ნაჩუქა-რი კალიცო მოპარა საწყალ ლამარას, რომ სასია-მოვნო აქტამდე, ნათიასთვის ეჩუქებინა. და მირ-ბოდა ყურძნის წვენში ამოსვრილი რამაზა სოფ-ლის ხროიკ გზებზე, ღვთაებრივი კოცნების მო-ლოდინით გამხეცებული... და ტუმბავდა ნათიას უფრო სწრაფად მორბენალი ნიკოლოზ ხანაშვილი. კარის შელებაც არ დასჭირდა რამაზას. გარე-დანაც კარგად ესმოდა ნათიას ვნებიანი ბგერები, რომლებიც აქამდე ყველა შოკოლადზე ტკბილი ეგონა. ახლა კი, მთელს ტანში დენივით უვლიდა

და თვალებიდან სისხლიან ცრემლებს აღვრევი-ნებდა. ეგეთი მწარე, აქამდე ნინაკაც არ ეგემნა რამაზას, რომელსაც ერთადერთ სიყვარულზე უცე-რემონიდ დაუჯვეს. იმასაც მიხვდა, თურმე ცოლს როგორ სტკენდა გულს, მაგრამ კიარ უთანაგრძნო, უფრო შეზიზღდა რამაზას ლამარა. გამხეცებული შევარდა სახლში მეღვინე. ოცდასუთი ნლისას, მაგ-რამ მაინც თავსაფრიან ლამარას უკვე გაეგო ბეჭ-დის დაკარგვის ამბავი და ცხოვრებაში პირველად გადაწყვიტა ქმრისთვის გატრაკება. აბა რას იფიქ-რებდა სულელი ქალი, რომ ეს ყველაზე უფრო ცუ-დი მომენტი იყო კლანჭების გამოსაჩენად. დაიკვ-ლა ლამარამ და მყისვე გაუღუნა ყბა მეღვინის და-უნდობელმა მუშტმა. მერე ქალს აღარაფერზე უფიქ-რია და ხმაც აღარ ამოუღია. მხოლოდ მსუბუქადლა გრძნობდა ზურგზე და ტრაკზე ქამრის გადარ-ტყმის სიმნარეს.

\* \* \*

ერძალი ჰო აკარაკი იყო მარა, შვილსაც კარგა ესხა მაგათი კაკლიხესავით. ბჯო, ქალ თუ დაუწერ-ნია რო მთელი ოქროულობა ზედ დამაყარეთო, მკვდარ რაღაი ატყუეფი?! ადექ და დააყარე სუმთე-ლი. თუ იტყუები და მაინც არ აყრიი, ნახევარ რა-ღაზე აფუჭებ აიღე და არ დააყარო. არც იმა მაი-პარვდნენ და ეგ იქნებოდა. ი საფლავი რო ამოთხა-რეი და რო მაიპარე იმოტონა ოქროული, მეორე დღე გამოვარდა ეცეტი რძალი და გამაცხადა სა-ხალხოთ - ჩემ დედამთილ სხვა ოქროულიცა ქონდა და ავიღეფ და იმა ჩავაყოლეფო. მაგაი იქრი იგრე უყვარდა, იქ უმაგისოთ ვერ იქნებაო.

მე შენ გეტყვი, მიქელ გაბრიელ მოქრთამამდა იმ ოქროთი თუ რაა... გო, რო გამოიდიხარ და აცხა-დევ კიდე ჩავაყრი იქროი საფლავშიო, ერთხელ რო მაიპარე, მეორეთ ვეღარ მაიპარავენ?! ტუტუცო-ბაი ხო აე სადღაც ბოლო? მარა ტუტუცი და დები-ლი რო ხარ, ეგემანდ გეტყვება კეთილები ეგე. გა-მოიდნენ ეცოლ-ქმარი, ამაჩარე ილლაში ე დარ-ჩენილი ოქროული და ნაიღო სასაფლაოზე. ხალხი მაგი საყურებლათ იყო გამოიშლილი, გეგონება არ-ტისტები არიანო. ზოგი წყევლიდა - ეწურებები მკვდარ ქალ ოქროსა პარამდნენო და ეხლა შეეშინდათო და-მე არ მეგველანდოი და მაგიტო მიაქთო. ზოგი პროსტო იკინოდა და იძახდა აბა ამათა ყოლიათო. ვზროსლი კაცები ამბობდნენ - მაგათ უკვე ჭამეი თავი ყველაყისა და ეხლა კაი დროსია პატიოსნობი თამაშიო.

მოკლეთ, ერთ დღეში იგრე გაუტყდა იჯახ სა-ხელი, ნათიამ ორმოცდათო წელი ბოზაბით რო ვერ გაუტეხა. ბაბოჩემი მეუბნებოდა შენ არაფერი არა თქვა ბალლებში მემრე ამბავ მიუტანენ და სირ-ცხვილიაო. მე იგრეთაც უთქმელი ბალლი ვიყავ, ვითვინ რა უნ მეთქვა. ნავიდნენ და ნავიდნენ, მა-გათი გულიც მოკვდე მეთქი ვფიქრობდი. შარაზე რო ჩავიდნენ ყველაი დაავინებდა მაგათი ოქროუ-ლიც და მამაძალლობაც. რო არ ემერთხარნათ, მკვდარი ნათიაც დაავინებდოდათ ერთ კვირაში, მარა არ დააცადე ხალს დაგინება. ხან ქურდები ჩიჩენიდნენ და ხან კიდენა რძალი და შვილი. არც იმ ქალ დააცადე მოსვენება იმ კეთილძალებმა.

ახალგაზრდობაში საყვარლები თხრიდნენ, ეხლა კიდე ესენი. მკვდარ მაინც შაარგონ მარტო წოლაო, ნონიაშვილი ზაირა და ბაბოჩემი ამბობდნენ. ეგენიც კაი ჩათლახები იყვნენ, მარა სხვებზე ჩათლახები არა. ეგენი თავითვინ, ჩუმათა ჩათლახობდნენ უნიკირათ. ბაბოჩემი თან ლობიოსა ჩერჩამდა ხოლმე.

ამასობაში იმათაც ამაიარეი. ხალხი კიდე გამაიშალა. ეკითხებოდნენ - რა ქენით, ოქრო და ფალითოო? - ესენი კიდე სამამულო ომი გმირებივით, გაიშალნენ ნელში და დავფალით მა რა ვქენითო.

შეილება თითოვევ მასპარეი ი ოქროთ - ბაბოჩემი ამბობდა. ეგენი ისეთი წუწები არიან, მაგაი ტყუილა არ დატოვებდნენ საფლავში. ეგეთ რაღაცებასა ლაპარაკობდა და მემრე მე მეუბნებოდა, ბალებში არა ილაპარაკო.

ისე, ეგ კი რა სათქმელია მარა, ქელეხი გასაცემი ჩვენთან გამაატანა ნათიაი რძალმა თავიშვილ. ან ჩვენთან უნ გემეტანებინა, ან ზაირათან და რავი ეტყობა ჩემზე იფიქრა ბალდი მაინც შაჭამსო. კორკოტი არ მემენონა და ფლავი კარქი იყო. ლობიო იქვე ვჭამე საპოვროში.

\* \* \*

ლამარას გაროზგვის შემდეგ, რამაზა ბოზებში წავიდა. დილიდან უნდოდა ქალი, მაგრამ აღარც ნათიას უნ მიუწვდოდა გული და ცოლთანაც არ მიესვლებოდა. ბორდელი და ეგეთი რამეები არ იყო რაიონში, მაგრამ ყველამ სამყაროში, ყოველთვის იცის, ვინ, როგორ და რამდენად იძლევა საჭირო სიამოვნებას. ყოველთვის და ყველგან არის ისეთი ვიღაც, ვინც რაღაცის სანაცვლოდ იძლევა. რამაზამაც იცოდა ერთი სიძივის დიაცი ბაკურციხეში, რომელიც წათიაზე კიარა, ლამარაზე უშნოც იყო, მაგრამ იმ ღამეს ესთეტიკას არ დაეძებდა გაცეცხლებული მეღვინე.

საქმე რო მოითავა, ცოლის ბეჭედი ბაკურციხელ ბოზს აჩქა, აქაოდა ჯიბეზე ფული არამაქო. მეძავმაც ვითომც არაფერიო, გამოართვა და შეიტყაპუნა საგვარეულო რელიქვია. არადა მაგ ბეჭედის ფასად, რამაზას ათი არაესთეტიური სექსუალური აქტის ყიდვა შეეძლო არმარტო ბაკურციხელ, არამედ სხვა ძიშვი ბოზებთანაც. დიდხანს ეხვენა ბაკურციხელი ამაღამ ჩემთან დაიძინეო, მაგრამ რამაზა მაინც წამოვიდა.

დაყიალობდა ცარიელ ტრასაზე ფეხით. გული ჰქონდა გატეხილი და ცოტა წამუსიც ასტკივდა. კი ეზიღებოდა ცოლი, მაგრამ თან რაღაცნაირად შეეცოდა... თავს ეკითხებოდა - რას ვერჩიდი, რათა ვცემეო? - უცებ იმასაც მიხვდა, ზიზღი სიბრალულში რო გადაეზარდა და ლამის ხელმეორედ მორთო სისხლიანი ბლავილი. ცოტაც და თავსაც მოიკლავდა, მაგრამ მაგის ტრაკიც ვერ ჰქონდა რამაზას. - ახლა მივალ, ბეჭედს დავუბრუნებ, ბევრს ვაკოცებ, ბევრ ბოდიშს მოვუხდი და ალარასდროს ვულალატებ! - ფიქრობდა ატრიებული მეღვინე. მერე გაახსენდა ბეჭედი ბაკურციხელ ბოზს რომ აჩუქა და გამორთმევაზე ფიქრიც კი შერცხვა. თან უკვე საკმაოდ შორს იყო ბაკურციხიდან და უკან მიბრუნებაც ეზარებოდა. განადგურებულ რამაზას უკ-

ვე ძილიც ერეოდა. ბანცალ-ბანცალით მივიდა ღვი-ნის ქარხანამდე და იქ დაეგდო დასაძინებლად. მაინც მანდ ვმუშაობ და დილით ადრე ადგომაც არ დამტირდება.

\* \* \*

ძალიან კი უნდოდა მაგ ამბი დამალვა მილიციანერ კოლაი, მაგრამ სოფელი იგეთი რაღაცაა, რო ეგრევე სუფრაზე უუილივით გავარდება ხოლმე ამბავი. მეორე დღე სუყველა მაგაზე ჭორაოდა ბირჟაზე... რამ გააგიუა ამბოდენა ქალიო. მაგითანა დარბაისელ სხვა ვერა ნახამ სოფელშიო. მანდ სხვა ამბავი იქნებაო. მემრე ბებრები იძახდნენ - სხვა ამბავი კი არ იქნება, სხვა ამბავი არიო. თქვენ ახალგაზრდები ხართ, არ იცითო და ჩვენ კიდე ვიცითო და არც ვამტკუნებთ იმ ქალსაო. მაგაი ეკუთვნოდა ეგეთი აბაროტიო. მა რა ეკონათ ახალგაზრდობაი რო უმნარებდნენო. ჩვენ სუ ვიცოდით, როცა იქნებოდა ეგრე რო შამოტრიალდებოდა ეგ ამბავიო. იიი, იგრე დიდი ხანი კი მოუნდა მაგ ამბავსაო, მარაო ღმერთი იმისაია, როცა იქნება შამაბაბრუნო ყველაფერიო. დაილოცო მაგი სამართალიო. ეგე, აკი სუ ჩუმათ იქნებაო. ვერ გაბედაო?! გაბედა და ყველაც გაბედამს ვინც მართალია. მტყუან კიდე სუ ყოფა ეტირებაო, იქაცა და აქაცაო.

მოკლეთ, ამ ცეტებმა, რძალმა და ნათიაი ბიჭმა მეორეთ რო წაილეი ოქროული და დამარხეი, იმ ღამეი თურმე მილიცია უნ ჩასაფრებულიყო საფლავზე. ეს ოქროულობა კიდე ხაფანგი ყოფილა იმითვინ, რო ი წუწკი ქურდი კიდე მისულიყო იქა და ეგრე აგიხდეთ სუყველაფერი, მოიდა და გასკვანებეი კიდეც. ბევრი რო აღარ გელაპარაკოე, რო დაბეჭებულა ასულან ე კოლა და მაგი ნაპარნიკი, რო ქურდი თუ კიდე მოიდოდა დეეჭირნათ. ჩანოლილან გვერძე საფლავი ბარდებში და ელოდებოდნენ ი აძალებულ ქურდ.

ბჯორ, ერთხელ რო გაგიმართლებს, მეორეთ რაღათ უნ მიხვიდე იმ ადგილზე საქურდავათ მე არ ვიცი, მარა გაიხედე, გამაიხედე ამ მილიციელებმა და ვიღაცა მართლა მოჩაჩუნდა თურმე ნათიაი საფლავზე. ჯერ დაცადეი. აპარას იზამსო. თურმე რაღაცა მეშოკი დაუგდია. მემრე ამოუღია ფართუკიდან პატრა ლაფატკა და დაუწყია თხრაა. პოდა ეგეო, ამ მილიციონერებ გაუხარდათ თურმე, ხელში გვყავო. საქმეი გავხსნით, იქნება ფულიც მოგვცე ვინმემო. თან ერთიან და მევერევითო. გამოვარდნილან ბარდებიდან და უტაცნიათ ხელი ამ ქურდითვინ. უნ წააქციონ, ხელები გადაუგრიხონ და უცებ წივილი დაუწყია იმ კეთილძაღლ - მილიციონერ კოლაი დედა ვარ არ დამიტიროთო. კოლა გაგიუბეულა, ფანარი აუნთია და მიუნათებია ი ქურდითვინ. შაუხედნია სახეზე და მართლა დედამისი ლამარა არ შარჩა ბიჯო ხელში?! გაგიუბეულა კაცი. ნაპარნიკი ეკითხება თურმე - რა ვქნათ კოლავ, გაუმვათოო? - კოლა კიდე ძაან სტროგი მილიციანერი იყო და ჩაუვლია დედამისითვინ ხელი. გაუშვა არა შამპანურ დავალეინეფ კიდეო. ჩაუგდია საწყალი ქალი მაშინაში და წაუყვანია გამყოფილებაში. ი მეშოკი რო დააგდო ი ქალმა, გაუქექნიათ და ის წინადღე წალებული ოქრო ყოფილა



შიგა. გაგიჟებულა კოლა, თუ მაიპარა უკან რაღათ მაიტანაო. თან ერთი კი გაიფიქრა, ნეტა არ მეტა-ნა მერე მე შემრჩებოდა და ნელ-ნელა გავყიდიდი ჩუმათო.

\* \* \*

ბოლოს და ბოლოს, ნათია ლამღამობით არა-ჟერზე არ ფიქრობდა, გარდა გარდაცვლილი ქმრი-სა. ძილისპირულზე არასდროს გახსენებია ვასილ ხოტივარის მიერ პიემონტის კლდეებში გადარჩე-ნილი იტალიელი ლამაზმანები. არც რამაზას მიერ მოყოლილ ვაზის თავისებურებებზე ფიქრით იკ-ლავდა თავს. ნიკოლოზ ოხანაშვილს საერთოდაც არ ჰქონდა რაიმე ისეთი, რაზე ფიქრიც შეეძლო მშვენიერ ნათიას. და აი, დამღლელი დღის მინუ-რულს, როცა აღარც ეღვიძა და ჯერ მთლად ძილ-შიც არ იყო ბოლომდე გადავარდნილი, მშვენიერი ნათია იხსენებდა, თუ როგორ წაიყვანა ქმარმა კი-ნოში. პირველად და უკანასკნელად, რადგან ერთ თვის შემდეგ, მეუღლეს კიდეც გადაუარა ავადსახ-სენებელმა ტრაქტორმა, კოლექტივის გადაყვით-ლებულ სტეპზე. მაშინ ნათია მართლაც უმანკო იყო და მისი თვალების ცეცხაბაც, ნამდვილი სირცხვი-ლის ილუსტრაცია გახლდათ და არა გამოგონილი-სა. ჯერ კიდევ შორს იყო ალერსზე დახამებული ლამაზი მრუშის ვულგარული ისტორიები. მიღიო-და პატარა და დაბნეული გოგონა ქალაქ გურჯა-ანის ძალიან განიერ ქუჩებზე, საღამოს თერთმეტ საათზე და ძლიერად ეკვროდა ქმრის ღონიერ მა-ჯას. ქმარს, ვალიკო მახარაშვილს დღისით დაუ-

ფიქრებლად უწოდებდი გაუთლელ სოფლელ ხეპ-რეს. თეთრ მაისურში გამოწყობილ, გაოფლილ კო-ლექტივის მეველეს მართლაც არაფერი ჰქონდა ინ-ტელიგენტისა. მაგრამ საღამობით, სახლში დაბ-რუნებული ვალიკო, არც თუ იშვიათად კითხულობ-და შექსპირს და დიუმას. ეს ორი ავტორი უყვარდა ყველაზე მეტად ვალიკოს, რადგან ბავშვობიდან მო-ყოლებული ყველაზე ხშირად, სწორედ ისინი ხვდე-ბოდა ყურში. ხელოვნებისადმი ინტერესმა ვალიკო ესთეტიად აქცია და სწორედ ამიტომ შეირთო ცო-ლად სოფელში ყველაზე ლამაზი გოგონა. მას შემ-დეგ, რაც მახარაშვილმა ისწავლა რას ნიშნავდა სი-ლამაზე, ის ვერ იტანდა ტლანქ სოფლის გოგოებს, უსწორმასწორო ნაკვთებითა და დეფორმირებული საჯდომით.

და მიიჩქაროდა ახალგაზრდა წყვილი კინოში. იდგა 1955 წელი და კინოთეატრში უმცებდნენ კრა-ზანას". ბევრი იტირა ნათიამ ვალიკოს მხარზე, მას შემდეგ, რაც იტალიელმა ჯარისკაცებმა კედელთან მდგარი არტურ ბერტონი რამოდენიმე გასროლის შემდეგ, როგორც იქნა მიასიკვდილეს. ქმარი იცი-ნოდა და ცოლის სიახლოვით აღელვებული ნაზად ეფერებოდა ცრემლებით დანამულ ქუთუთოებს. კაი ნათი, მართლა კიარ მოკვდება, არტისტია. - ამშვი-დებდა ცოლს ვალიკო. ნათიამ მშვენივრად იცოდა, რომ ეკანანზე მართლა არავინ კვდებოდა, მაგრამ მაინც გაურკვეველი ბრაზი და ნაღველი ახრჩიბდა. ვალიკო იხუტებდა ახალგაზრდა ცოლს და ძალიან უყვარდა ასეთი უსუსური და გულჩვილი.

იმ ღამეს, სახლისკენ ფეხით წავიდნენ. ქალაქი

გურჯაანიდან, სოფელი ჭანდარი საკმაო მანძილზე, მაგრამ ფილმი ძალიან გვიან დასრულდა და შემთხვევითი ტრანსპორტის ლოდინს, ახალგაზრდებმა ფეხით სიარული არჩიეს. უკრად ვალიკო გაჩერდა. ჩამოჯდა ქვაზე და ცისეკნ დაიწყო ცქერა. დაბნეული ნათია გვერდით მიუკდა, მაგრამ მაინც ვერ ხდებოდა, რას აკეთებდა ძის მეუღლე.

- შეხედე რა ლამაზია. როცა ძალიან დიდი და კაშკაშია, მაშინ ყველაზე ლამაზია. თუ გარშემო ღრუბლები დაუტრიალდა, მერე საერთოდაც არაფერია მაგისი დარი... - ამბობდა ვალიკო.

- რაზე იძახი? - ვერ ხდებოდა ნათია.

- ეჲ, შენ აქამდე ვინ დაგელაპარაკებოდა ამაზე. ვინ გეტყოდა რა არის ლამაზი და საერთოდ რა არის სილამაზე. ის მაინც თუ იცი, შენ რომ ხარ ძალიან ლამაზი? - იცინდა ვალიკო.

ნათიამ მხრები აიჩეჩა. იღიმოდა მორცხვად. თავი დახრილი ჰქონდა და თითქოს მოუსაჯესო, ძალატანებით უყურებდა ასფალტს.

- არა, მანდ არა ნათი... ზევით აიხედე. ზევით არი ლამაზი. მთვარეა ლამაზი. - ანიშნებდა ვალიკო.

- მთვარეე? - ნათიამ იცოდა რაც იყო მთვარე. მაგრამ აქამდე არაგის უთქვაშს მისთვის, რომ მთვარე ლამაზია. არასდროს უფიქრია ამაზე. სამაგიეროდ, ნათიმ იცოდა, რომ ლამაზია ვარდი, მაგრამ რატომ, მაგაზეც არ ფიქრობდა...

ვალიკომ გადაწყვიტა ნათიასთვის სილამაზის ამოცნობა და დაფასება ესწავლებინა. ასე ნათია საკუთარი თავის დაფასებასაც ისწავლიდა. მაგრამ ვალიკო ერთი თვის მერე, ბრუციანმა ტრაქტორისტმა მოკლა.

\* \* \*

არავის უშვებდა დედასთან პოლიციელი კოლა. მე დავკითხავ დაიჩემა. იმისაც ეშინოდა სხვასთან არ წამოსცდეს რამე ისეთი, მერე რო დიდი სროები მიარჩონ. კოლა რომ დედას ცოხეში არ გაუშვებდა, ეგ თავიდანვე ნათელი იყო. კოლა კითხავდა საკუთარ დედას. რამდენიმე საათი ისხდენ დედაშვილი ხმისამოულებლად კოლას კაბინეტის მაგიდასთან. დედა ხანდახან წყალს მოსვამდა ხოლმე. ზოგჯერ ატირდებოდა. მერე იღიმოდა. ისე იქცეოდა, როგორც ჩამონერილი მსახიობი დიდების დასაწყისი და დასასრულის ერთდროული გახსენებისას. კოლა გაგიუქებას იყო მისული. ჯერ იფიქრა დედაჩემი გაგიუდაო და თავში ხელები წაიშინა. მერე გაახსენდა დედამისმა საფლავი რო ამოთხარა და მთელი რაიონი რო მაგაზე ლაპარაკობდა. ამის გაფიქრებაზე სირცხვილისგან ტრანისფერი დაედო კოლას. ყველას მოვკლავ და ვიღა იჭორავებო, ფიქრობდა. მერე მიხვდა, ტყვიები რომ არ ეყოფოდა და გადაწყვიტა სხვა რამეზე ეფიქრა. არაფერი არ ახსენდებოდა. ისევ დედამისზე ეფიქრებოდა. რატო არ ვიცი სხვა რამეებიო, ბრაზობდა პოლიციელი. წამევითხა წიგნებიო, ახლა ხო შევძლებდი რო სხვა რამეზე მეფიქრაო. ცოტახანს ფეხბურთზე ფიქრობდა. წელს არსენალი არ ვარგაო. არა, ასნავნო სასტავი კაი ყავთ, მარა სკამი და ტრენერი არ უვარგათო. რა გაატრაკეს ამ ვენგე-

რითო. მერე ისევ დედამისი გაახსენდა. გაახსენდა იმდენი ოქრო რომ მოიპარა და მერე უკან დააბრუნა. მაინც შემარცხვინა სახალხოდ და უკან რაღას აბრუნებდა, ახლა ამაზე ბრაზობდა კოლა. დედა ისევ სლუუკნებდა. წყალი მოსვა და ისევ გაიღიმა გიუივით.

- კარქი ლამარავ, რაი მიშლი ნერვებ! ან რა გატირებს, ან რა გაცინებს, ქალო პა? - ბოლოს და ბოლოს წამოიყვირა კოლამ.

- უიმეე, რა გაყვირებს ბიჯო, რა გული გამიხეთქე. - შეიცხადა ლამარამ.

- დედი, რა გინდოდა იქა? - მოლბა კოლა.

- საქმე მეონდა. - ჩაილაპარაკა ლამარამ.

- მაინც რასა საქმიანობდი? - არ ეშვებოდა ვაჟი.

- ვერა ნახე? ბოზი ნათია ამოვთხარე და ოქროები წამოვილე. - არხეინად ყვებოდა მოხუცი.

- კარქი, ვთქვათ ოქროები გინდოდა და წამაიღე... უკან რაღათ მიიტანე მეორე დღეი?

- ჩემი არაფერი იყო იქა. სხვისი ოქროები რა შავ ქვად მინდოდა. - ხმა აუკანეალდა ლამარას.

- დაიცა ქალო. რო იპარამდი არ იცოდი რო შენი არაფერი იყო იქა? - დაიბინა კოლა.

- მე არაფერ არ ვიპარამდი! - წამოიყვირა გამნარებულმა ქალმა.

- მა რასა შერებოდი? - ხმას აუწია პოლიციელმაც.

- უ მენახნა. თუ ჩემი რამე იქნებოდა, ავიღებდი. დანარჩენს დავაბრუნებდი. პოდა არაფერი არ იყო იქ ჩემი. - ცრემლი ჩამოუვარდა ლამარას და თან იღიმოდა.

- რა უნდა ყოფილიყო შენი დედი? - ახალი ფლანგიდან შეუტია კოლამ.

- რა გინდა შვილო, რაზე თავ არ დამანებებ პა?

- ნერვიულობდა მოხუცი.

- მითხარ თორე დაგიჭერ!

- იგრედაც დამიჭერ.

- იგრე არ დაგიჭერ. ვიტყვი რო დაკარგული ოქრო იპოვე და უხმაუროდ აბრუნებდი ადგილზე.

- რა ვეძებდი და ბეჭედ! - აღიარა ატირებულმა მოხუცმა.

- რა ბეჭედ კაცო?

- ბალლი რო ვიყავ, დედაჩემმა მაჩუქა იქროს ბეჭედი. ძაან მიყვარდა ეგ ბეჭედი. დედაჩემმა მაგონებდა ხოლმე. ერთხელაც გულმევდარმა მამაშენმა აიღო და წაიღო. მთელი ცხოვრება მეგონა, რო ჩემი საყვარელი ბეჭედი ბოზ ნათიას აჩქა მამაშენმა. გუშინ სუ დავათვალიერე მაგის იქროული. არ იყო ჩემი ბეჭედი იქა. - ახლა უკვე გიუივით იღიმოდა ლამარა.

\* \* \*

რა არის სიცოცხლე, საყვარლის გარეშე?! უბრალო ხეა, რომელსაც აღარ აქვს ფოთლები. ანდაც ქარის გარეშე, ცივი ქარის...

რომელიც ყველას ქაღალდივით აფრიალებს.

და ეს ცხოვრება რაღაა?

თუ უნდა მენატრებოდე... - მლეროდა ვასილ ხოტივარი და დასცინოდნენ ყოფილი მოსნავლეები, სულ რაღაც ათი წლისანი.

ბესო პაპასქუა

# მესაფლავე



რატომ დაბრუნდიო?! მეკითხება მუსიკოსი. თითქოს არ იცოდეს, თუ რა არის ჩემი საქმე. ჩემი საქმე თხრაა! 43! 43 საფლავი სხვადასხვა დროსა და ადგილას. ამას მოითხოვს კალენდრი. აი, რატომ დაბრუნდი: კალენდრის ბრძანებით! მეტი სიზუსტის თვის-მეტე!

ხელისგულები მეოფლება. ბარის ტარს ძლიერად ვუჭრ თითებს და მუსიკოსს ვთხოვ იმ ამბის მოყოლას შეუდგეს, რომელსაც დამპირდა. ამბავი მკვდრებზეა. და სად იქნება ის იმაზე კარგი მოსამენი, ვიდრე სასაფლაოზე? ჰო და, აქ ვართ.

წლების წინათ ერთ უცნაურ კაცს გადავეყარო, მეუბნება მუსიკოსი.

## 1.

წლების წინათ ერთ უცნაურ კაცს გადავეყარე, ეს ქორნილში მოხდა. ქორნილში ხომ ყოფილ-სარ? დელს არ ვგულისხმობ: სეფებით, გადაკეტილი ქუჩით და მუზიკანტებით. უფრო თანამედროვეს. დაქირავებულ დარბაზში რამდენიმე ათეული მაგიდა დგას, მის ცენტრალურ ნაწილში ნე-

ფე-პატარძლის თვის განკუთვნილი ადგილია, რომელსაც ბრჭყვიალა შუქი ეცემა. მის წინ - საცეკვაო სცენაა. ერთ-ერთ უკიდურეს კუთხეში მუსიკოსები სხედან და დინამიკებიდან ყურისნამღები ხმა ისმის. ეს იმიტომ, რომ არ გაგიმართლა და მაინცდამაინც მის წინ მდგომ მაგიდასთან აღმოჩნდი. შენ რა, მე არ გამიმართლა და იმ ქორნილში, სადაც უცნაური კაცი გავიცანი, სწორედ მსგავს ადგილას მოვხვდი. ვერაფერს ვიზამდი. თავს ისე-დაც უხერხეულად ვგრძნობდი ამდენ ხალხში და გა-დავწყვიტე დავმთვრალიყავი, რომ კომპლექსები მომხსნოდა. საბოლოოდ ზედმეტი მომივიდა. სულ ასე მემართება ხოლმე.

ვერ ვიტან ქორნილებს.

- სიძის მხრიდან ხარ? - ვიღაც თავზე დამადგა.

- ხო, სავალდებულო ჯარი ერთად მოვიხადეთ. თქვენ ვისი მხრიდან ბრძანდებით?

- ძნელი სათქმელია! - თქვა და თავი გააქნია - მარა რაღაც ამბავი უნდა მოგიყვე - სანამ თამა-დას მუსიკალური პაუზა ჰქონდა აღებული და უკ-

ვე არეული სუფრის დაშოშმინებას ცდილობდა, გადავწყიტე გამერკვია, თუ რა უნდოდა ჩემგან ამ კაცს. ცეკვა მე არ ვიცოდი: მარტო ლაპარაკი, დალევა და მონევა შემეძლო და შემეძლო ასევე მოსმენაც, მთვრალსაც მათ შორის და რაც ყველაზე მთავარია, მთვრალის. მოკლედ, ყველანაირი პირობა ჰქონდა ამ უცნობს შექმნილი, მთავარი იყო, რომ თავად აღმოჩენილიყო საინტერესო მთხოვნელი.

- კიბატონო - ისევე მოულოდნელად დავთანხმე, როგორ უცნაურადაც გაცნობიდან ძალიან მალე რაღაცა ამბის მოყოლა შემომთავაზა - ოლონდა აქ არა, გარეთ. თან სიგარეტი მოვწიოთ.

და გარეთ გამოვედით. რა საჭიროა ზედმეტი სიტყვები-მეთქი, გავიფიქრე, რატო უნდა ჩავეძიო-მეთქი მის საქციელს? არ მესმის, ადამიანური ურთიერთობების ნორმებს რატო გვიწესებენ საერთოდ ვიღაცები, როცა ჩვენ შეგვიძლია ისინი გაცილებით ორიგინალურად ნარვმართოთ. რა საჭიროა აქ წესები? 400-კაციან ქორწილში ვიღაცამ მაინცდამაინც მე ამომარჩია, ნინაღობების მთელი წევბა გამოიარა და მითხრა, რომ ამბავი უნდა მოყოლა. მეც ავდექი და კიბატონო-მეთქი. იმიტომ, რომ ასეთ ხასიათზე ვარ. იმიტომ, რომ ხანდახან მეც მინდა განსხვავებულად ვიქცეოდე და კიდევ იმიტომ, რომ ბედისწერის მჯერა. ჰოდა: აბა, გისმენ-მეთქი, ვუთხარი.

## პირველი მთხოვნელი

არეული ამბავია, ასე რომ, მე ვერ დავალაგებ. თავიდანვე არეული იყო, რთული დრო იყო და იმიტომ. მაგრამ თუ ძაან აირევი, შეგიძლია შემანყვეტინო და რამე გამოსავალს ვიპოვით. მაშინ უხასიათობას პლანით შევლოდნენ, პლანი კიდე და-სავლეთში იცოდა მავარი. ჩემს ახალგაზრდობაზე ვამბობ. მაგრამ ახლაც ეგრეა მგონი - უხასიათობის უფრო ეფექტური ნამალი ჯერ არ გამოუგონიათ და, კაროჩე, ერთხელაც, ადგა ერთი კაიტიპი და იმ მიზნით, რომ დედაქალაქური გალიაკი აღეკვეთა, ზუგდიდის რკინიგზის სადგურზე ააჭრა და მატარებლით თბილისში გაემგზავრა. იქ ბიძაშვილი ყავდა, მაშინ სკაპი არ იყო, არც მობილური ტელეფონი და ასეთ პირობებში, კი იცი, ათასი კომიკური სიტუაცია შეიძლება ნარმოიშვას. პლაცკარტის ვაგონში ვიღაც სამხედროებთან მოხვდა და ჯოკრის თამაშში გალია ნახევარი გზა, მეორე ნახევარი ეძინა, ექვს საათზე პრავადნიკის ხმამ ნამოაგდო, თბილისში ვართ, აბა გაიღვიძეთო, სისახამ დილით ვაგონიდან ჩამოვიდა და როცა ბიძაშვილს სახლში მიადგა, აღმოაჩინა, რომ ის ზუსტად წინა ღამით ნასულიყო იმ მიმართულებით, საიდანაც თვითონ ჩამოვიდა. ხომ კომიკური? მითუმეტეს, როცა იცი, რომ 2 წელი არ ენახათ ამ ბიძაშვილებს ერთმანეთი და მაინცდამაინც ერთსა და იმავე ღამეს გადაწყვეტეს ერთმანეთის მონახულება. მაგრამ ჯერ სად ხარ, წინაა უფ-

რო დიდი ბედისი ირონია, რადგან ჯერ არ მითქამს, რომ ის, თბილისიდან ზუგდიდში ჩამოსული მეორე ბიძაშვილი მე ვიყავი. უბრალოდ, კიდევ ვერ გავთავისუფლდი კომპლექსისგან, რომელმაც ამ არეული ამბის წლების განმავლობაში საიდუმლოდ შენახვა გადამანყვეტინა და უნებურად დავიწყე მოყოლა იქიდან, საიდანაც ის არ იწყება. ზუგდიდში ყველას მაგრად გაუხარადა ჩემი დანახვა და არც სადმე წასვლაზე მიუიქრია, ან ვინ მომცა მაგდენი დრო მოსაფიქრებლად, როგორც კი გაირკვა რა სიტუაციაში ამოვყავით თავი, მოყვა ამას სიცილი და ჩემი დამედება, რომ ამღამინდელ რეისს გამოყვებოდა უკანვე იმავე მატარებლით და კანონზომიერი იქნებოდა, თუ მე დილით მაგარ პახმელიაზე დავხვდებოდი. ბიძაჩმა - ბეჟუანამ იპოვა ეგ კანონზომიერება, თვალი ჩამიკრა, მაგარი ადესა მაქო. მაშინ საღამოთი შევუბეროთ-მეთქი, მარა ძაან გადადება გამოგვივა საქმის, ჯობია, სანამ დღის შუქიც არ გამოგვირთო შავანაძემ, საქმეს შევუბერეთო და შუადღის 2-დან დაწყებულ საქმეს ძალიან ფატალური შედეგით მოვრჩით, იმიტომ, რომ ფინიშის დრო უკვე ზუსტად აღარ მახსოვს. ქეიფის პროცესში ორი მეზობელი ბიჭი შემოგვირთდა. როცა უკვე კარგად ვიყავი მთვრალი და ენა მებმოდა, ამ ბიჭებმა მეზობელ ეზოში გადამიპატიუს და იქ პლანის ალაფურშეტი გამიშალეს. ერთადერთი ნაპასის ამორტყმა შევძელი, იმიტომ, რომ ბეჟუანას ადესამ და ამ მოსაწევის კომბინაციაში გონება დამბინდა, თვალები დავხუჭე და როცა გავახილე... უფრო სწორად, ვიცოდი სადაც ვიყავი - სასაფლაოზე. ეს ზუსტად ვიცოდი, მაგრამ ისე, როგორც სიზმრების უმეტესობაში, არ ვიცოდი, თუ საიდან მოდიოდა ეს ცოდნა. ერთ-ერთი მასპინძლის ციფ საფლავზე ნამოკოტრიალებული როცა მოვედი აზრზე, ჩემი წუთის წინანდელი მოქმედებაც მას მერე გამახსენდა: ღობეზე აძრომის, იქიდან გადმოხტომის და აქ ჩამოვარდნის მომენტები და მივცვდი, რომ გონებით საკუთარ ქმედებებს ჩამოვრჩებოდი. ინერციას ვიყავი აყოლილი და დასაწყისი არ მახსოვდა. ამას არ შევუშინებივარ, ამიტომ, ნუ ელოდები ამ არეული ამბის დალაგებას. იყოს ისეთივე დაულაგებელი, როგორიც მე ვიყავი იმ დაწყევლილ ღამეს. მე უფრო იმან შემაშინა, რაზეც პირალმა ვიწევი - მინამ. ჩვეულებრივი მიწისგან განსხვავებით, ის ზურგს სხვანაირად მიციებდა. თითქოს უხსოვარმა ქარმა დაინყო ამ მინის სილრმეში ტრიალი და თანდათან ძალას იკრებდა, რომ ერთბაშად ამოქეთქა და თან ათასობით მიცვალებულები ჩავეტანე. ჩამნებარი საფლავი გინახავს? მე მინახავს, ბავშვობაში. მას მერე რამდენიმე ნათესავი გარდამეცვალა, მაგრამ სასაფლაომდე არცერს მივყოლილვარ. ჰოდა, ახლა, ამდენი წლის მერე შიშის დაბადებიდან, რატომღაცაც პირალმა ვაგდივარ ვიღაცის საფლავზე, ღამის 3 საათია ალბათ და უკუნი დგას, საიდანაც თითქოს ეშმა-

კები გეგმავენ ჩემ სულში შემოცოცებას. ან იქნება სანამ ვერ ვხედავ, მოასწრეს ჩემში შემოსვლა და ამიტომაც ვწევარ ასე გაუნდრევლად, მაგათ ბეჭელ სურვილებს დამორჩილებული. არა - გავინძერი. გავინძერი, მარა ვარჩიე ეს ნელა გამეკეთებინა, ნამოვდექი და მტვერი ჩამოვიბერტყე ტანსაცმელიდან, სასაფლაოს დაბალ მესერს ფეხი ფრთხილად გადავაბიჯე და საფლავებს შორის მიმავალ ფართო ბილიკზე გამოვედი. არაფერი უჩვეულო არ ხდებოდა, მე ვიყავი ერთადერთი ცოცხალი კაცი ზამთრის სასაფლაოზე და სიცივისგან მობუზული და მძინარე მიცვალებულების ფშვინვა მესმოდა. ვიცი უცნაურად უღერს, მარა ეს აზრი მაშინ და იქ დამებადა ზუსტად იმ მდინარებით, როგორითაც ახლა გადმოვეცი და რაც მთავარია, ამას არ შევუშინებივარ. გავიფიქრე, თუ რომელიმე მიცვალებული ნამოდგა, ნაჯახით გამომეკიდა და ვერ გავასწარი, შევუტრიალდები და სანამ რამეს დამმართებს, ბოლოსდაბოლოს პირში მივახლი: სულმნათი არისტოფანე ბაძაღუას შვილთაშვილი ვარ, სადღაც აქვეა დამარხული და უკან დაიხიე, თორემ პრობლემები შეგეექნება!“. იქნებ გაჭრას-მეთქი ჭირისულის სტატუსმა და ფრთხილად გადავდგი ნაბიჯი წინ. ეს სასაფლაოს ერთი კიდე იყო და გადავწყვიტე მანამდე მევლო, ვიდრე შიგნით ღრმად არ შევიდოდი, რომ ჩემ შიშჩე ტრიუმფი საბოლოოდ მეზეიმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მთვლემარე სამყარო სიზმარში მხედავდა, მე კიდე შემეძლო სიზმრის კონტროლი, მისი ისე ნარმართვა, როგორც მომესურვებოდა. ეს მდგომარეობა მომწონდა და ფრთხილად ვადგამდი ნაბიჯებს, რომ არ გამელვიძებინა, მიცვალებულები კი ფშვინვის აკომპანიმეტით მაცილებდნენ, მარა უცებ ისეთი უცნაური და აქაურობისთვის შეუსაბამო ხმა გავიგონე, რომ დამატება, ჩემდაუნებურად ხომ არ ნამოვეარი-მეთქი რამეს ფეხი? არ ვიცი, თუმცა ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, ვითომ ნამის წინ სამყარო ძილში შეირხა და პირველად შექმნესა აზრმა, რომ მას ურჩხულის ფორმა ჰქონდა. ან იქნებ ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფი წუთი-წუთზე გაიღვიძებდა, ანდა, უფრო სწორად - ძილის იმ მომენტში იმყოფებოდა, როცა უკვე ხვდები სიზმარს და იცი, რო ცალი თვალის გახელითაც კი შეგიძლია მოსპო შენი ხილვა და გააქრო შენივე გამოგონილი პერსონაჟი. მისი გაღვიძება ჩემს უეჭველ დასასრულს მოსწავებდა. უკან მობრუნება და გაქცევა გადავწყვიტე, იმ მიზნით, რომ სამყაროს დავმალვოდი და ეს, სხვათაშორის, ადვილი მისია სულაც არაა, მარა მიზეზი მქონდა. რა ხმა გავიგონე? როგორ გონია, ისეთი ადგილების ჩამონათვალი რომ შეადგინო, სადაც ლამის 3 საათზე ტელეფონი არ უნდა რეკავდეს, სასაფლაო რომელ პოზიციას დაიკავებდა? პირველს! აუცილებლად ჩემისინი გახდებოდა. თან ამას ახლანდელ დროზე ვამპობ, მარა საკმარისია შეგახსენო, თუ რომელ დროზე გელა-

პარაკები და დარწმუნდები, რომ 90-იანების ზუგდიდის სასაფლაო ერთ-ერთი კი არა, ერთადერთი უადგილო ადგილი იყო ტელეფონის ზარის დასაფიქსირებლად. მე კი აშკარად მესმოდა, როგორ რეკავდა და ახლაც ყურებიდან არ ამომდის ეს შემზარვი ხმა. შემოვტრიალდი და გავიქეცი. არ ვიცოდი რა ხდებოდა, ნინ ინერციით მივრბოდი და იმაზე არც ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა რამეს დავჯახებოდი, ამის რისკი არადა ძანაც დიდი იყო, მარა უცებ სულ სხვა რაღაცა მოხდა. არაფერს დავჯახებივარ. არც არაფრისთვის გამომიკრავს ფეხი, უბრალოდ, ფეხქვეშ მინა გამომეცალა, გავფრინდი და სასტიკი ძალით დავენარცხე ძირს. მინდოდა უცებ ნამოვმდგარიყავი, მარა არა. ვერა.. ჰოდა, როცა წამოვდექი, მაშინაც ძლივს გავიმართე წელში. ჩევულებრივი ადგილი ეს არ იყო, ამას მგონი მანამდეც მივხვდი, სანამ ჰერში მოვფრინავდი. ეს იმის აღმოჩენამ მაძულა, რომ ტელეფონის ხმა, რომელსაც ასე უკანმოუხედავად გავურბოდი, უკვე აღარ ისმოდა. თითქოს უნდა გავეხარებინე ამ ამბავს, მარა რატომდაც წინათგრძნობამ მიკარნახა, რომ ნაადრევი ზემის დაწყება უჭკუბა იქნებოდა, სანამ არ გავარკვევდი რა მახეში ამოვყავი თავი. ფრთხილად გადავდგი ნაბიჯი წინ. საერთოდ არაფერი ჩანდა, ვერდნობდი მარტო სიცივეს და სამყაროს მორიგ სიზმარს, რომელმაც რატომდაც არჩია ფაზა შეეცვალა. წინ მინის კედელი გადამეღობა, ხელი გადავუსვი და როცა ვცადე მისი სიმაღლე შემემონებინა, ჩემს გონებაში 220 ვოლტიანი ლაპტოპია აინთო. ეს დილევი იყო, საპყრობილე...სხვის სიზმარში საკუთარი თავი დაგავარგვია? არა? ეს იმიტომ, რომ ვიღაცის საფლავში არ გამოფხიზლებულხარ ლამის 3 ან 4 საათზე. ვიღაცის გათხრილ სამარეში. კიდევ იმიტომ, რომ არ გიცდია გაგეხსენებინა, თუ როგორ მოხვდი აქ, რას აკეთებდი უახლოესი 2 საათის მანძილზე და კიდევ იმიტომ, რომ 20 წლის მერეც კი ამ შემთხვევიდან ამ ამბის დალაგებულად მოყოლა არ გიჭირს. ვცდილობ, მარგამ არა, ვერა. ამიტომ ვიცი, რომ 2 საათის დაგვიანებით უნდა გითხრა სად ვიყავი მანამდე, სანამ საფლავში მოვხვდებოდი და ისიც ვიცი, რომ შენ თავს ბოლომდე აიძულებ მომისმინო, რადგან მთვრალი კაცის გესმის და ხათრს ვერ მიტეხავ. ორი საათის წინათ კი, მე ჯერ კიდევ ოთახში ვიყავი. ლოგინში ვიწექი, თავთონ ლამფა მედგა, ფითოლს ძალიან ქონდა დაწეული და როცა ავუნიე, სკამზე მიყრილი ტანსაცმელი დავინახე. ოთახი განათდა. აქ მანამდეც ბევრჯერ ვიყავი ნამყოფი, მარა ბიძაშვილის გარეშე არასდროს. იმ საწოლის გვერდით, რომელშიც ახლა ვიწექი, კიდე ერთი იდგა და ის ახლა ცარიელი იყო. ვცადე წინა დღი-დან რამე გამეხსენებინა. არაფერი გამომივიდა, ფრაგმენტებად მიტრიალებდა ტვინში რაღაც ბუნდოვანი კადრები, ძილიდან გამოყოლილი სიზმრის განწყობა, რომელშიც ვითომ ის ბიჭები რომელი-

ლაც ოჯახის დაყაჩალებაზე და ტყუპი ბავშვის მკვლელობაზე მიყვებოდნენ, შავ ცხენზე ამხედრებული ბიძაჩემი ბეჟანა კიდე მხარს უბამდა და ვიღაცა მესაფლავებს, მკვდრებს და იამკებს განსხვავებულში ახსენებდა. ლამფის შუქი თამაშობდა და და კედლებზე ჩრდილებს ისე დაარბენინებდა, რომ ერთ მომენტში მომეჩვენა, თითქოს კინომექანიკოსის ძველ კაბინეტში ვიმყოფებოდი, ჩემი ცხოვრების კადრებით სავსე საცავში. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ლოგინიდან ნამოვგებოდი, იატაკზე დაყრილ და ერთმანეთში გადახლართულ ლენტებში ბორიალი მომინევდა, მერე კი უნდა ამომერჩია მათგან ორი ან სამი კინოფირი, რომ აღმედგინა რამდენიმე საათის წინ თავს გადამხდარი. საერთოდ, რომელი საათი იყო? კედლიდან ბაბუაჩემი, სულმნათი არისტოფანე და მისი მეუღლე, ბებიაჩემი - ნაზიბროლა ბაძალუა დამცეკროდნენ. ისეთი სურათები იყო, ლამებთან რომ მეტ სიახლოვეს იჩენენ, ვიდრე დღეებთან, თითქოს ამ ოთახში არსებულ სხვა ნებისმიერ საგანთან თუ ნივთთან შედარებით ჩრდილებს უფრო მეტად იზიდავდნენ და მგონი, საერთოდაც, იკვებებოდნენ მათით. ჰოდა, მთავარ საკითხესაც უკვე მოვადექი - მკვდრების შიშს, წყევლასავით განცდას, რომლისგანაც აგერ უკვე 45 წელია ვერ გავთავისუფლდი. მარა ის დღე სხვანაირი იყო, სიზმრებიც, რომლებშიც მკვდრები ამეკვიატნენ, ისტორიები, რომლებიც ერთმანეთში გადაიხლართნენ, რომელშიც თითო მიცვალებული მაინც მონაწილეობდა და ვიღაც მესაფლავები, ბეჟანა რომ ახსენებდა სიზმარში. ვეღარ მოვისუნენ, სიგარეტის მონევა მომინდა და კურტკას გადავწვდი, ვიბეში ხელი ჩავყავი და ვიგრძენი, რომ სიგარეტთან ერთად რაღაც ამოყვავა, ამოვილე და ქალალდში გახვეული მოსაწევი შემრჩა. არ მახსოვდა როდის, ან რომელმა მომცა, თუმცა ამას არ შევუშინებივარ იმიტომ, რომ კიდე ბევრი რამე არ მახსოვდა იმ ლამინდა და ავდექი და ჩემი იმღამინდელი და მთავარი შიშის დასაძლევად ცხოვრებაში პირველად მოვნიე მარტომ. მიცვალებულებთან ვალის ცეკვის სურვილი გაგჩენია? და უცებ, ამდენი ხნის მერე პირველად, გაუმართლებელ სისუსტედ და სისულელედ მომეჩვენა ჩემი მარადიული შიში. ლამფა ხელში ავიღე და არისტოფანესა და ნაზიბროლას სურათებს წელა მივუახლოვდი. რა ჰქონდათ ახლა ამათ საშიში? ჩემ გვერდით მდგარი კარადის თაროები დამძიმებული იყო ძველი დამტვერილი ალბომებით, შავ-თეთრი ფოტოებით, რომლებზე ალბეჭდილი ადამიანების უმეტესობა ცოცხალი აღარც იყო, მეც პირველად ვათევდი ბიძაშვილის გარეშე დამეს მარტო ამ ოთახში და ამდენი წლის მერე პირველად ვფიქრობდი იმაზე, რომ ყველაფერს, რაც ირგვლივ მეკრა, უფრო მეტი კავშირი მკვდრებთან ჰქონდა, ვიდრე ჩემთან, როგორც სიცოცხლის ერთადერთ ნიშანწყალთან ამ ოთახში. ყველა ნივთი მათ უხსოვარ

და ბუნდოვან მოგონებას ინახავდა: შიფონერით დაწყებული, საკიდით, სარკით, ძველისძველი ხალიჩით და კედელზე დაკიდებული ჩინგურით დამთავრებული. და რატომ იყო ეს საშიში? მკვდრები ცოცხლებს არ გვდევნიან და მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივად კაი ხანია აღვემატებიან, არმია არასდროს შეუკრავთ ჩვენზე გასალაშქრებლად - და ალბათ ზუსტად იმიტომ არსებობდა ეს ჩრდილმრავალი ოთახი, რომ ჩემი ცხოვრების 20 წლის თავზე უსაფრთხოების ზუსტად ეს კოდი გამეშიფრა. მიცვალებულებთან ვალის ცეკვის სურვილი გაგჩენია-მეტქი? მარა ნაზიბროლა ბებია, როგორც ჩანს, არ აპირებდა თავისი ჩარჩოს დატოვებას და როგორც შევატყვე, ვერც სერიოზულ კავალერად ალიქვამდა თავის შვილთაშვილს ამ სიბენელეში. ერთი კია, ჯოკონდასავით ეცვლებოდა გამომტყველება და ჩემი იმ ხელის, რომლითაც ლამფა მეჭირა ყველა მსუბუქ შერხევაზე ხან მიბლვერდა, ხანაც მიღიმოდა. ზუსტად ერთ-ერთი ასეთი შემობლვერის მომენტი გახდა იმის მიზეზი, რაც ჩემ იმღამინდელ მოგზაურობას დაედო საფუძვლად, იმიტომ, რომ მომეჩვენა, თითქოს ჩემი დიდი ბებია იმის გამო მსაყვედურობდა, რომ არ ვიცნობდი. ბაბუაჩემს სახეზე არაფერი ეტყობოდა - როგორც ნამდვილ მამაკაცებს შეეფერებათ, თავი ამაყად ეჭირა, მარა უეჭველია, რომ ეგეც ეთანხმებოდა მეუღლეს გულის სილრმეში. და სად უნდა გამეცნო ბებიაჩემი იმაზე უკეთ, თუ არა სასაფლაოზე, რომელიც, როგორც მივხვდი და გავანაღილი, ამ ითახზე საშიში ადგილი არაფრით არ უნდა ყოფილიყო. დრო იყო, ამ ნამით მესარგებლა და გადამელახა საკუთარი შიში. შემოგბრუნდი, ლამფა სკამზე დავდგი, ჩავიცვი და ბალკონზე გამოვედი. უიმედოდ ბელლოდა და ეზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა. კიბეები ჩამოვიარე და ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, უკან მოვიხედე, სახლს, საიდანაც ეს წუთი იყო გამოვედი, თვალები ჰქონდა დაბუჭული და არცკი დაუნახავს, როგორ გამოვეპარე ბენელი ეზოდან. ჭიშკარი გამოვალე და გარეთ გავედი, წინ თავდაჯერებული მივიწევდი და, მიუხედავად იმისა, რომ მქონდა წარმოდგენა თითქოს ჩემი მარშრუტის არცერთი დეტალი არ მრჩებოდა მხედველობიდან, მაინც არ მახსოვს იმ დაწყებული ლობეს როგორ მივადექი... ახლა კი აქ ვეგდე, ამ სიგიურის შუაგულში და ძალიან მინდოდა თვალი ისევ გამეხილა, რომ სახლში გამლვიდებოდა. ხელი ჯიბისკენ წავიღე. რამდენიმე ჯიბის შემონბება დამჭირდა იმისთვის, რომ ასანთისთვის მიმეგნო, ამოვილე, მაგრამ პირველ ჟერზე არ აინთო. არც მეორედ გამიღიმა ბედმა. მესამე მცდელობამ გაამართლა, ხელი ავაფარე, რომ არ ჩამქრალიყო და მერე, როცა ასანთის ღერი კარგად აბრიალდა, დავინახე, თუ როგორ გადაიხსნა წყვდიადის ფარდა და იქიდან ეშმაკი გამომეცხადა სიგარეტით ხელში... არაფერს ვამეტებ. ბევრი არ მიფიქრია, საფლავიდან, საიდან

ამოსვლაც რამდენიმე წუთის წინ შეუძლებელი იყო, სასწართოდ ამოვფრინდი და ქარიშხალივით შევერიე წყვდიადა. ტელეფრინი ისევ რეკავდა... და რაც შეხება იმ ეშმაკის სახესა...

## ანტრაქტი. ზუგდიდის სასაფლაო

სისხლს ვხედავდი, დანით გადახსნილ მუცელს, ერთმანეთში გადახლართულ ნაწლავებს, შემლილ სახეებს და მათ, ვინც ითხოვდა შველას. ბუდიდან ამოვარდნილ თვალს, სხეულის დანაწევრებულ ნაწილებს, მძორის სუნისგან მონამლულ პაერს ვსუნთქავდი. ცეცხლს ვხედავდი. რამდენიმე ლეშის-მჭამელ ღორს...

მოთმინების ფიალა ამევსო-მეტეი, ვეუბნები მუსიკოსს. არ შემექლო მათ წინააღმდეგ მარტოს, ღიად გამომეცხადებინა ომი. არ შემეძლო და ამიტომ მივმარეთ პარტიზანულ მეთოდს. მახებს ვუგებდი. სატუსალოებს ვიგორებდი. ვიცოდი, რომ ამათ, ყველას, ერთმანეთის სისხლით სავსე ტბებისკენ მიეჩარებოდათ. რომ საკედებში გამოკეტვა სჭირდებოდათ. ისეთებში, საიდანაც გამავალი სარკმლებიდან ერთადერთ რამეს დაინახავდნენ. ცას. აი, რა მჭირდებოდა: ცაზე გამავალი სარკმლები! მეტი ვარსკვლავი, მზე, მთვარე. ყველაფერი, რაც იქ ეტეა. ყველაფერი, რაც მათ ბოლმიან მზერას სულამდე ჩაჰყვებოდა და მუსიკით აავსებდა. კოსმოსს ეს ძალა აქვს, ის არასოდეს ცდება, მაგრამ ისე, როგორც ყველა საქმეში, აქაც არსებობდა კრახის შანსი. შედეგად, ერთ-ერთ საფლავში ის კაცი ჩავარდა, ვისთვისაც ის არ ყოფილა განკუთვნილი. მაგრამ ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა, არა? - ვეკითხებიმუსიკოსს.

არაო, მეუბნება და მოყოლას აგრძელებს...

## 2.

იმ დღიდან კაიხნის მერე, რაც ქორწილში უცნაურ კაცს გადავეყარე და ეს ამბავი მომიყვა, ვიღაცამ - მხედრიონის დროინდელი ამბავი უნდა მოგოყვეთო - გვითხრა, მხრიდან ჩამოხსნილი ტომარა ფეხით თავისკენ მისწია და ზედ ნელა დაჯდა. პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა ცერად ეჭირა, რომელიც ის-ის იყო არყოთ გავუსეს. პაუზის ხანგრძლივობით თუ ვიმსჯელებდი, ამბავი, რომლის შესახებაც გვამცნო და მოყოლას დაგვპირდა, მოკლე არ უნდა ყოფილიყო. არც ის ვიცოდი, რამდენად საინტერესო იქნებოდა. თუმცა, ჩემი აზრით, პროლოგზეც ბევრი რამ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული...

- ამბავი მოჩვენებებზეა...

ამას პროლოგი ჰქვია და ის არადამაიმედებელად დაინყო; ვერცერთ ზრდასრულ მსმენელს მოჩვენებების არსებობაში ვერ დაარწმუნებ. მისი მსმენელები კი ზრდასრული ადამიანები ვიყავთ. უნდა მივმხვდარიყავი, რომ ჩემი შეხვედრა თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის. ვსვამდით. მან გვთხოვა ერთი ჭიქა დამალევინე-

თო. ზურგზე ტომარა ჰქონდა მოგდებული, არცთუ მოხენილად ეცვა, ხელები უკანკალებდა და წინა კბილები აკლდა. უნდა მივმხვდარიყავით-მეთქი! ასეთები მარტო ლოთები არიან. და იქნება მივხვდით კიდეც, მაგრამ უარის თქმა გაგვიჭირდა. თოთხმეტიდან - ყველას.

ძალიან იშვიათად ხდებოდა ხოლმე, რომ ამდენი მოვგროვილიყავით. სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში მიმოფანტული ძმაკაცები ერთმანეთს ათასში ერთხელ ვნახულობდით. იმ დღეს თოთხმეტმა მოვიყარეთ თავი, არყები, ლუდები და მისაყილებლები მარკეტში ავილეთ და დადიანების ბაბში "შემოვედით. ეს ბალი ყველა ჩვენებავში ბავშვობისდროინდელ მოგონებებს აღძრავს. ბოლოს, როცა აქ ვიკრიბებოდით, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ვერქვა და ასეთ კითხვასაც არავინ გვისვამდა:

- დამით სასაფლაოებზე გიბოდიალიათ?

მაგრამ იმ დღეს ეს კაცი საშველს არ გავაყენებდა. პასუხის მოლოდინში ჩვენკენ იხედებოდა. ზოგიერთმა თავი დაუქნია. მერე ჭიქა პირველივე ახლომდგომისკენ გაიწვდინა და გამახსენდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი ერთჯერადი მძულდა. ჭიქის გარდა...

## მეორე მთხოობელი

ცუდი ხალხი ახლაც არსებობს, მარა მაშინ "მაშინ კარგსაც ჰქონდა იმის იმედი, რომ ცუდი გახდებოდა. აბა სხვანაირად ვერ გადარჩებოდი, არ იყო სხვა შანსი და ბევრმაც ცუდი ბიჭობა გადაწყვიტა, მარა მაშინ მაგათ კაი ბიჭებს ეძახდენ, რატომღაც. მე სადღაც შუაში ვიყავი სულ გაჩერილი. ველარ გამეგო რა ჯობდა - კაი კაცობა და გადარჩენის სულ პატარა შანსი, თუ ცუდი ბიჭობა - ანუ კაი ბიჭობა, ძველი გაგებით. ეგეთი დაბწეული საბედნიეროდ თუ საუბედუროდ მარტო მე არ ყოფილვარ - ვალიკოც იყო, სახლში ჩარხი ედგა და ვეხმარებოდი, მასალას ვახერხინებდი. ვიღაცა კლიენტი გამოჩნდებოდა, ათასში ერთი და 5 საათში დასამუშავებელ მასალას 5 დღე ვუნდებოდით. შუაში ამბავში ვიგოჭიდა. ერთი პერიოდი რაღაცა უბედური გრაფიკი დააწესეს - ღამის პირველ საათზე მოდიოდა დენი 1 საათით. წყალი არ გაუვიდოდა, 2 საათზე ვიცოდით რომ გამორთავდნენ და რასაც მოვასწრებოდი, მოკლედ, ეგ იყო. მაგ სიჩქარეს ვალიკომ ცერა თითო მიაყოლა, მე - საჩვენებელი. მარა ეგ რა იყო იმასთან შედარებით, რაც გარეთ ხდებოდა - ხალხს თავებს აჭრიდნენ. მე და ვალიკომ კიდე ეგ ამბები კარგად ვიცოდით და, თავის დაკარგვას თითების დაკარგვა გვერჩია, მარა ერთ დღეს ისეთი უცნაურობა გადამხდა თავს, რომ ალბათ ჯობდა, თავი საერთოდ არ მდგმოდა მხრებზე. ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის, დაბნელებამდე მივადექი ვალიკოს, პოდა, დამხვდა ესეც - პირდაპირ სტანკზე გაეშალა სუფრა - ოტკა, აჯიკა, პური, კომბოს-

ტოს მუავე. ვურჩიე, ეგ ჩარხი შტეპსელიდან მა-ინც გამორთე-მეტქი, მარა ფეხებზე დაიკიდა, მა-ინც არ მოვა შუქი პირველ საათამდეო. ახლა ვა-ლიკო ცოცხალი აღარ არი და ხშირად მიფიქრია, მაშინ რომ უცებ დენი მოვარდნილიყო, მოულოდ-ნელობისგან გააგდებინებდა ჭიქას იმ ხელიდან, რომლითაც ხერხს ეყრდნობოდა? არა მგონია - ისე იყო ამ დალოცვილზე შეყვარებული, რომ მო-ასწრებდა ალბათ მარცხენა ხელის შენაცვლებას. ასეა თუ ისე, არც ვალიკოს ხელის მტევანს და-მუქრებია იმ ღამით არაფერი და, რა თქმა უნდა, არც ჭიქა გაუგდია ხელიდან... მარა არც დენი მო-სულა... საერთოდ. ხომ ვთქვი, სხვანაირი ღამე იყო-მეტქი და ეს მერე გავიაზრე, მერე, როცა ყვე-ლა იმ შემთხვევას მივაქციე ყურადღება, რაც თავს გადამხდა და დამშვიდებულმა შევაფასე. 2 საათ-ზე წამოვედი. ვალიკომ ღამით ხელში გამომაცი-ლა ჭიშკრამდე და გზა დამილოცა. სხვა დროსაც ეგრე აკეთებდა, მაგრამ იმ ღამით რატომღაც ძა-ლა დაკარგეს მისმა ჯადონსურმა სიტყვებმა. მგო-ნი ღამპაც ისე მადლიანად აღარ პარპალებდა რო-გორც ადრე და მოკლედ, უშუქო, ჩაბნელებულ ქუ-ჩას დავადექი. ირგვლივ ჩამიჩნიუმი არ ისმის, კანა-ოს ნაპირს მივუყები და ფრთხილად მივირწევი იმ სიბრელეში. ისეთი უკუნია, რო ქუჩების ზედმი-ნევნითი ცოდნა თუ დაგეხმარება მარტო გზის გაგნებაში. აქაურობას კიდე მე ხუთი თითივით ვიცნობ - მთვარის წამიკები არაფერში მჭირდე-ბა, პირიქით, მიხარია კიდეც რო ასე ღრმადაა ჩა-ძირული ღრუბლებში და სხვისთვისაც ისეთივე შეუმჩნეველი ვარ, როგორც ახლა ჩემთვის არიან სხვები. იმ დღეებში ქალაქში მხედრობი დათარე-შობდა - ვიღაცებს სახლები გადაუწვეს, ვიღაცე-ები გააუპატიურეს, ვიღაცები კი უბრალოდ და-ხოცეს. სრული საშინელება, ბიჭებო. ჰოდა, გვყავ-და მე და ვალიკოსაც ერთი მეზობელი, რომელიც კაი ხანი არ მოსდიოდათ მხედრობნელებს თვალ-ში თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. იმ კაცს ცოლი და 2 ტყუბი ბიჭი ყავდა, მივარდნენ და ცოლ-შვილთან ერთად დახოცეს, მარტო ერთი ბავშვილა გადარჩა ცოცხალი. მერე ამბობდნენ, ბიჭები არაფერ შუაში არ იყვნენ, საპასუხო ცეცხლი გაუხსნა იმ კაცმა და დაცხრილვისას ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. ეს არ ვიცი, მარა ზუსტად რაც ვი-ცი ისაა, რომ მარტო ერთი გადარჩა. მეორე ღლეს ხალხმა ბავშვების ქალაქიდან გარიდება დაინწყო, როგორც ძველ ღრმში ხდებოდა, მტრის შემოსე-ვისას რო იცოდნენ ხოლმე - აი, ზუსტად ეგრე. რამდენიმედინი გლოვა მოყვა ამ ამბავს, მარა რაღაცნაირი, ჩუმი. იმიტომ ვამბობ ამას, რომ მი-ნახავს არაერთი გლოვა სხვა დროსაც და სხვა ვი-თარებაშიც. მინახავს არაერთი ქელები. იმ ჭირი-სუფალს კი ეშინოდა. მაშინ დავაკვირდი და ვის-ნავლე, რომ ყველაზე ღიღი უბედურება ბედნიე-რების უფლების წართმევა კი არ არის, არა, ამას შედარებით ადვილად გადაიტან ადამიანი, ყველა-

ზე დიდი სისასტიკე საკუთარ უბედურებაზე ტი-რილის უფლების ჩამოთმევაა. იმათ კიდე, რო-გორც გითხარით, ეშინოდათ და ჩუმად ტიროდ-ნენ. მაგრამ ეს ყველაფერი არ ყოფილა. სამი დღეც არ იყო ამ ამბიდან გასული, რომ ქალაქში ვინმე მესაფლავე” გამოჩნდა. ვიცი, რომ ეს სახელი ბევრს არაფერს გეუბნებათ, მაგრამ შევეცდები აეხსნა. ხო გინახავთ პულივზატორებით შენო-ბებზე გაკეთებული წარნერები? მშია“, ვერ და-მაბამენ”, ცა სავსეა ვარსკვლავებით“ და სხვა ბევრი. ყველას თავისი შინაარსი, ან სათქმელი აქვს, ან არც აქვს და მკითხველი აძლევს მერე ში-ნაარსის, როგორც იქნებ მე ვაძლევ ახლა. რომე-ლიმემ იცით, ვინაა მათი ავტორი? ჰოდა, ზუსტად ამის თქმა მინდა. მესაფლავეც“ ეგეთი კაცი იყო, რომელსაც თითქოს რაღაც სათქმელი მიქონდა დანარჩენებისთვის, მარა რომლის ვინაობაც არა-ვინ იცოდა. სათქმელი კიდე წლების მერე გავში-ფერე, ასაკის და გამოცდილების მატებასთან ერ-თად, მარა უფრო გასაგები რომ გავხადო ეს ამბა-ვი, ისევ ჩემი იმღამინდებლი თავგადასავლის მო-ყოლას გავაგრძელებ. გზად სასაფლაო უნდა გა-მევლო. ქუჩაში სიარულზე უფრო უსაფრთხოდ სა-საფლაოდან გადაჭრისას ვგრძნობდი თავს. სულ ასე ვიქცეოდი ხოლმე და იმ ღამით გეგმას რა შე-მაცვლევინებდა. ჰოდა, გადავძვერი შემოკავებუ-ლი სასაფლაოს ღობეზე და დავადექი გზას ნაც-ნობი მკვდრების გავლით. საერთოდ, მკვდრებს ერთი კაი თვისება აქვთ, ბოლომდე გისმენენ და მგონი პირველი არ ვარ ვინც ეს შეამჩნია. თუ სწო-რად მახსოვს, რომელილაც კინოში მაქვს მოსმე-ნილი, მარა მე კიდე მეტის თქმაც შემიძლია და ზუსტად ვიცი, რომ არცერთ კინოში არ გამიგო-ნია ამაზე ვინმეს ელაპარაკოს. აი რა: მკვდრები არამარტო ბოლომდე გისმენენ, საკუთარ აზრსაც არ გეუბნებიან, არიან ჩუმად და ეს კიდევ უფრო მაგარი თვისებაა. ისინი არჩევანში არ გზღუდა-ვენ, რჩევებს არ გაძლევენ და არ გაბნევენ. ერთა-დერთი, ვისაც შეუძლია მოგისმინოს და აზრი არ გითხას, მკვდარია. ჰოდა, მოკლედ, გადავძვერი თუ არა ამ ღობეზე, პირველი, ვისაც გამოველაპა-რაკე, თამაზ ეხვაია იყო. ვერ ვხედავდი ცხონე-ბულს, ბეჭედოდა, მარა ხომ გითხარით, რომ მაგ პერიმეტრზე ყველა ვიცოდი ვინ სად იყო დამარ-ხული და ხელი ავუნები, მე ვარ, არ შეგებინდეს პავლოვიჩ-მეტქი. პავლოვიჩიც ვერ მხედავდა - ჩვენ ორიდან, არცერთი არ ვიყავით მომგებიან პოზიციაში და ეს მაძლევდა ზუსტად ძალას. მე-რე, მის საფლავს რო გავცდი, ნინ ნაზიბროლა ძა-ძალუას საფლავი დავლანდე, ისევ ქმრის, ცხონე-ბული არისტოფანეს გვერდით ინგა, როგორც ეს პატიოსან მკვდარ ქალებს შეშვენით. აცივდა ცო-ტა მარა თქვენ რაღაც გიჭირთ, ერთად ხართ-მეტ-ქი, გადავულაპარაკე ამათ და ეშმაკურად თვალი ჩავუკარი, ახლა ვიფიქრე, ამათ გვერდზე რომ საფ-ლავია, პანტიკო ჯოლოგუასი, დიდ მუხამდე არ-

მისული, იმას მოვუყები-მეთქი თავისი გარენა-რი შეიღინებილის ამბავს, ლაკატეკით შეიარაღებული ბაყაყებს რო მუსრს ავლებდა კანალებში და... ჩავარდი. არაფერს ვამატებ, ბიჭებო, სადღაც, ვიღაცის გათხოვილ სამარეში ამოვყავი პირდაპირ თავი. ყოველ შემთხვევაში, პირველი ჭკვიანური აზრი, რაც დამებადა ეს იყო. ხო, აბა სხვა რა უნდა მეფიქრა ჩემ სიტუაციაში? სასაფლაოებზე რის-თვის თხრან მინას? ტკივილისაგან გაბუჟებულ მხარს და გასიებულ ცხვირს ერთდროულად ვიზელდი. დამიჯერეთ, ხუმრობა საქმე არ არი, როცა ნინი მიმავალს მოულოდნებლად მინა გეცლება ფეხქეშ. როგორც კი ნამოდგომა შევძელი, რა თქმა უნდა, იქიდან ამოძრომა ვცადე. აი, აქ კი შემიქანდა გული და მივხვდი, რომ ეს საფლავი არ იყო. არა. საფლავზე გაცილებით უარესი, რადგან საფლავის სიღრმე სტანდარტულს იშვიათად ცდება. ეს კი სატუსალო იყო, გაურკვეველი სიღრმის და გაუგებარი ფორმის, რომელსაც უამრავი საფლავი ერტყა გარს. ცერებზე ავინიე, მარა მინის ზედაპირს ვერ მივწვდი, მერე ავხტი კიდეც, მარა ამ საქმიდანაც რო არაფერი გამოვიდა, კედლებზე აციცება ვცადე, მოსაბლაუჭებლად ვეძებდი ნებისმიერი სიგრძის ფეხსვს, მცენარეს, მარა ყველაფერი ხელიდან მეცლებოდა. მოვტრიალდი და ჩემ სატუსალოს წრე დავარტყი. არაფერი საიმედო არ შეინიშნებოდა. გაოგნებული გავჩერდი და ისევ ზემოთ ყურება დავიწყე. სიბნელე, რომელიც იქ დავტოვე, მონაგონი იყო იმ წყვდიადთან შედარებით, რომელიც ახლა, ამ რაღაც ორმოში გამოკეტილს მერტყა გარს. სად ჯანდაბაში ვიყავი? მშველების იმედი არ უნდა მქონოდა, მკვდრების გარდა აქ ისედაც არავინ არ იყო და ესენიც მარტო მოსმენაში ვარგოდნენ. პირველად ვინატრე მგონი იმ დღეს ცხოვრებაში, რომ მკვდრებს ენა ამოედგათ. თამაზ ეხვაიას იმედი მქონდა, თორე პანტიკო ჯოლოგუა, მიუხედავად იმისა რო ჩემ-გან ყველაზე ახლოს იწვა, თავის შემწუხებელი არ იყო. ეს ცოცხალი და მკვდარი ხო, მითომეტეს. მაშინ დავფიქრდი სერიოზულად მანამდეც ბევრჯერ ყურმოკრულ მესაფლავის "ლეგენდებზე. რას არ ყვებოდნენ მასზე - რომ თავისინაირ შეშლილებთან ერთად მუშაობდა და ამიტომ ასწრებდა ამდენის ამოთხრას, რომ მისი მიზანი ისედაც შეშინებული ხალხის კიდევ უფრო დაშინება იყო, მაგრამ რამდენი ვერსიაც არ უნდა გაჩერილიყო, ვგრძნობდი, არცერთი არ იყო სანდო. ამაზე მანამდე არც მიფიქრია. არა. მარტო იმ ღამით, საფლავში ჩავარდნილი მივხვდი რაღაც ისეთს, რაზეც სხვაგან, სულ რომ ათი სიცოცხლე გამეტარებინა დედამიწის ზურგზე, ვერაფრით დავფიქრდებოდი. რისთვის გავჩნდი? საიდან მოვედი, ან მივდიოდი, იმიტომ, რომ აქედან, უკრაურად მოჩანდა ყველაფერი. ქარის მოტანილი ხმები მესმოდა, იმაზე ღრმად ვიყავი მინაში, ვიდრე ცხონებული პანტიკო, ან ნებისმიერი მკვდარი ამ სასაფ-

ლაოზე, ვიდექი და გაშტერებული ავცქეროდი ბენელ ცას ჩემ ზემოთ, საიდანაც რამდენიმე ვარსკვლავილა დამნათებდა. ბედის ირონია იყო, რომ ბარით და ლაფატებით მოხეტიალე მარტოსულმა გიუმა გამაჩერა და მაიძულა ბენელი ცისთვის ამეხედა, საფლავების სიღრმიდან დამენახა ჩემი თავი და პირველად სიცოცხლეში, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თოთქოს შიშველი ვიდექი სამყაროს წინაშე. ცისთვის თვალმოუშორებლად დავიხიე უკან, ზურგით ცივი საფლავის კიდეს მივეყრდენი და ნელა ჩავცურდი ქემოთ. რამდენიმე ხანი ასე ვიყავი, სრულ სიჩუმეში, სანამ მოულოდნელმა, განგაშის ზარივით ხმამ არ გამომაფხილა... ყური მივუგდე, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ. შორისახლოდან ჩემქენ მომავალი ნაბიჯების ხმა მოისმოდა. მომეჩვენა, რომ ჩვეულებრივზე ჩქარა მოძრაობდა ვიღაც. ალბათ მორბოდა. შემინებულმა ცას ავხედე, ისევ ისეთი, უმთვარო ღამე იყო და ვარსკვლავები არაფერს მეუბნებოდნენ. ვიღაც თუ რაღაც სულ უფრო მიახლოვდებოდა. ფრთხილად, ისე, რომ არ ნამოვმდგარვარ, საფლავის უახლოესი კუთხისკენ მივიჩინე და ხელების ფათურს მოვყევი, რომ პატარა ქვა მაინც მეპოვა თავისი დასაცავად. ვერაფერი ვნახე და ცივ მინაში ღრმად ჩავასე თოთები. ხელისგულები ფხვიერი მინით ამოვივსე, ალბათ არაფერს მშველოდა, მაგრამ იმ მომენტში საღად ვერ ვაზროვნებდი. გულში ვითვლიდი: ერთი... ორი... სამი... რაღაც მიახლოვდებოდა. რაღაც, თავსდასატეხი განსაცდელი. საფრთხე. სმენა ნერვიულობამ დამიგუდა, მაგრამ მაინც გავარჩიე ჩემი სამარის თავთან როგორ გაიშრიალა რაღაცამ და... ბახ... ჩამოვარდა. ზუსტად იმ კუთხის პირდაპირ, სადაც მე ვიყავი შეყუული, რაღაცა მძიმედ დაეცა. ენაჩავარდნილი მივაჩერდი სილუეტს. გარშემორტყმულ სიბნელეს ჩემი თვალები უკვე საკმაოდ შეჩვეოდა, მაგრამ მაინც ძნელი იყო გარჩევა, რა ჩამოვარდა ჩემ ცხვირნინ. რა იყო, საგანი? ავ სულს, ეშმაქს და მითუმეტეს, ცოცხალ კაცს, ნამდვილად საგანი მერჩივნა, მძიმე, რომელსაც მოძრაობა არ შეეძლო და რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში ზემოთ ასვლაში გამოვიყენებდი. მაგრამ საგნებს ხმა ფეხები არ აქვთ, არ დარბიან, არ იგინებიან და... ეშმაქმა დაწყევლოს ჩემი გაჩერის დღე... ნამოდგომას არ ცდილობენ. სუნთქვაშეკრული ვაკვირდებოდი როგორ ითრევდა ტანს, როგორ უჭირდა და მაინც, როგორ ცდილობდა ნამომჯდარიყო. მერე კვნესისმაგვარი ხმა გავიგონე. სილუეტს ჩემსავით ორი ხელი პქონდა და მხრებს ისრესდა. მერე ხმამაღლა შეუკურთხა რაღაცას, თუ ვიღაცას, მძიმედ ნამოიმართა და ორ ფეხზე დადგა. პირველი, რაც გავიფიქრე, იყო ის, რომ ავ სულთან არ მქონდა საქმე, ამისთვის ზედმეტად საკოდავად გამოიყურებოდა, მაგრამ მთავარ პრობლემას იმაში ვედავდი, რომ სახე არ უჩანდა. არც იმაზე მქონდა ნარმოდგენა, თუ რა განზრახვა ედო გულში. არ

დავძრულვარ. სუნთქვითაც კი ხმადაბლა ვსუნ-  
თქავდი, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ საცოდავად  
მიცემდა გული. სილუეტი თავის ტრიალს მოჰყვა,  
ალბათ სიბნელეს მიუჩვეველ თვალებს აცეცებდა  
და იმაში გარკვევას ცდილობდა, თუ სად აღმოჩ-  
ნდა. კიდევ ერთხელ, საცოდავად ამოიგმინა და  
კეფისკენ წაიღო ხელი. ალბათ კისერს ისრესდა,  
არ ვიცი. ამას რომ მორჩია, მძიმედ შეტრიალდა  
ჩემგან ზურგით და საფლავის კიდე მოსინჯა. მივ-  
ხვდი, მისი სიმაღლის შემონაბას ცდილობდა, ისე,  
როგორც ცოტა ხნის წინ მე. მერე ჯიბეში აფათურა  
ხელები და ერთი ხანობა შიგნით იქექებოდა. რა-  
ღაცას ეძებდა. სად წავიღო? – გავიგონე და სა-  
ბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ადამიანი იყო. ცოტა  
ხანს იმონმებდა ჯიბებს და ბოლოს, როგორც იქ-  
ნა მიაგნო სასურველ ნივთს. ხელი ამონია თუ არა,  
წაცნობი ჩხაკუნის ხმა გავიგონე და ყველაფერს  
მივხვდი. ჩემ სტუმარს ხელში ასანთის კოლოფი  
ეჭირა. ვიგრძენი, რომ ეს ახალ ფაზაში გადასვლის  
ნიშანი იყო. ჩვენი წაცნობობა ადრე თუ გვიან უნ-  
და შემდგარიყო, კი. ამას ვხვდებოდი. სულ რომ  
არ გვქონდა არანაირი სურვილი ურთიერთობის,  
ადრე თუ გვიან, მაინც აუცილებლად მოგვზევ-  
და. მაგრამ იყო რაღაც, რაც მანუხებდა და საგო-  
ნებელში მაგდებდა. ეს იმით გამოწვეული შეში  
იყო, შევძლებდი თუ არა გამოსალაპარაკებლად  
სწორი დროის შერჩევას. მე მასთან შედარებით  
უპირატესობა მქონდა - ვიცოდი მისი არსებობა,  
მას კი - არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა ჩემზე.  
არ იცოდა, რომ თბილი სახლებისგან რამდენიმე  
ასეული მეტრით დაშორებულ საფლავში, მარტო  
არ იყო. ჯერ კიდევ უკუნი სიბნელით გარშემორ-  
ტმული, დაბნეული აცეცებდა თვალებს და სიტუ-  
აციაში გარკვევას ცდილობდა. ხელში შეთამაშე-  
ბული სპიჩის კოლოფიდან აპირებდა ლერის ამო-  
ტანას, რომ გაეკრა და ბელი სატუსალო გაენა-  
თებინა. და აი, აქ დამებადა პირველი დიდებული  
აზრი. გამახსენდა, რომ კურტკის შიდა ჯიბეში პა-  
პიროსის დანესტილი კოლოფი მეგდო, ორი, თუ  
სამი ღერი ასტრით“, მაგრამ ის არ მქონდა, რაც  
ჩემსავით გზააბნეულ და მოულოდნელ სტუმარს.  
ცეცხლი. მე ცეცხლი მჭირდებოდა, რომ პაპირო-  
სი მომენია და ჩამეკლა უიმედობისგან გულში ჩაღ-  
ვრილი დარდი. მასაც მოვანევინებდი. მერე მივი-  
ყუშებოდით ჩვენთვის, ჩუმად, ძალიან ჩუმად საფ-  
ლავის კუთხებში და ჩვენ თავს ზემოთ მოქცეუ-  
ლი ცის თვალიერებით გავირთობდით თავს, რად-  
გან ჯერ კიდევ დარწმუნებული ვიყავი, რომ აქაუ-  
რობა, სამყაროს შესაფასებლად გამოგონილი სა-  
უკეთესო ადგილი იყო. საბოლოოდ განმიმტკიც-  
და ის აზრი, რომ ერთმანეთს ვჭირდებოდით და  
ჩვენი შეხედრა შემთხვევით არ მომხდარა, თა-  
ვად სამყარო ჩაერია ჩვენს ბედისწერაში და ის  
სპიჩით მოამარავა, მე კი - პაპიროსით. ფრთხი-  
ლად, უხმაუროდ წამოვინიე. კაცს პირველმა გაჩა-  
უნებამ უმტყუნა. უფილტრო პაპიროსის ღერი

თითებში მოვიქციე და მისკენ ნაბიჯი გადავდგი.  
ხელმეორედ გავიგონე სპიჩის გაკვრის ხმა, რო-  
მელსაც შედეგი ისევ არ მოჰყოლია. კაცმა შეიგი-  
ნა, კოლოფიდან მორიგი ღერი ამოილო და მესა-  
მედ სცადა. ჩხაკ... ნაპერწკლებიდან წარმოქმნილ-  
მა პანანინა ცეცხლის ალმა, მისი სახე გაანათა.  
შიში ეწერა. სიბნელიდან გამოვედი, კიდევ ერთი  
ნაბიჯი გადავდგი, ასტრის“ ღერი კბილებში მო-  
ვიქციე და ვთქვი:

- ბოდიში, ძმაო. პაპიროსზე ხომ ვერ...

\* \* \*

- იქ, იმ საფლავში ყოფნისას იყო ერთი მომენ-  
ტი, როცა სამყაროს წინაშე თავი ჩილად ვიგრძე-  
ნი. თითქოს იმ სურათს უუყურებდი, რომელიც კა-  
ცობრიობის გაჩენის პირველივე დღეს დაგვიხატა  
დედა-ბუნებამ და რომლისგანაც იქამდე ზურგშექ-  
ცევით ვიდექი იმიტომ, რომ მქონდა არჩევანი. მა-  
შინ კი, მოჯადოებულებივით გამაშება ვიღაცამ  
მის წინ და მიმახვედრა, რომ თვალების დახუჭვის  
ძალაც აღარ მქონდა. არ ვიცი, რამდენ ხანს მჭირ-  
და ეს რაღაც, მაგრამ რაღაც მომენტში გამოფხიზ-  
ლებულმა აღმოვაჩინე, რომ ორვე ხელი წინ მქონ-  
და გაშვერილი და ვლოცულობდი. ჩემთვის ვძუტ-  
ბუტებდი, ჩემივე გამოგონილ სიტყვებს, რომელ-  
საც ვერცერთ წიგნში, ბიბლიაში, ყურანსა, თუ  
ლოცვათა სქელ კრებულებში ვერ ამოიკითხავთ.  
არც რომელიმე იქიდან გადმოყოლილ ღმერთს  
შევსთხოვდი რამეს. პირველყოფილივით, ვარ-  
სკვლავებს მივმართავდი და იმ მთვარეს, რომე-  
ლიც სქელ ღრუბელს ამოფარებული ჯერ კიდევ  
არ ჩანდა. გამოქვაბულის ადამიანივით ვლოცუ-  
ლობდი. ეს იმ უცნობის გამოჩენამდე, მერე კი,  
როცა ის შემინებული კაცი გაფრინდა, გაქრა თუ  
ლამის წყვდიადს შეერწყა, დავჯექი და გათენე-  
ბამდე ვიცინე. იმ საფლავში ყველაფერი იყო. სევ-  
დაც, სიცილიც, პაპიროსიც და ამჯერად უკვე ჩე-  
მი სტუმრის ხელიდან გაგდებული სპიჩაც. მინდა  
იმ ღამის დამპროექტებელი დავლოცო...

## ზუგდიდის სასაფლაო. ეპილოგი

ზუსტად ასე თქვა: დამპროექტებელიო? და შე-  
მიძლია ეს ჩემს სადღეგრძელოდაც მივიღო? კარ-  
გია, რომ ეს ამბავი გვირგვინად გამოდგება, თო-  
რემ ძალიან, ძალიან მოწყენილი ვიყავი. ისე, რო-  
გორც ყანას მოსავალი, საქმესაც შედეგი სჭირ-  
დება. ამისთვის კი უნდა იმოქმედო. როგორც ფე-  
ხურთელისთვის ფეხბურთის თამაშია საქმე, მშე-  
ნებლისთვის - შენება, პოეტისთვის - ლექსის წე-  
რა, ზუსტად ისეა ჩემი საქმეც თხრა-მეთქი - ვეუბ-  
ნები მუსიკოსს. და დამიჯერე, საქმები რადგან  
ძალიან ხშირად ერევათ ერთმანეთში, გული მიგ-  
რნობს, რომ ვიღაც თვითმარქვია მწერალი ერთ  
დღესაც ეცდება ეს ამბავი მოთხოვნად მოგვიყ-  
ვეს.

და მაშინ დიდია შანსი, რომ მკითხველებს იმე-  
დები გაუცრუუდეთ, არა?..


ოლესიძ თავაძე

# ორი მოთხოვბა

## სუნამო

როდესაც ცხოვრების უღელტეხილზე დგა-  
ხარ, არ არის გასაკვირი - წარსულს აჯამებდე.  
ისე კი არა, მათემატიკურად, ნაკრებს შეჯამები-  
სას მკვეთრი დამრეცი ხაზი გაუსვა და საბოლო-

ოდ ანგარიში გაასწორო. არა. წინ კიდევ, თუ  
დმერთი იზამს, ერთი იმდენი დრო გიდევს, მაგ-  
რამ ის დრო, წესით, აღარ უნდა იყოს წარსული-  
ვით ტევადი, გაიწელება, უფრო და უფრო წარ-  
სულისკენ მიგაბრუნებს. არ არის გასაკვირი აჯა-



მებდე... გასაკვირია, წარსულში ქექვისას, კერძოს სახელს უძებნიდე, ზოგადი კი ხელიდან გისხლტებოდეს. გასაკვირია, ოცი ნლის გრძნობას უეჭველად სიყვარული დაარქვა და სიყვარული კი რა არის - ვერ დაადგინო, დღესაც რომ სისხლი დაგდის დალატისა, და ღალატი რა არის საზოგადოდ ვერა სთქვა. ადრე პირიქით იყო - იმუნუთიერს ვერ უგებდი, და ზოგადი მკვეთრად გქონდა დახარისხებული და სახელდარქმეული. რას იზამ, თუ ჭკუას არ გადასცდი, ეგების ოდეს-მე დაამთხვიო ეს ორი მცნება - კურძო და ზოგადი. არც ისაა გასაკვირი, საბოლოოდ ორივეს ვერაფერი გაუგო და ახალშობილივით, ჭკუის დაუმძიმებლად, თვლემას მიეცე.

ეს მეორე, ნამდვილად არ არის გამორიცხული. იმიტომაცაა ალბათ, შუახანს მიწეული, ერთხელაც შეჩერდები, და უღელტეხილის გამოვლილ აღმართს გადახედავ. ჯერ კიდევ კარგად შენახული ორმოც წელს გადაბიჯებული ქალი თუ ხარ, ბუნებრივია, ქვეყნის გაუგებობაში პირველ რიგში სიყვარულის რაობას არ კვეცდე. სიყვარულს მშობლების მიმართ, მამაკაცის მიმართ, შვილის მიმართ (ყველაფერი მიმდევრობით), მეგობრის მიმართ, და თუ გულწრფელი ხარ და საზოგადოების მზერა არა გაქვს მოპყრობილი, სამშობლოს სიყვარულს არ გამოტოვებ, ან კიდევ ბოლოში მოაქცევ - იმიტომ რომ, ალბათ ამ წინა სიყვარულების ჯამია, და თუ ნამდვილია, ყურადღებას არ უნდა იქცევდეს. მოყვასის სიყვარული ყველასათვის ხელ-მისაწვდომადაა აღიარებული, სამშობლოს სიყვარული კი გმირების ხვედრად, და თავმდაბალი კაცი თუ ხარ (ქალი მითუმეტეს), საკუთარ გმირობას არ უნდა ჩემობდე. ასე რომ მარტო შვილის სიყვარულსაც რომ ჩაპირეკიტებდე, არც ეს არის დასაძრახისი - „შვილ გაუზარდე სამშობლოს“, კიდევაც დაიზრდებიან“ ბოკ-ვერები“ და ა.შ.

ჩემი ბოკვერი დღეს 25 ნელინადს უკავუნებს, ყველა ქართველისათვის საამაყო სათქმელად - უმაღლესის სტუდენტია, ლამაზი, მოხდენილი, კეთილი და მშობლებისათვის შედარებით იოლი გასაძლები. როგორც ეტყობა, ქალების მოწონებას იმსახურებს და მათ მიმართ თვითონაც არ იშურებს გრძნობას. გადაბერებულ ქალებზეც კი, ქალი რომ ალარ ჰქვია, გაუგებარ არსებად რომ გადააქცია დრომ, მათ ეგოისტურ ეშმაკობას წრფელი სიბრალულით პასუხობს, და როცა არ ეზარება, კიდევაც კეთილად ემსახურება. წების-მიერი სიცოცხლის ნინაშე ღვთისნიერი რიდი აქვს, - მოდაში შემოსული ბუდიზმით შეპყრობილი კი არა, ისე, უდოგმო და უმიზეზო კრთომა სიცოცხლის ნინაშე. ეს ყველაფერი - კერძოდ სიყვარულია, და ზოგადადაც ალბათ იგივე ჰქვია. ამ საყოველთაო მოსიყვარულეობის შედეგად დედაც უყვარს, რასაკვირველია, მაგრამ... სწორედ საზოგადო დასკვნა ჭირს - კერძო ზოგად სტრე-

ოტიპში (რომ იტყვიან) არ ჯდება, და ეს არის რომ ვყვები.

საგნებმა უცნაური აკვიატება იციან, და უცნაურად მდგრადი ასოციაციები. სუნამო, და მით უფრო ფრანგული - მოინახება კი ქალი, რომ არ უყვარდეს? რომ არ უხაროდეს? თუ სჩუქნიან, მით უმეტეს! ახლაც შენახული მაქვს პირველი ფრანგული სუნამოს მიკროსკოპიული, სათითურისოდენა ბოთლი. სხვა რა დავარქვა არ ვიცი - ბოთლი, (ფლაკონი)?! სულ მცირე ჩვენს წარმოდგენაში ასჯერ დიდია იმაზე, მე რომ ვამბობ. არც ჭურჭელი გამოდგება ამ შემთხვევაში. მოკლედ, ციცქა, ერთი წვეთის ტევადობის შუბა, არცთუ მოსიყვარულე დედამთილის ნაჩუქარი. მე კი ვერ ველევი. სხვა რამდენი მოჰყვებოდა ამ პირველს, რამდენი მოჰყვებოდა ათიოდე წელი რომ გამოვაკლოთ აღმართის ასაკს - ვინ მოთვლის. რამდენიმე ბოთლი (შუბა) შემორჩა ჩემს ტუალეტის მაგიდას, ზოგი რას მაგონებს, ზოგი რას. ის კი არა და, უკუღმადაც გახსენებს შემთხვევით სურნელი ხან დედის ღიმილს, ხან სიყვარულის პირველ გაზაფხულს, და შემდეგ კი, როგორც დასტური ოდესალაც მართლაც არსებულისა, მეხსიერებას ამოაქვს დავიწყებიდან ის ჭურჭელი, რომელშიც ესა თუ ის სუნამო იყო დამწყვდეული. ბევრნაირია ეს ბოთლები, ლამაზიცა და ულამაზოც - მაინც მიყვარს. და მხოლოდ ერთს ვერ ვიტან ურყევად და მდგრადად. ეს არის პატარა თხელი ბოთლი, აბსოლუტურად სწორი, მრგვალი შეუმჩნეველი ნახნაგებითა და ოქროსფერი სახურავით, სახურავზე ლათინურად აწერია - Dior". ეს დიორიც "კი არ შველის საქმეს, მაინც არ მიყვარს. ბოთლი თავისხელა თეთრი მუყაოს კოლოფში უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როდესაც ცელოფნის ქალალდი შემოვახი... ასე ეფექტი არ ექნება ჩემს მონაყოლს, ჯერ ნინ რაც მიუძლვოდა, იმას მოვაგიბი.

ლი კოლოფი მომანოდა. დღო ვიხელთე, საძინებელ ოთახში მაღლულად (გულმა რომ არ მომით-მინა) გავხსენი, ბურბუშელები შემოვაძვრე, შემდეგ ლამაზი ყვავილებიანი ქალალდი შემოვაცა-ლე, შემდეგ ცელოფანის ქალალდს ოქროსფერი სალტე მოვაცალე, თავი ავხადე და შიგნით ჩავი-ხედე... კოლოფში თავისივე ზომის სარეცხის შპილკა“/სარტი იდო - ხის, რკინის ზამბარიანი საბჭოთა სარეცხის შპილკა“, ფრანგულიც კი არა! კოლოფზე ლათინურ ასოებს Dior-ს, შპილკის“ სიახლეც კი არ შველოდა. გული ჩამივარდა, სახტად დავრჩი, ფრანგული სუნამოს მაგივრად ხელში სარეცხის შპილკა“ მეჭირა. ჩემს წყენას საზღვარი არ ჰქონდა, თავს გონივრობისკენ მო-უწნოდებდი იუმორის დასაფასებლად, რა არ ვუ-ჩიჩინე, - რა ბრწყინვალე ხუმრობა-მეთქი. ჩემს ქალურ თავმოყვარეობას მეტი შეურაცხყოფის ნარმოდგენა არც მაშინ შეეძლო, და ახლაც ამა-ზე დამამცირებელი ხუმრობა თუ არსებობს არა მგონია. კიდევ უკეთესი - ბოლოს სტუმრები რომ დაიშალნენ და ცრემლმორეული თავის შეკავე-ბას რომ ვეღარ ვახერხებდი, აღმოჩნდა რომ ეს ხის შპილკა“ ასე თსტატურად იმ სუნამოს კო-ლოფში ჩემმა შვილმა ჩადო, იმ საჩუქრის სამაგი-ეროდ, რომელსაც ათი წლის განმავლობაში ვე-ლოდი. გაღიმებულმა სუნამოს გადამალული ბოთ-ლი მომირბენინა - სწორი, მრგვალი, შეუმჩნევე-ლი წახნაგებით, ოქროსფერი სახურავით, სახუ-რავზე ლათინურად რომ Dior-ი აწერია. იმ ბოთ-ლის დანახვაზე დღესაც ტანში მზარავს. ის მშვე-ლის, რომ რაც დრო გადის სუნამოს და, ფრან-გულს მით უმეტეს, ნაკლებად მჩუქნიან და დამ-თხვევა თითქმის გამორიცხულია.

მის მერე აგერ თხუთმეტჯერ გადავიხადე და-ბადების დღე, და იმდენად გამოვფხიზლდი, შვი-ლისგან საჩუქარს აღარ ველოდი, ის კი არა, მად-ლობელი ვიყავი იუმორით სავსე სიურპრიზებს რომ აღარ მიწყობდა. წელსაც მყავდა სტუმრები. ისეთი ხალხმრავლობა აღარ იყო მართალია, ად-რე რომ ყოფილა. ერთი-ორი ახალი ამხანაგი შე-ვიძინე, ათიოდე დავკარგე, და ანგარიშის ამბა-ვია - ასე თუ გაგრძელდა, სულ მაღლ წინა დღის გაცნობილს შევრჩები დაბადების დღეს პირის-პირ. მარტოობას ეგეც კი სჯობია. რაღა თქმა უნ-და, ისევ საჩუქრებს ვათვალიერებდი სუყველას დასანახად (ახლა ასეა მიღებული ზრდილ წრეებ-ში), მომეტებულ სიხარულს ვთამაშობდი მადლი-ერების გრძნობით, გულს კი აღარაფერი ახარებ-და წინანდებურად. ჩემი ვაჟაცი შვილისკენ თვალს კარგა ხანია აღარ ვაპარებდი, და დიდ პატივად ვუთვლიდი ჩემს თავს, ხუთიოდე წუთით თუ იკად-რებდა ჩვენთან ჩამუხვლას. იმ დღესაც, მთელი დღის მზადების მერე დაღლილი მოვწექი სავარ-ძელში სტუმრების მოლოდინში, უცებ რომ შემო-ვარდა, აღვზნებული, განითლებული, ხელში ფრან-გული სუნამოს კოლოფი ეჭირა. გაუსვეველი, მუ-ქი შინდისფერი კოლოფი ოქროსფერი მცენარის

ტოტებით როიალის თავზე ნერვიულად დადო და, ის იყო რომ შევკრთი, მომმართა - რამე ლამაზი გასახვევი ქალალდი გექნებაო. შეკითხვა, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა და კოლოფს ხელი წავატა-ნე. კოლოფში ოცნება იდო, ყველა ქალის ოცნე-ბა. შინდისფერსავე ყრუ ბოთლს ისევ უცნაური მცენარის ოქროსფერი ტოტები გასდევდა, ნაპო-ლეონის საომარი ქუდივით განიერი სახურავი ბოთლის მოყვანილობას აგრძელებდა, და, საოც-რება, კოლოფს რომ მოაშორებდი, სახურავში გაყ-რილი აბრეშუმის გრაგნილი კანაფი, შუშისქვეშ მოქცეული, გრძელი შინდისფერი აბრეშუმის ფო-ჩით თავდებოდა. სუნამოს იდუმალებით სავსე, გამომწვევი სახელი ერქვა - Opium-ი. გული ამიჩ-ქარდა, ფერი მეცვალა და ალბათ ამის საპასუ-ხოდ, მომესმა შვილის გაღიზიანებული ხმა: დი-ახ, მიყვარს, ძალიანც მიყვარს, და რა, არ შემი-ლია ვაჩუქო? მეჩქარება, მელოდებიან, დროზე მომიძებნე ქალალდი, ძალიან გთხოვ!“ სახტად დავრჩი და ძლივსძა ამოვლერლე - მასაც დაბა-დების დღე აქვს? - თუმცა კარგად მახსოვდა, რომ ჩემსას არ ემთხვეოდა. - არა, არა, - ბრაზმო-რეულმა მიპასუხა, - უბრალოდ დღეს შემთხვე-ვით ვიყიდე, და დროზე, მეჩქარება!

წავიდა. მოცელილი სავარძელზე მივეგდე. ეს ყველაფერი განზრას ჩაფიქრებულ წყენას ჰგავ-და, მაგრამ ამის დაჯერება არ შემეძლო, იმ დღეს უნდა გადავრჩენილვიყავი, სტუმრებს ველოდი, და დავიჯერე რომ დაემთხვა, ნამდვილად დაემ-თხვა და მეტი არაფერი. ახლა რომ ვფიქრობ, მარ-თლაც ეგრე იქნებოდა. წყენა გამინელდა, მაგრამ იმ ოპიუმზე“ უფრო საოცნებო საჩუქარი ქვეყა-ნზე თუ არსებობს, არა მგონია.

ამას წინათ, მოულოდნელად დავბრუნდი სახ-ლში, გვიანი იყო, არავინ დამხვდა. მაგიდაზე არ-ნახული არეულობა იყო, ერთმანეთში აზელილი სუფრა, ჭიქები, სიგარეტის ნამწვავები. სილაგან-ნულივით კარებში გავჩერდი, ისედაც გულმო-სულს ბოროტება მომეჭარბა და როგორ განვმუხ-ტულვიყავი არ ვიცოდი. ამასობაში შემოსასვლე-ლი კარი გაჭრიალდა და ოთახში ფრთხილად ახალ-გაზრდა ლამაზი მამაკაცი შემოვიდა. უცხო თვა-ლით შევხედე, და უცებ ჩემი შვილი თუ იყო, ვერ ვიცანი. წამიერმა სენტიმენტალობამ გამიარა, ახ-ლა უკვე შვებით მივვარდი ბოლმის ამოსანთხე-ვად. ჩემს სხაპასხუპით გასროლილ სიტყვებს ჩვე-ული საპასუხო სიხისტე უნდა მოპყოლოდა და ერთმანეთის ძიგნაში გულსაც მოვიოხებდი. ეს მინდოდა, ამას ველოდი, და როგორც სხვა პლა-ნეტიდან, ისე მომესმა ალერსით გამთბარი ხმა:

- ნუ მერჩი, ნუ მეჩქებები, ნუ, ძალიან გთხოვ, ეხლავე ავალაგებ, მესმის, გეწყინა, არ გელოდი.

ისედაც წყლიან თვალებში ცრემლი ჩაუდგა და არაამქეყენიური სიკეთით მიყურებდა. ერ-თაშად ვერ შევძელი შეჩერება და ჩემსას ისევ მწარედ გავიძახდი. უცებ მოულოდნელზე მოუ-ლოდნელი მოხდა - ჩემსკენ ნაბიჯი გადმოდგა,

ორივე ხელი ვედრებით გამომინიჭა, ფრთხილად გულში ჩამიკრა. მერე რაც მომესმა უკვე ქვეყნის დაქცევაც ჰქავდა:

- მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ, ქვეყანაზე ყველაზე, ყველაზე მეტად...

თავზე კრძალვით ხელს მისვამდა და გულში მიკრავდა. ღვინის სუნით შეწუხებულმა ოდნავ უკან გავინიერდა და თვალებში ჩავხედე, ცრემლი უხვად ელვრებოდა და შავ უძირო თვალებში არაა-დამიანური ტკივილი ჰქონდა ჩამდგარი. ასე სტკი-ვათ ალბათ, გულიდან ყველაზე ძვირფასს რომ იგლეჯენ. შევშინდი, რომ ნათქვამი ალარ დაუბ-რუნდებოდა, ხელები გავუწოდე და ლამაზ მხარ-ზე თავი დავადე. ასეთი ლამაზი მამაკაცის სახე ასე ახლოს არასოდეს მინახავს, ასე არავის სიყ-ვარულს არ შევუშვილთებივარ, და ასე სამუდა-მოდ არავისი სიტყვები გულში არ ჩამრჩენია.

### ნალკოტი

დიდი ხანია გამოყრუებულად ვცხოვრობ ჩვენს პატარა, ლარიბულად ნაშენებ სახლში. სოფელი ახლა შენდება, ნელ-ნელა იყრის თავს, აქა-იქ კა-კუნის ხმა ისმის, შორიშორ შემოძახილი. ჯერ ბუ-ნების ხმები ჭარბობს. ჯერ კიდევ არის ისეთი დი-ლა და ისეთი ადგილი - აივნის ხის სვეტზე ცე-რად შემომჯდარი გაკვირვებული კოდალა ნის-კარტის გამეტებული ბრაგუნით რომ გაგაღვი-ძებს. არის ისეთი საღამოები ჭრიჭინების გაბმუ-ლი ჭრიჭინ სიჩუმედ რომ მოგეწენება, და ისე-თი სიმარტოვე - ზოგჯერ თავმობეზრებული და უსაქმო, სანერ მაგიდას ნებით რომ მიუჯდები და ნერილის ნერას დაინტებ. ზოგჯერ დღე დღეს ისე ებმის, ადამიანის ხმას ვერ გაიგებ, ძალთან იწყებ ლაპარაკს და კრთები საკუთარი ხმის გაგონება-ზე, ძალი კი გაოგნებული უჩვეულო ნდობით, გამწარებით, მოწვევეტამდე იქნევს კუდს მადლი-ერების ნიშნად. ეს, რა თქმა უნდა, თუ საკუთარი ძალი გყავთ, თორემ მანანნალას სალაპარაკოდ სადა სცალია. ცხვირპირის მინაზე თრევით, ყნოს-ვა-ყნოსვით, დღელამ დარბის საჭმელის საძებ-ნელად. სხვა სულიერებზე რა გითხრათ, არიან ჯერ კიდევ ზღარბები, კურდღლები, მელიები, შვლებიც გვყავდა, სანამ სათიქებს გადაბარავ-დნენ სახლების საძირკულებად. უშიშარი ხვლი-კებიც ხომ არიან და არიან, არაფრით არ ტოვე-ბენ აქაურობას, თავისი სისხარტის იმედად, ალ-ბათ.

ჩვენს განაყოფ მინაზეც, ჩვენს მეზობლად სახლია აშენებული, უფრო მკვიდრად და საშვი-ლიშვილოდ, მაგრამ სიცარიელით უფრო დამორ-ჩილებული დროს და უამინდობას. პატრონი ათას-ში ერთხელ თუ მოაკითხავს სულის ჩასაბრუნებ-ლად, მიიხედ-მოიხედავს, განწირულად ამოიხ-რებს, და მოსალამოვებისას, ისევ ქალაქში ბრუნ-დება. ამასწინადაც, როგორც ყოველთვის მოუ-ლოდნებად, გაიჭრიალა ჭიშკარმა და მეზობლის ზზოში მანქანა შემოვიდა. ნაცნობ სახლის პატ-

რონს და მძღოლს უცნობი ქალი მოპყვათ.

- როგორი წალკოტი ყოფილა! არაბუნებრივი ხმით წამოიყვირა ქალმა მანქანიდან გადმოსვლი-სას.

აღტაცებას წამიც არ დააცალა, იქვე დაგდე-ბულ ბარს დაავლო ხელი და უწვიმო ზაფხულით გახრიოკებულ მიწას თხრა დაუწყო.

ქალს ახალგაზრდულად მოქნილი ტანი ჰქონ-და. თეთრი, მკლავებანეული საროჩკა“ მორგე-ბულად ეცვა, შემოტმასნული ქვედა კაბა, თით-ქოსდა უნებლიერ იმეორებდა საკუთარი სხეუ-ლით იდუმალ ტკბობას, თეძოს გაცნობიერებუ-ლად მიხრა-მოხრას, ხელებსაც შინაგანი ტკბო-ბით, ბუნებრივად ამოძრავებდა, და მხოლოდ სა-ხე, ულამაზო და იჭვიანი, ასაკით შეუფერებელი სიმწრისგან ნაადრევად მობერებული, არღვევდა სხეულის თანაფარდობას და იერს უხდენდა. თვა-ლები აქეთ-იქით დაბნეულად დაურბოდა, თით-ქოსდა რაღაცის დასტურად საყრდენს ეძებდა, თუ იმედს იმისა, რომ ეს ყველაფერი - მისი სხეუ-ლი, მისი ხელები, ამაო არ არის და უაზრო.

- მე ამ ხეებს სულ შემოვუბარავ! ისევ წამო-იყვირა ქალმა - რა კარგია! აქ ვიცხოვრებ ზამ-თარ-ზაფხულ, სამსახურშიც აქედან ვივლი! რა-ტომ ამ დორმდე ვერ ჩამოვედი?! ორშაბათს სამ-სახურში დარეკეთ, უთხარით ვერ მოვაო! - ნერ-ვიულად, თითქოსდა ვიღაცის ჯიბრით თუ გასა-გონად იძახდა ქალი და უაზროდ იქნევდა ბარს. მერე წუთით შედგა და გაბოროტებული მზერა ძმას მიაპყრო.

- დიახ, მარტო ვიცხოვრებ!

- ასე იცი! - კეთილი ლიმილით, ბედსშეგუე-ბულად, უმისამართოდ ჩაილაპარაკა ძმამ.

მძღოლი ასევე ბედსშეგუებულად, მაგრამ მა-ლული გაღიზიანებით ეზიდებოდა წყაროს წყალს ქალისთვის სამარაგოდ. ერთიან წრიალში კიდე-ვაც დაბნელდა. ძმა და მძღოლი მანქანას მიუ-ბრუნდნენ.

იმ ღამეს მეც მივყვებოდი ჩემს მეზობელს ქა-ლაქში. მარტო დარჩენილ ქალს რომ ვეთხოვე-ბოდი, მოღალატის განცდა მქონდა, თითქოს საშ-ველად ხელი არ გავუწოდე, თითქოს სერიოზუ-ლი გამოცდის პირისპირ მარტო ვტოვებდი. ვიგ-რძენი, რომ დარჩენა შემეძლო, მაგრამ გაუცნო-ბიერებელი გაბოროტებით ჩაიგინიე ხელი და მო-ვისურე მანქანის კარი. ორი დღის შემდეგ დავ-ბრუნდი ჩემს უცაბედად მიტოვებულ სახლში. ყველაფერი ისევ ისე, ჩვეულებრივად დამხვდა, როგორც ყოველთვის. ზოგი რამ ღია, ზოგი სიჩ-ქარეში უადგილოდ მიყრილ-მოყრილი. მეზობელ-თანაც ისევე, როგორც ყოველთვის, არავინ იყო. მოჭრიალე ჭიშკარი ნინანდებურად, გაკვანძული ზორტით იყო დაბმული, სახლის კარს დიდი ბოქ-ლომი ედო, და მხოლოდ ორად-ორი, საცოდავად განწინილი კომშის ხის ღერო ირგვლივ უცნაუ-რად იყო შემობარული.

ისნრაფე, ბუნების ტრფიალო!

## ნინო მოზესი

## ვალი



მაშ დასავლეთი. კარგი, იყოს დასავლეთი. ჯიბეში ქალალდის ფული მოვსინჯე და მატარებლის კიბეს-თან მდგარ გამცილებელს მივაწოდე. მან ჯერ ფულს დახედა, შემდეგ ამათვალიერა და შეთქმულივით თავი ოდნავ დამიკრა. უბილეთოდ არ შეიძლება, მიძრანდით, სალარო ქვემოთაა, კიბით ჩახვალთ, მომესმა უკვე ვაგონში ასულს გამცილებლის მეივანა ხმა და დაგვიანებით შეშინებული მგზავრის ბუზღუნი. ნინ გავიწიე, ჩვეულებრივი ძეველმოდური მატარებელი იყო, ორივე მხარეს ჩადგმული პატარა მაგიდებით და სკამებით, დაბინდული ფანჯრები, სულ ოდნავ რომ იწეოდა და ჰაერის ნაკადს უშვებდა ვაგონში და ცის ნაგლეჯი მოჩანდა მხოლოდ. მარცხენა მხარე ოთხად-გილიანი იყო, მარჯვნივ კი თითო სკამი ედგა ციცქნა ჩამოსაწევ მავიდას. განმარტოებით მდგარ სკამზე ჩა-მოვვეჯი, ჩემს წინ შეუასე ედაცილებული მგზავ-რი იჯდა, შევერცხლილ თავზე ბერებს იხდენდა და ამის გარეშეც სიმპათიური იყო ოდნავ კაპრიზული ხაზებით ცხვირის გასწორივ, რაც სრულებით არ აუშ-ნოებდა, პირიქით, ხასიათს უსვამდა ხაზს. თავი რა-ლაც უურნალში ჩაერგო, რის გამოც სრიალა სათვა-ლეს წარამარა ისწორებდა.

მატარებელი ძალინაც გამიხარდა. ის ყველაზე ძლიერი კავშირია ჩემს ბავშვობასთან, მისი რიტმუ-

ლი სუნთქვა მოტკებო რეინის რელსებზე ჩემი და ჩემი მეგობრების ერთადერთი იავნანა იყო ძილის წინ. ის ერთადერთი გვიყვებოდა შორეთის ამბებს და ეს შო-რეთი სამუდამოდ ჩვენი გახდა, მშვენიერი, მიუწვდო-მელი შორეთი, რომელიც წარმოსახვის პორიზონტზე მოჩანდა. სიახლოეს არაფერი იყო გარდა ლოგინში მოულოდნელად შემოიფეთებული შენივე ტოლების სა-ხისა, რომელიც შესავით დატოვეს მამებმა და გაი-ყოლეს ართქმული სიყალებები, რაც ყველა მშობლის პირდაპირი მოვალეობაა და რაც მათ შემდეგ დარჩა იყო იმავე თვალებში ჩაბუდებული ყინული, კოსმოსი-დან შემოპარული, და მხოლოდ მატარებლის რიტმუ-ლი ხმა ალლობდა ყინულს შორეთის თბილი მზით. ჩვენ ასე გვჯეროდა, ჩვენ ამან გადაგვარჩინა და რო-ცა ლოცვა გვინდა, ჩვენ არ დავდივართ რომელიმე უცხო ლერთის ტაძარში, ათასგვარ ხატებთან, რომ უცხო ლვთაებას თაყვანი ვცეთ, ჩვენ არ ვცნობთ კერ-პებს, რომლებიც სამ დღეში საფლავებიდან გამოდი-ან. ჩვენ შორეთის მზეზე ვლოცულობთ და მისი სით-ბო არ გვეყო კერპების დასაწერევად, რათა ბავშვები გადაგვერჩინა სიკედილს. ვზივარ ახლა ამ მატარე-ბელში, როგორც ტაძარში და ჩემი ლმერთი ჩემთანაა, არ მტოვებს მისი რკინის სუნთქვა, მოტკებო, როგორც სისხლი. ეს განმეორებადი რიტმულობა, მარტივი, რო-

გორც სიკვდილი, ჯოჯოხეთის საყავარელი იარაღია კერპებისთვის და რაც მათთვის სიკვდილია, ის ჩემ-თვის სიცოცხლეა.

ჩემ გასწვრივ სამი მამაკაცი იჯდა. ისე გამოიყუ-  
რებოდნენ, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდათ  
სათქმელი, მაგრამ თავს იყავებდნენ და ნერვიულად  
ცქმუტავდნენ ადგილზე. ქალმა ჩამოატარა მგზავრე-  
ბისთვის წყალი და სხვადასხვა თავშესაქცევი, მოხუ-  
ცი კაცი ხელების ენერგიული ქნევით მოითხოვდა  
უურნალ- გაზეთების ყიდვას. მცქმუტავმა კაცებმა  
გულგრილად აუქნიეს ხელი. ასე ორმოციოდე წლის  
ქალი ამოვიდა, შპა კაბაში ჩაცმული, შეენიეთ ჩემს  
ობლებსო, ხელს იშვერდა, მარჩენალი მომიკვდა, ვა-  
ლებში გაგვყიდეს და ნაადრევად დაბერძული თვა-  
ლებით მოწყვალებას ითხოვდა. ჩემს წინ მჯდომარე-  
ობისანმა ხელი წაიღო ჯიბისკენ და რადგან ფულის  
მაგივრად ერთჯერადი ცხვირსახოცი ამოცყვა, ენერ-  
გიულად მოიხოცა ცხვირი. მათხოვარმა გვერდი ამი-  
არა, ჩანდა, ვერც შემამჩნია და მიეჭრა იმ საში. უფა-  
ლი შეგნიოს, უთხრა ყველაზე ჩიამ მათ შორის და  
გვერდზე გაიხედა, მომეშვი ერთი, ჩემი ვალები ვერ  
გამისტუმრებია, გაბრაზებით ჩაილაპარაკა უფრო შევ-  
სებული ტანის პატრონმა და რაღაცნაირად გახედა  
მის წინ მჯდომ მამაკაცს, რომელსაც მიმიკა არ შეც-  
ვლია ამ გამოხედვაზე. ქალმა ჩაიარა და სხვა ვაგონე-  
ბის, კენ წავიდა ბეთის საკლელად.

ას საბრალო მათხოვარმა რომ ვერ შემაჩინია, ესეც ერთი უპირატესობა ჩემი, თითქმის მისატიკა მათხოვ-რებით სავსე ქალაქში. ისინი მე ვერ მხედავენ, არ მო-დიან და ვერც კი მამჩნევენ. ეს მას მერე შეენიშნე, რაც თავისუფალი გავხდი, რაც დავემზვიდობე ძველ ცხოვრებას და საკუთარი მოვიპოვე. ჰო, ნუ გიკვირთ, თუ არ ხარ თავისუფალი, არც არაფრის იმედი არ უნ-და გქონდეს კაცს. ვინ მოგცებს შენსას, თუ სხვისაში არ იყავი ერთგული? არა, არა, ნურავინ მეტყვის, რომ საკუთარი ცხოვრების ავანჩავანი იცოდეს, როცა შეკ-რულია ვალდებულებებით. ასეთი ხომ მხოლოდ მო-ნაა, გარემონტების, სხვა ადამიანების, მოვალეობე-ბის. არავინ არ შეიძლება იცოდეს საკუთარი გზა, რო-ცა დამოკიდებულია რაიმეზე. ასეთებს არაფრი უნა-ხავთ, არაფრი გაუგიათ, არაფრი სმენიათ. არაფრ-რი გააჩინათ, საკუთარი თავის ჩათვლით. მათი ცხოვ-რება მოლოდინია, ხვალინდელი დღის მოლოდინი, რო-მელიც იქნებ რაიმეს მოიტანს, რაიმეს, რაც ქარს თან მოჰყვება, ან იქნებ წვიმამ მოიტანოს, ან შემთხვევით შემოხეტებულმა დაუბრუნოს, რაც მისი აღარაა. ეჺ, ვიცი, გახა არ ვიცი, რას გრძნობს ასეთი ადამიანი, განა მე თვითონ არ გამოვიარე ეს ყოველივე, ვიდრე ნერტილი არ დაუსვევი ამ მოლოდინს და არ დაგიბრუ-ნე ჩემი ერთადერთი ცხოვრება, რომელმაც გაასწორა მრუდე და ჩვეულებრივი სასწაულები დამანახა. ნუ დამნამებთ პათეტიკას, უბრალოდ, ვხარობ, ვხარობ, როგორც ყველაზე მდიდარი კაცი, სავსე მარწებით და ბელით. აი, თუნდაც მათხოვრები ავიღოთ. ჩვენს ქალაქში ყველა ფეხის ნაბიჯზე არიან და არცერთი არ მოსულა ჩემთან, მე მათთვის არ ვარსებობ, ისინი უბრალოდ ვერც მხედავენ, თუმცა საკმიანოდ კარგად მაცვია და ღარიბ კაცს არ ვგავარ. აქვს უპირატესობა ჩემს ყოფას ამ მხრივაც. არც სინდისი მქენჯნის ამის გამო. ან რა სინდისი უნდა ქენჯნიდეს იმას, ვინც არ არსებობს ცხოვრების ორომტრიიალისთვის და საკუ-

თარ ბილიკს მიუყვება.

ბერეტიანმა კაცმა საიდანლაც რვეული ამოაძერითა, მერე დიდხას ექცა რაღაცა და რომ ვერ იპოვა, კალამი ან ფანქარი ხომ არ გექნებათო, მყითხა. საბედნიეროდ, ფანქარი ალმომაჩნდა და გაუზუნდებ. მაშინვე თავი დახარა და რაღაცის წერა დაიწყო. ვერ მოვითმინებ და ვკითხებ:

- მწერალი ხომ არ ხართ, ან პოეტი?

კაცმა ფანქრის კენეტა დიანზო და ისე რომ თავიც  
არ აუწევია რვეულიდან, ამომხედა. ლამაზი თვალები  
ბრაზს გამოხატავდნენ, თითქოს მნიშვნელოვანი საქ-  
მე შეანკვეტინეს.

- ვინც წერს აუცილებლად მნერალია? - უხეშად  
შეგიძლებული კითხვა და ისევ რვეულს მიუძრუნდა. ერთ  
თხანს სიჩუმე ჩამოვარდა და მხოლოდ მატარებლის  
რიტმული ხმა ისმოდა. გვერდზე მსხდომებმა ხმადაბ  
ლა საუბარი დაიწყეს, თუმცა მაინც გარკვევით ისმო-  
და მათ ხმა. ჩია მათ შორის ფსკვნილს ათამაშებდა  
ხელში და საუბარში მონაწილეობას პირჯვრის წერით  
გამოხატვდა. ეტყობოდა ამ საში რომ ერთად მგზავრ  
რობდნენ. ფარჯვები გავიხედე და ჩემს ფიქრებს გავ-  
ყევი. უცცებ ბერეტიანის ხმამ დამაპრუნა ვაგონში.

- ცნობისათვის, მძულს მწერლობა და მწერლებიც.

გაკვირვებით შექხდე, როგორ მოებრიცა ლამაზი ნაკვები, რაღაც მრისხანებასავით ჩაუდგა თვალებში.

- დიახ, მძულს და მიუხედავად იმისა, რომ მე ვწერ უფრო მეტად მძულს.

- როგორ? თქვენ მწერალი ხართ და გძულო მწერლობა? მართლაც პირველად შევხვდი ამგვარ კაცს

- წყევლაა ნამდვილი, ჩურჩულით განაგრძო მო-

ძულებმ, ვერც ეშვები და ისიც იცი, რომ ვერასოდე  
გახდები მწერალი. დაღუპულები ვართ ჩვენ, დაღუ  
პულები, რაღაც იდუმალი კრთომა ჩაქსოვა თვალებ  
ში.

- მართალია შორს ვარ მექალმეებისგან, მაგრამ კერასოდეს ვითიქერებდი, თუ ასეთი ტანჯვა თქვენი ხელობა, გატყობთ, ძალიან იტანჯებით და ძირიან გრჯებათ ეს საქმიანობა. - ვეცადე თანაგრძნობა გამომეხსატა, მაგრამ ბერეტიანი უფრო გადელდა ჩემს სიტყვებზე.

- მორჩი მაგ სისულელებს, თუ კაცი ხარ. მხოლოდ ბრძოს სჯერა, რომ ტანჯვადა და ვაეძა. საქმეს სულ სხვაგვარადაა - ჩვენ სიცოცხლე მოგვარეს, გაგვაძორიყვეს, დაგვიმონხეს და თავნისრილებს გვამუშავებენ, როგორც ნამდვილ მონებს და ამის მოთმენა აღარ შემიძლია. ო, ნეტავ ერთხელ ჩამასუნთქა სუც თა ჰაერი, ერთხელ გავიჭრა ველად, - და აქ მან მოულოდნელად ხელები გაშალა და ჰაერი დაიჭირა, - მომაძებნინა ჩემი დაკარგული ცხოვრება. ქურდები, კაცთა სოლის ჭრიდიბი, ამოიგმინ დასასრულა.

- ვერ გაგიგეთ პატივცემულო, ნუთუ დღესაც ვინ მე გაიძულებთ წეროთ ის, რაც არ გინდდა? ეს დრო ხომ ჩაბარდა საბჭოთა კავშირს, ეს ხომ მაშინ იყავით ვალდებულინი, გემდერათ, ხოტბა შეგესხათ ბელადე ბისთვის და მათი მონაგარი ქვეყნისთვის? განა დღე არ შეიძლოათ წეროთ რა/კ მოავსურვებათ?

ბერეტიანი სკამის საზურგეს მიეყრდნო და ის გამომხედა, თითქოს სწორედ ამ კითხვას ელოდა ჩემ

გან. ერთი პირობა თავი იდუმალი ღიმილით აქნია, მე-  
რე მკვეთრად გადმოიხარა ჩემკენ და ამოიგმინა.

- აი, ამაშია სწორედ საქმე, აი, ამაში. ო. როგორ ცდებით, ჩემო ბატონო, როგორ ცდებით. მეც დიდ-ხანს ვიყავი დარწმუნებულა, რომ ოხერი დროება გვარ-თმევს ჩვენს ნიჭს, ჩვენს შთაგონებას, ჩვენს რაობას და გარდაქმნის მას უსარგებლო ხოტბად. მაგრამ არა, ო, რა სულელი ვიყავი და როგორ გვეპი ხაფანგში, როგორ დავიკერე, რომ რამეს შევძლებდი, როგორი მიამიტი აზრია. თქვენ არც იცით რამდენჯერ მიტი-რია ამის გამო, ვიდრე არ მივხვდი, ვინ მოგვპარა ცხოვრება, გონი, აზრი და მასთან ერთად ცხონებაც. დიახ, ნუ გელიმებათ ბატონო, იქნება ახლა ვერც ხვდე-ბით რას ვგულისხმობ, მაგრამ დრო, დრო დაამტკი-ცებს ჩემს სიმართლეს.

- და მაინც ვინ? ძალიან მაინტერესებს ვინაა ის, ვისაც საერთოდ შეუძლია ამგვარი ძალადობა.

უცნაურმა მოსაუბრებ მანიშნა, მოიწიეთ და ყურ-  
ში ჩამჩრებულა ერთი მეტად ცნობილი კაცის სახე-  
ლი, დიდი მწერლისა და საქვეყნოდ ცნობილი ადამია-  
ნის. როგორც ჩანს, გაოცება გამომეხატა სახეზე.

- გიკვირთ არა? არადა, სწორედ ისაა ქურდი, ყა-  
ჩალი, ყველაზე დიდი ავაზაკი, მან უკლებლივ ყველა  
დაგვიმონა და საკუთარ მოვალეებად გვაქცია. სხვე-  
ბი ვერც კი ხვდებიან რა მახეშიც გაებნენ, მეც დიდი  
განსაცდელი გამოვიარე ამის გასარკვევად, მაგრამ  
ვამაყობ, რომ სხვებისგან განსხვავებით, მივხვდი,  
რა უბედურებაც მჭირს. რომ იცოდეთ, რა აღტაცე-  
ბული გავემართე საკუთარი ფეხით, რა სიმღერებს  
მიმღერდა ოცნების ქარი, რა თავანეული მივდიოდი,  
როგორ მსურდა ჩემი ცხოვრება მექცია სიტყვის მსა-  
ხურად, მეცხოვრა ისევე, როგორც დავნერდი, მე  
თვითონ ვყოფილიყავი საკუთარი თავის ხუროთ-  
მოძღვარი. და ასეც დავიწყე, დამერნმუნეთ, სწორედ  
ასეც ვიქცეოდი, პირუთვნელად მივყვებოდი გულის  
ძახილს და ვწერდი, ვწერდი, ვწერდი, ვცხოვრობდი,  
როგორც ვწერდი. მჯეროდა, რომ ასე ყველაფერი  
გამომივიდოდა. თუ ვიქნებოდი მართალი, უდრევი  
და ვიცხოვრებდი, როგორც მან“ აღნერა, აუცილებ-  
ლად გამომივიდოდა, მე შევკმიდი ნიგნს, რომელიც  
ერთდროულად იქნებოდა ჩემი ცხოვრება და სიტყვა  
და რეალობა გახდებოდა ერთი. ნლები მოვანდომე  
ამ ახირებას, ვიდრე უბედურება არ დამატყდა თავს,  
ვიდრე არ დაიქცა ჩემი ცხოვრება და ნამსხვრევებმა  
არ მომიყოლა. და აი, თქვენ მეკითხებით, მნერალი  
ვარ თუ არა?

- ცოტა არ იყოს, დამაბნიერთ. განა შესაძლებელია, თუნდაც ყველაზე დიდმა მწერალმა, საუკუნეების წინ გარდაცვლილმა, რაღაც მანქანებით დაიმონის ადამიანი და თან ისე, რომ ცხოვრება მოაძულოს? რაღაც კარგად ვერ გავიგე, ნუთუ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა მან თქვენზე, განა დიადთან შეხება არ გვაკეთილშობილებს და განა სილამაზე ჩვენც არ გვხდის ოდნავ უკეთესებს? იქნებ მეშლება რაიმე, რადგან ბეჩავი ვარ ლიტერატურაში და ბევრი არაფრი გამეგება.

მწერალმა თავი აქნია ერთი პირობა და ირონია  
გაყრთა მის თვალებში, მერე თვალები მოწკურა და  
უფრო ჩაისისინა, ვიდრე ჩაიჩურჩულა:

- ვაი რომ, სწორედ ასეა და ვაი რომ, მე მართალი ვარ. თუმცა ვგრძნობ საკუთარ უპირატესობას სხვა უბედურებთან შედარებით, რადგან მივაგენი ამ უბე-



ეყოფოდათ. ო, აქ მე უძლური ვარ, უძლური. იცით, ადამიანები აღმერთებენ ნატანჯას, ტკივილიანს და მე ამას ვერ შევცვლი. ფასს მხოლოდ ტკივილს ადებენ და თუ გაინტერესებთ ჩემი აზრი, ღმერთიც ასეთივე ჰყავთ, ნატანჯი და ტკივილებით საცხე, უძლური ვარ - თავი ჩაქინდრა ჩემმა მწერალმა. არ უყარო ბედნიერი კაცი, უძლური ვარ.

- იქნებ ბედნიერი კაცი არ წერს - შევეცადე რაღაცით გამექარვებინა მისი სევდა. აი, მე ბედნიერი ვარ და არასოდეს მდომებია დამეწერა ამაზე, ბედნიერება უბრალოდ ცხოვრის და არ ფიქრობს, ტკივილი კი გაიძულებს წერო, ან მუსიკა შექმნა, ან რაიმე, რაც სხვებსაც გაუზიარებს ამ ტკივილს, მე კი, გეთანხმებით, სიხარულის და ბედნიერების გაზიარება ცოტას თუ მოუვა აზრად.

- იქნებ, იქნებ მართლაც ასეა. განა ბედნიერება ეძიებს უკვდავებას, განა მას აინტერესებს მიღმიერი ყოფა, განა ის არა საცხე და სრული იმდენად, რომ სიკვდილიც კი გულის ჯიბეში უზის და მიჩვეული ჰყავს, განვრთნილი და დაამბებული? განა ყოველი უბედურება არ გვერეკება უკვდავების მოსაპოვებლად და განა უბედურება არ ეძიებს მარადიულ სიცოცხლეს, რათა სადმე მაინც პპოვოს სიმშვიდე? იქნებ თქვენ მართალიც ხართ და იქნებ ესაა მიზეზი, რომ ჩემი კალამი არ ჩქარობდა წერას, არ ჩქარობდა უკვდავყოფას? მაგრამ ჩემ მოულოდნელო მეგობარო, განა ბედნიერება არაა ყველაზე დიდი ილუზია კაცის ცხოვრებაში? განა მხოლოდ ტანჯვა არ გამოხატავს ყველაზე ზუსტად სიცოცხლის არსა? ბედნიერება ტყუილია და ტანჯვა კი ყველაზე მართალი, რაც შეიძლება გადაგვხდეს, და მხოლოდ ტანჯვასთან გამინაურება და მასთან მეგობრობა არის კიდეც ნამდვილი შეულა-

მაზებელი ცხოვრება. ოჟ, რა პრმა ვიყავი, როცა მჯეროდა იდილიური ოჯახური სიტკბოების, რა შხამს მიმზადებდა განგება, როგორ დარტყმას, ხანჯლის დარტყმას ზურგში, რადგან ერთ დღეს, მოვრალმა ყოველდღიურობს სიხარულისგან, აღტაცებულმა ოჯახური სითბოსგან, ნებიერად მივდე თავი დასასვენებლად, როცა ჩემმა მეუღლემ, ჩემმა მეორე ნახევარმა, საზარელი სიმართლე მითხრა. ერთ წუთში დასრულდა ყოველივე, ერთ წუთში. მითხრა რომ ასე აღარ სურს ცხოვრება, რომ უნდა დავშორდეთ, რომ სასამართლოში შეაქვს განქორნინებაზე განცხადება. მაგრამ ეს არ იყო საზარელი, ეს მშრალი სიტყვები არაფერს ამბობდა, მხოლოდ თვალები, მისი თვალები გასცემდნენ მის სიხარულს, ეს თვალები იმას ეკუთვნოდა, ვინც დიდხანს იყო ტყვეობაში, ვინც დიდი ხარკი გადაიხადა, რათა თავისუფლება მოეპოვებინა, თითქოს ავაზაკს გაურბოდა, ეს სიხარული მის თვალებში ამას ამბობდა, როგორ მოიხადა ვალი ადამიანმა და ახლახანს დააღწია თავი მონობას, ის, ვისთვისაც მთელი ეს დრო ტანჯვა იყო. გესმით მეგობარო, რა საზარელი სანახავი იყო ეს ჩემთვის? ის, რაც ჩემს ბედნიერებას შეადგენდა, რაც საზრისად იქცა ჩემი არსებობის, მისთვის მხოლოდ ნაბიჯი იყო გადასალახი თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ. მირბოდა, როგორც გაურბიან ავაზაკს, როგორც გარბიან ეგვიპტედან მონები, მთელი თავისი მონაგარით და სინანულის წვეთიც კი არ მიჰყვებათ წარსულიდან. სად მეპოვა ნუგეში? ბედნიერების ხანას მოშინაურებული სიკვდილი გულის ჯიბიდან ამოხტა და საშიშად დააღმ პირი, ეს ის სიკვდილი აღარ იყო, რომელიც მოთვინიერებული მყავდა, რომელიც ახლობელივით მესაუბრებოდა, რომლის წინაშეც უშიშარი ვიყავი და ასე განსაჯეთ, სხვების დარ-

- რა გითხრათ, ან რით განუგეშოთ, არც ვიცი. თან  
თქვენი ნაამბობიდან ისე გამოდის, რომ თქვენი სა-  
თაყანებელი მწერალი ირიბად თქვენს ცოლს დაეხ-  
მარა და არა თქვენ, თუ მის თვალებში ამოკითხეთ  
სიხარული და გამარჯვების ყიუინა გაიგონეთ, განა ეს  
იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მხოლოდ იარაღი იყავით  
და ნაყოფი, ის ნაყოფი, რომელიც თქვენი გეგონათ,  
მან მოწყვიტა და მაშინ გამოდიც, რომ თქვენ უბრა-  
ლოდ იარაღი იყავით თქვენივე საყვარელი კუმირის  
ხელში. განა ღმერთიც ასე არ გვექცევა? განა თიხა არ  
ვართ მის ხელში, რომლისგანაც რასაც უნდა იმას მო-  
ზელს - ზოგს საპატიო ჭურჭლად და ზოგს კი ქვენა  
მოხარებისთვის? შეხედეთ ამას ფილოსოფიურად, მე  
გირჩევთ. თუმცა თქვენმა ამბავმა ერთი ნაცნობი გა-  
მახსენა. ერთი ფრიად ღვთისმოსავი ქალაბრონი, რო-  
მელიც ათენ-ალამებდა ეკლესიაში და მუდმი ბიძლიას  
ჩაჰერიტებდა. რაც არ უნდა გეკითხათ მისთვის, ან  
სარაზე საუბრობდა, ან რებეკაზე, ხან რახელზე და  
ხანაც ესთერზე; რაც უნდა გაეკეთებინა, მარად მათ  
ადარებდა თავს. ამ საბრალოს შვილი გარდაეცვალა  
და როცა ვერ მონახა საკუთარ გმირებში მსგავსი რამ,  
საერთოდაც განუდგა ეკლესიას და ღმერთს გაუნაზენ-  
და, როგორც პატარა ბავშვებმა იციან, არადა, რა მარ-  
ტივია ზოგჯერ თავი ეძებო არა სარაში, არამედ აგარ-  
ში, არა რუთში, არამედ ძალიან ადამიანურ ორფაში,  
არა ესთერში, არამედ სამართლიანად აღშფოთებულ  
ვაშთიში. განა ჩვენ, ქრისტიანები, სწორედ ამდაგვარი  
გაგდებულების, ზურგშექცეულების, დაცემულების,  
ურჩებისა და მეტად სუსტი ადამიანურობის ერთობა  
არ ვართ? არა, არა, უფრო პირიქით, ვინაიდან დავ-  
ბრუნდით შუა გზიდან, ვინაიდან გაგვაგდეს უდაბნო-  
ში, სადაც არც წყალია და მხოლოდ უფლის სული დაფ-  
რინავს, რადგან გაგვაშიშვლეს და ისე დაგვიპირეს  
ხალხის ნინაშე გაგდება, რადგან ვერ ავიტანეთ, ვერ

შევქელით, ვერ გამოვდებით, აი, ამიტომ ვგქვია ქრისტიანთა ერთობა. ნუ იდარდებთ იმას, რომ ადამიანების წინაშე ხართ ვალში, ჩვენ განუზომლად დიდი ვალი გვაქვს ყველას, მოწყალებისა და წყალობის ვალი. მე საიდუმლოდ გეტყვით, თავესუფალი ადამიანი ვარ და არავისი მმართებს რა, მაგრამ სწორედ მოწყალების წინაშე ვარ ვალში და ახლაც, აქ რომ ვზივარ, სწორედ ესაა ამის მიზეზი. ოუმცა ადამიანის წინაშე ვალი ამცრობს, მოწყალების წინაშე ვალი კი აღამაღლებს მას. ნუ გაუძალიანდებით ამ ვალს, ის ერთადერთია, რის გასტუმრებაც ჭეშმარიტ ბედნიერებას მოგიტანთ. ახლა გისტენდით და უჩვეულო კითხვა დამებადა, თქვენც ალბათ მთავარ გმირებს მისდევდით არა? ალბათ მათი ფილოსოფიით იცხოვრეთ? ნუ დამიმალავთ, თუ ასეა, მაშინ ჩემთვის ნათელია თქვენი დაცემა, თქვენი პიროვნული მარცხი. ნუ მიწყენთ, მავრად ეს ჩვენივე ამპარტაცნებაა, ჩვენი თვითდაჯერება და თვითკმარობა, მიზეზი ყველა ადამიანური უბედურების და ისლა დამრჩენა, მხოლოდ გითანაგრძნოთ თქვენი შეცდომით გამოწვეული ტყივილის გამო, ადაპიანური, მეტად ადამიანური შეცდომის.

მნერალი თავტაქინდრული მისმენდა, მერე უსია-  
მოვნოდ შეიშმუშნა, მიგვდი, რალაცის თქმა სურდა,  
მაგრამ მოულოდნელად გვერდით მაგიდასთან მკვეთ-  
რად აუნიეს ხმას.

- მე ძმაო, ფული რომ არ მაქვს, ვერც დამყავს ცოლ-შვილი კურორტებზე და სხვისი ფულით კურორტებზე სეირნობას სანამ არ მოიშლი, მანამდე იქნები ამ დღეში. თითქმის ყვირილით მიმართავდა ჩაფსკვნილი კაცი მის ნინ მჯდომარე ხმელ კაცს. სახეზე წამონითლდა და უკიდურესი სიბრაზით აპრიალებდა თვალებს, ჩია თვეის ჩართულობას კვლავ პირჯვრისწერით გამოხატავდა, თითქოს ეს მაგიური ქმედება იყო, რომელიც შეაჩერებდა უსიამოვნო საყადარს.

- კარგი, გოგი, ხომ იცი, რომ არსად კურორტებზე არ დავდივარ, ჩავალთ ახლა და გაგისტუმრებ რაც მმართებს, რა მოგვიდა შე კაცო, პატარაზე მოითმინა. - კაროლინბი ხმელი მის ადამიერინებას.

- ხო, მე რომ არ მიმეუყნებინე კუთხეში, კიდევ ასი  
წელი არ დამიტრუნებდი, ბანკი ხომ არ ვარა ასე ვარი-  
გო ფულები და მერე გელოდოთ თვეები. ან რა მჭირდა  
ოზურგეთში წასასვლელი და შენი კუდში სადევნი, ქვე-  
ყანა საქმე მივყარე და ამხელა კაცი ღმერთმა იცის,  
სად მოაყვაბი.

- უფალო შეგვიწყალე და გადაგვარჩინე, რა დღე-  
ში ვართ ქართველობა, ერთი ვალიდან მეორეში ვაბი-  
ჯებთ ფეხს, შენ დაიფარე ივერია და დროზე გააბ-  
რნყანე, ეგება ამოვისუნთქოთ ამ გაჭრვებულმა ხალ-  
ხმა. - ჩილაპარაკა ჩია კაცმა, თითქოს სიტუაციის  
განმიხტყა უნდოდა.

- ხედავთ მეგობარო? მომიძრუნდა ჩემი თანამ-  
გზავრი ჩურჩულით, ხედავთ რა ხდება დუნიაზე? ქვა  
რომ ააგდო ან მოვალეს დაცემა ან მევალეს. და სრუ-  
ლიად დარწმუნებული ვარ, ამ ყოველივეს უკან დგა-  
ნაა ავაზაკთა სახელები. ეს ბოლო ფრაზა შეთქმული-  
ვით ჩაიწერჩულა და თვალი ჩამიკრა.

- არა, არა, ნუ ფიქრობთ ასე შევეცადე შეწინააღმდეგება, არა მგონია იდეალებს იყოს ყველა გადაყოლილი. თქვენს შემთხვევაშიც რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს, ნუ დაემდურებით დიდ გენიოსს. იცით, მე ერთ რამეს გეტყვით, დამეჯერება, რადგან ვიცი რასაც ვამბობ. ქალები ასეთი არსებები არიან. მათ არ შეუძლიათ თავგადასავლების გარეშე ცხოვრება, მალე იწყენენ და ცხოვრების აზრს კარგავენ, ხოლო მათი ყველაზე საყვარელი გასართობია ისეთი სიტუაციების შექმნა, სადაც თავს ნარმოიდებინ ტყვეობაში, რომლისგანაც ვინმეტ უნდა იხსნას. სხვანაირად არ შეუძლიათ, ამას მაინცდამაინც გაცნობიერებულად არც აკეთებენ, მაგრამ აი, ჩევეულებრივი ქალი ავილოთ, რომელიც ოცი წელი ოჯახს ემსახურა, სადილები ამზადა, ალაგა, ბავშვები გაზარდა. ასეთი ქალები დაძინებამდე მხოლოდ ერთზე ოცნებობენ, გამოჩნდეს კაცი, ვინც იხსნის ტყვეობიდან, მოიტაცებს სამზარეულოდან, რომელიც ქაჯეთის ციხედ ნარმოუდგენია და ვრცელ და გამოილ ალაგას ნარიტაცებს, შესთავაზებს გულს და გრძნობებს. თუმცა ჩემი მეგობარო, გავა რაღაც დრო და ყველაზე გამოილი ველიდანაც მოინდომებს ის განთავისუფლებას. რადგან ესაა მდედრი, მას მხსნელი სჭირდება. ესაა მისი ცხოვრების საზრისი და თუ თქვენს შემთხვევაში მან თავი დაიხსნა მარწუხებისგან, რომელიც თავად მისმა ფანტაზიამ შექმნა, აქ არაფრ შუაშია დიდი მწერალი. აბა ნამოყვით ჩემს აზრებში და დამეთანხმეთ, რომ ასეცაა. და ამიტომ ხდება, რომ გუმინდელი მხსნელი უეცრად იმ ურჩხულად გადაიქცევა, ვისგანაც დასახსნელია მრავალტანჯული ქალი. თქვენც ეს ბეჭდი გენიათ ჩემი უცნობო მეგობარო და დიდად ნუ გაგიკვირდებათ.

ჩემი თანამგზავრი თაგანინდორული მისმენდა. ჩანდა, რაღაც მოედო მის გულს ჩემი ნათქვამიდან. მაშ არაა საშველი? მაშ არაა ადგილი, სადაც მიდებს კაცი თავს მშვიდად?

- ქალები, მერწმუნეთ, თქექმულ კავშირში არიან ნარმავლობასთან და ნუ იდარდებთ, თუ ოდესლაც მხსნელი ურჩხულად იქცით. რა არის ამ ნუთისოფელში მდგრადი, რომ ეგ იყოს. განა დიდი გენიოსიც მაგას არ გვეუბნება? რა არის ისეთი, რაც არაა ნარმავლი, რასაც მოეჭიდები და ხელიდან არ გაგისხლტება? გიხაროდეთ მეგობარო, თქვენ ხომ მარადიულობის ნაწილი გახდით.

- მარადიულობის, ჰმ! არა მგონია, მოვალეთა დიდ არმიას შევურთდი, თუ გინდათ თქვათ, რომ ისინიც მარადიულობის გამო გახდნენ მოვალენი?

- რატომაც არა, ასეც შეიძლება ითქვას. ყველა, ვინც ამ ორმოტრიალშია ჩაბმული, სწორედაც და უცილობლად ხდება მოვალე. მგონი, ეს ზუსტი ნათქვამია.

- და თქვენ ვინ ხართ, რომელ მხარეს დგახართ? მოვალე ხართ თუ მევალე, რომელია თქვენი ადგილი? უკაცრავად, რომ მხოლოდ ახლალა ვკითხულობ თქვენს სახელს.

- მანგო მქვია, იცით ალბათ ეს ეგზოტიკური ხილი. ტკბილ-მნარე ხილია. საქმე ისაა, რომ მე გავექცი მარადიულობას, წუთისოფლის ნარმავლობას, ჩემი ხევედრი ვიპოვე ამ სამყაროში და არც გავცემ და არც ვილებ. ასე უფრო მშვიდად ვარ. უბრალოდ გზას მივყვები, ჩემს გზას, სადაც მიმიყვანს, ისაა ჩემი ხევედრი და ვისაც გადამყრის, ისაა ჩემი საგზალი. თავისუფალი ადამიანი ვარ და ვხეტიალობ სამყაროში.

- ჰმ, სხვა დროს ალბათ შემაშენებდა ასეთი ადა-

მიანი, ახლა კი ვგრძნობ, რომ თავად გაეხდი ბედისწერის სათამაშო და ალარ მაშინებს მსგავსი ამბები, უნაპირო ამბები, უთავგბოლო ამბები, უკიდეგანო ამბები. ვხედავ, რომ გრძნეული ხართ, რახან ასე ოსტატურად შეძელით თავის გარდები და საოულდან გამოსვლა. ისლა დამრჩნია, მშურდეს და შეგნატროდეთ, არადა, ცრემლები მახრიბს, მე ხომ თავად შემნატროდნენ სულ მოკლე ხნის ნინ და არცუო უსაფუძვლოდ.

- არა, არა, საშიში არაფერია, ჩათვალეთ რომ ტაძარში ხართ. ეს არც ისე არარეალურია. ჩემთვის მატარებელი არის კიდეც ტაძარი, ბავშვობაში მან მაზიარა შორეთს და მან ნარიტაცა ჩემი გონი და სული, მისი რეინის სხეული სავსებით შეიძლება ტაძრად ჩაითვალოს, ასე ვთქვათ, სინმინდეა ჩემთვის. აქ სანთლების მაგივრად, ადამიანების გულები ინთება, მოკლე შევედრისას თავის ამბებს ყვებიან ალსარებასავით, რათა მერე სამუდამოდ დამორდნენ და დაიმარხონ საიდუმლოსავით საკუთარი ამბები. ვერცერთი მღვდელი ესე ვერ შეინახას ალსარების საიდუმლოს, როგორც მატარებელში მოსმენილ ამბებს ინახავენ. ამიტომ საშიში არაფერია.

მატარებელი გორში გაჩერდა, გამცილებელმა ნახევარი საათი ვიდგებითით. ჩემს თანამგზარს შევთავაზე ცოტა დავილოთ-მეთქი და მატარებლიდან ჩავედი. ბაქანზე ჩამნერივებულ ერთ მაღაზიაში შევედი და ორი ბოთლი წითელი ლვინო ვიყიდე, მისაყვლებელი ბევრი არაფერი ჰქონდათ და ამიტომ მადისალმძრელ ცხელ მოთებზე შევჩერდი, ორი ბოთლიც ავიდე და უკან დავპრუნდი. გამცილებელს ჭიქები ვთხოვე და დაგასხი მუქი, ბლანტი სითხე.

- მოდით, დალიეთ მეგობარო და დაივინყეთ თქვენი გასაჭირი, განა ამისთვის არ მოგვეცა ეს ღვთიური სითხე, რომ გავატანოთ მას ყოველი სიმძიმე. აიღოთ, გასინჯეთ, დალიეთ, ესაა ვაზის სისხლი, დალვრილი ტკივილის შესამსუბუქებლად. ჭიქა პირთან მიუვტანე და მანაც თვინიერად მონრუპა. ეზიარეთ ამ ღვთაებრივი სითხეს, ამბობენ, მასში ჭეშმარიტება იმალებაო. მნერალმა პური მოიტეხა და მიაყოლა.

- დალიეთ მეგობარო, დალიეთ, მოდით, ჭიქა მომიტაბუნეთ და დაე, არასოდეს გვეფიქროს ვინმეს გადარჩენა, ვინმეს ხსნა, ვინმეს ამოყვანა ჭაბდიდან, რადგან არაა ეს ადამიანის დანიშნულება და არა ის ამისთვის მონდებული; არამედ გვეცხვოვროს უბრალოებაში, გვეცხვოროს ლალად და მოგვეცეს იმის ცოდნა, რომ ყველანი დახსნილები ვართ და გადარჩენილები. აი, სადლეგრძელოც გამოცხვა. ჩემმა თანამგზავრმა ჭიქა ჩაცალა და გვერდით მსხდომებს გადაანოდა, მოდით, დაგვილიერით ერთი ჭიქა, დავილოცოთ ძმებო. ჩია კაცმა პირჯვარი გადაინერა და ჭიქა გამოართვა. უფალმა დაგლოცოთ, ჩაიძურტყუნა და მოსვა. მერე ჩაფსვნილს გადაანოდა, იმანაც გამოართვა, ქართველებს გაგიმიარჯოს და დალი.

- საით ძმებო, - იკითხა ხმელმა და ჭიქა ჩამოართვა ჩაფსკვნილს.

ბათუმში მივდივარ, რაღაც წვრილმანი საქმეები მაქსის, - თქვა მნერალმა.

- მე დასავლეთში მივდივარ, მეც საქმეები მაქსის, ეგაბა, რომ არ ვიცი, იქ სად გავჩერდები, - ვთქვი მე.

- შენი სახელი ძმაო? - იკითხა ხმელმა.

- მანგო ჰქვია, ეგზოტიკური ხილივით, ჩემს მაგივრად უპასუხა ჩემმა თანამგზავრმა.

ჩიამ ჩემი სახელის გაგონებაზე ყოველი შემთხვე-

ვისთვის პირჯვარი გადაიწერა და ფანჯარას გახედა ცარიელ მზერით. ღვინოს და პურს ვეზიარეთ ყველა და ერთხანს სიჩუმე ჩამორვა.

მატარებელი კვლავ დაიძრა, ფანჯრებს მანანა-ლა ბავშვები მოხვდნენ, ხელით გვანიშნებდნენ, საჭ-მელი გადმოგვიგდეთ, სირბილით მოვცვევებოდნენ ერთხანს და მერე ჩამორჩნენ. ჩემს ფიქრებს გავყევი, შემიყოლა ფიქრის ლაბირინთმა.

აյი გითხარით, მას შემდეგ, რაც გავეცალე ყვე-ლაფერს და საკუთარ გზას დავადექი, სამყარომ ერ-თგვარ თამაში ჩამითრია, მინიშნებდებს მაძლევს და მე მიყვები მათ. მაშინ, როცა ეს გადაწყვეტილება მი-ვიღე, დამეტმო ცხოვრების ორომტრიალი, ბუნდოვ-ნად ნარმომედგინა რას გავაკეთებდი, როგორ ვიცხოვ-რებდი და რა იქნებოდა. სამსახურს დავეთხოვე, ძე-ლი ჩვევები მივაგდე და ერთბაშად სიცარიელეში აღ-მოჩნდი. მხოლოდ იმას ვნატრობდი, მქონოდა ვეღი, თუნდაც მცირე, მაგრამ სამოქმედო, სადაც გავახა-რებდი ჩემს არსებობას, სადაც ნოყიერი ნიადაგი იქ-ნებოდა ჩემი შიმშილის დასაქმაყოფილებლად. სამყა-რომ ყური მიგდო და ასე დაიწყო ჩემი თავგადასავლე-ბი. აი, დღესაც ეს უცნაური ადამიანი გავიცანი და საქმე იქამდე მივიდა, ვაზიარე კიდევ. ჯერ კიდევ არც ისე შორეულ წარსულში, როცა ტაძარში დავდიოდი, მე თავად ვეზიარებოდა, აღსარებას ვაბარებდი მღვდელს, ასე ვთქათ, მრევლის რიგებში ვიყავი და აი, დღეს თავად ვეზიარე და სხვაც ვაზიარე. ვინ იფიქ-რებდა, რომ დასავლეთის მატარებელში გადამხდებო-და ეს უცნაური ამბავი და მღვდლობას შევითავსებდი, თუმცა რაღაც დროიდან აღარაფერი მიკვირს, მე ხომ სამყაროს თამაშს დავთანხმდი .ის კი უცნაურ მოსახ-ვევებს მთავაზობდა და მაოცებდა გზების სიჭრელით. ახლა მგონია, რომ მორწმუნე არც არასოდეს ვიყავი, დავდიოდი ტაძარში როგორც ყველა, აღსარებას ვა-ბარებდ როგორც ყველა და ვეზიარებოდი სხვების მსგავსად. განა მაშინ ვიაზრებდი რას ვაკეთებდი? არა მგონია, ეხლა უკვე აღარ, დღეს ამ მატარებელში მივ-ხვდი მხოლოდ რომ არა. ასე რომ არ იყოს, ხომ მშვე-ნივრად მეცოდინებოდა, რომ არანაირი ქრისტიანი მე არ ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ, იმასაც მივ-ხვდებოდი რომ არც სხვები იყვნენ ქრისტიანები. ჩვე-ნი ქრისტე ხომ ეკლესიოდან გამოსვლისთანავე სრულ-დებოდა. არაფერი, რასაც ვამბობდით ან ვაკეთებდით, არ იყო ქრისტიანული, მაშინაც, თუ სიკეთეს ვჩადიო-დით და ზნეობრივად გამართულად გსაუბრობდით. ქალები არასიდეს ყოფილან ქრისტიანები ჩვენში, არა-სოდეს ჩაუთვლიათ, რომ ქრისტემ პირადად მათთვის გასწირა თავი, სულიერი გმირობის უმაღლესი საქმე ჩაიდინა მხოლოდ იმისთვის, რომ ღმერთისგან მათი ხელის თხოვნა შეძლებოდა ჯილდოდ, განა თდესმე ჩა-უთვლიათ თავი პატარძლად, რომელიც ქრისტესთან მიყავთ ნიშნობაზე? თუმცა კი უამრავი ქალი სწორედ ამაზე ოცნებობს, ერთია, ზეციურ საქმროს იმედად მონაზენებიც აღარ რჩიბან მონასტერში და სრული-ად რეალურ და ხორცებს ხმულ ქრისტეს მსახურებს უზიარებენ სარეცელს და გულს. იმას ვამბობდი, არა-სოდეს ვყოფილვართ ქრისტიანები, რადგან სიკეთის კეთება ან ზნეობრივად გამართული საუბარი არ ყო-ილა ქრისტიანობა, ისევე როგორც სიავე და უზნეო-ბა არ ყოფილა ანტიქრისტეობა. ადამიანი მხოლოდ თავის გულისნადილს მიჰყება და ხან ასეა და ხან ისე, ჩვენ კი ყოველივე კარგს ქრისტიანობას ვარქმევთ. მა-

შინ რომ გეთქვათ ჩემთვის არ ხარ მორწმუნეო, გავ-ბრაზდებოდი და დუუმორეული ვეცლებოდი თქვენს გადარჩენებას, დღეს კი, როცა სამყარომ თავად მი-ბოძა მღვდლის როლი, სადაც აღსარებაც ჩავიბარე და ვაზიარე, დღეს აღარ ვფიქრობ, რომ ის ადამიანი, ვინც ტაძრის კარს ტკეპინდა, მორწმუნე იყო. მხოლოდ დღეს გავიგე, რომ ცოდნა და მხოლოდ ცოდნა გვაქცევს ქრისტეს მოწმებად, ისიც მაშინ, როცა ეს ცოდნა მო-დის თავად, თხოვნის გარეშე, როგორც გამოცხადება. და ეს ყოველივე თამაშის გამოისობით მოხდა, მხო-ლოდ თამაში გახდა სიმართლე ნათელი და მხოლოდ თამაშით გამოერებულმა დამასახა, რაოდნენ ბეცი ვი-ყავი. ახლა მგონია, რომ ვიდრე არ დატოვებ ეკლესიას და არ მიატოვებ მის ვედლებს, ვერც ვერასოდეს გახ-დები ქრისტიანი და ვერც ირწმუნებ ვერაფერს, თუნ-დაც დედა ტერეზა იყო ცხოვრების წესით. ესაა საი-დუმლო, რომელსაც სამყარო გიხსნის და რომელიც შესაძლოა მხოლოდ განიცადო. იქნებ რისი გათამაშე-ბაც არ შეიძლება, იმის გაგება არც გვინერია და რა-საც ვერ ითამაშებ, იქ ფანატიზმიც ახლოა. ფანატიზ-მი, რომელიც ყველაზე კარგად სწორედ ჩვენს უცო-დინრობას და ურწმუნობას მაღლავს. განა ცოდნა არაა ის მალამო, რომელიც წინააღმდეგობებისგან გვეურ-ნავს, ერთგვაროვან ბუნებას გვაძლევს და სიმშვიდე მოაქვს. განა ვნებებით დალლილი ადამიანი შეძლებს თქვას რომ ღმერთთან ახლოსაა? დიდად ვაფასებ ახ-ლა ამ თამაშს, რომელიც სამყაროს საჩუქარია, თამაშ-ზე გადის ადამიანური ცოდნის გზა და თამაშით ცხად-დება საიდუმლო. ერთხელ გვეძლევა ყოველივე, რო-გორც რეალობა, რომელსაც თავად ქმნის ადამიანი და მეორედ გვეძლევა როგორც თამაში, სადაც გაცხად-დება ცოდნა იმისა, რაც ადაფარული იყო თვალთაგან. ასე ასატანი ხდება ადამიანური სისუსტეების გაგება, მათი ტკივილის გაზიარება და თანაგრძნობა, ასე ხე-ლი თავად მიინებს ღვინისკენ, განსჯის გარეშე აზა-რებს ჭეშმარიტებას და თავადაც ეზიარება. მღვდლო-ბის საიდუმლოც ესაა, გამოცხადება სამყაროსგან, ფაქტის წინაშე დაყენება, გარდუვალობა. როცა სიკე-თის ქმნა არ გვიბიძებს მეორე ხელით სიავე ვქმნათ, როცა ლეთისმოსავი სიტყვების ნარმოთემისას შინა-განი ცინიზმი დადუმებულია და იქედნურად არ შე-მოვცინის სახეში. ქრისტიანობის ცოდნა მხოლოდ გამოცხადებით გვეძლევა, მანამდე არ გვეთქმის, რომ რწმენა გვეჯვს. გამოცხადებას კი სამყარო გვთავა-ზობს. იქნებ ამიტომაც დადუმებულან ისინი, ვისაც უკრძნია და ვისაც გამოცხადება ჰელინია მათ წინაშე, ვინც უსასარულო რიტუალებში ეძიებს რწმენას და ქვს ტაძრებით საზღვრავს უფალს. ნუ გაგიკირდებათ, როცა გმერზავრობ, განწყობილი ვარ განსჯისკენ, ვცდი-ლობ ამოვხსნა იღუმალი აზრი, როცა მგზავრი ვარ ყველაზე ახლოს მაშინ ვარ სამყაროსთან. როცა მგზავ-რი ვარ, არც კი ვიცი დასრულდება თუ არა ეს მგზავ-რობა, სევდამოცული თავს ლერთად ნარმოიდები, რომელმაც ეს-ესა ყოველივე შექმნა და ჩამოჯდა და-სასვენებლად. მგზავრი მეცეა საკუთარი თავის და მესმის, ძველად რატომ არ ევალებოდა მგზავრს მა-ხვა, თუ ის გზაში მოუსწრებდა, ან დღეს ასატანი და ლოგიკური გარეშე ჩამოიქმნება. ადამიანი მხოლოდ თავის გულისნადილს მიჰყება და ხან ასეა და ხან ისე, ჩვენ კი ყოველივე კარგს ქრისტიანობას ვარქმევთ. მა-

მისი გული, ვფიქრობდი ჩემთვის, მასაც აეხილა ჩემ-  
სავით თვალი და დაინახა რაიმე, რაც აქამდე არ იცო-  
და? მანაც გამოიჭირა საკუთარი თავი და ახლა ამაზე  
დარღობს? მეზობელ მაგიდასთან ჩურჩულით საუბ-  
რობდნენ, ჩია კაცს კი ჩასძინებოდა.

- იცით, ჩემი ცოლი არ იყო სილამაზით გამორჩევული ქალი და მე არასოდეს მითქვამს მისთვის რომ ლამაზია, არასოდეს შემისხამს ხოტბა მისთვის, არც შემიქია, თუმცა ის ამას ათასგზის იმსახურებდა. რა უწნაურია, მხოლოდ ახლა მათცებს ის, რომ მნერალმა კაცმა არასოდეს დავუშვი, რომ სატრფო მყოლოდა და ცოლის სილამაზე დამენახა. იქნებ ეს სწყინდა კიდეც მას, იქნებ სწორედ ამიტომ დაუსვა ყველაფერს ნერტილი, რადგან უნიათო გამოვდექ? იქნებ ყველაფერი სწორედ ასეა და არა სხვანაირად. - ჩემი თანამგზავრი ამას თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა, კვლავ ფანჯარაში იყურებოდა და ასე საუბრობდა.

- ყურადღება, გაუთვალისწინებელი ტექნიკური  
მიზეზების გამო, მატარებელი ვერ განაგრძობს გზას,  
შევჩერდებით ოზურგეთში დილამდე, ვიდრე არ ჩა-  
ტარდება აუცილებელი სამუშაოები. ყველას გთხოვთ,  
გაგებით მოეკიდოთ შექმნილ ვითარებას! - გამცი-  
ლებელი ვაგონიდან ვაგონში გადაადგილდებოდა და  
მონოტონურად იმეორებდა ტექსტის. ყველა შეფხიზ-  
ლდა, ხალხი უკავშირდებას გამოხატავდა, მოგუ-  
დულად ისმოდა ალმაზოთებული ხმები.

ახლა რა ვქნა, რა გზას დავადგე, გავითქიქრე ჩემ-  
თვის და თვალი მოვალე დანეცულ სახეებს. ჩანს მა-  
თაც ვერ გაერკვით რა სჯობდა.

- რას აპირებთ? - მეტოხა მწერალმა და ისე რომ პასუხსაც არ დალოდებია, გააგრძელა. - ჩავალ და იქნებ სამარშრუტო ტაქსს გავყვე, ეპ, ასე რომ მცოდნოდა, თავიდანვე სამარშრუტოს გამოვყვებოდი. ახლა ორმაგი დამიჯდება ბათუმში ჩასვლა.

ჩემს წინ კაცები აიშალნენ, ოზურგეთში მიმავალი სხვა მგზავრებივით.

- ნამოდით, ნამოდით, თუ მოიფიქრებთ, ჩემს ნა-  
თესავს დიდი სახლი აქვს და ოთახებსაც აქირავებს. - შეგმომთავაზა ხმელმა კაცმა. ამაღამ დარჩით და დი-  
ლით გააგრძელებთ გზას.

რომელი გზაა კარგი და რომელი ცუდი? რა იცის ადამიანმა სად რა ელოდება და როგორ განსაზღვროს მართებულია თუ არა გაუყვე რომელიმეს? ან კი ბოლომდე გზის გამვლელმა იცის კი რა მისცა გზამ, რა მოუტანა, ან რა წაართვა? ბრმად მივყვებით ჩვენ ამ ბილიკებს და შეფასებაც არ შეგვიძლია. როგორც არ შეგვიძლია შევაფასოთ რაღაც გენიალური, ძალზე დიდი, ასე არ შეგვიძლია ვიცოდეთ, გზა დადასია თუ არა. რა მიდის ჩემი? გამოგვყევიო მთხოვეს ერთ გზაზე და მეც ბევრი არ მიიღირია, დავთანხმდი.

ასე აღმოვჩნდი ციტრუსებში ჩაფლულ ეზოში, სა-  
დაც მართლაც დიდი ზომის სახლი იდგა. დიასახლი-  
სი პატარა, სავსე ტანის და მხიარული გამომეტყვე-  
ლების ქალი გამოგვეგბა ჭიშკართან და შინ შეგინა-  
ტიუა. ჩანდა, მისოვის ჩვეული ამბავი იყო სტუმრე-  
ბის მიღება. ქალი რაღაცას ამბობდა, მე კი თვალი  
გავუშტერე მის წითლად შეღებილ თმას და ამ წითელ  
ფონზე ფიქრებმა უკან, მატარებლის ბაქანზე წამი-  
ლო, სადაც ჩემს მწერალს გამოვემშვიდობე. ერთხანს  
ჩუმად ვიდექით, მერე მითხრა, წავალ აბა მეო და ჯი-  
ბებში ხელჩანყობილი გაუყვა ბაქანს. მე მის ზურგს

კუყურებდი. ერთხელ შემოტრიალდა, ხელი ამინია და ისევ განაგრძო გზა. ცოტა ავღელდი, უკვე რაღაცნა-ირად ახლობელიც იყო ჩემთვის და ასე გაუჩინარდა. ალბათ ველარც შევხვდებოდი. სევდა მომექალა. ქა-ლის ხმაშ გამომაფხიზლა.

- ნამობრძანდით, თქვენს ოთახს გიჩვენებთ, - მიღლიმოდა თავწითელა, - ახლა სეზონი არ არის და არც სტუმრები არიან, მაგრამ ოთახი მზადდა, მხოლოდ თეთრეულს გამოგიცვლით, - მიხსნიდა ქალი. მორჩილად გავყევი, დერეფნული სისტემის სახლი იყო, უფრო დანერგულებას ჰგავდა, ვიდრე სახლს. დერეფნის ბოლო ოთახში შემიძლვა, რომელშიც ორი საწოლი იდგა და ერთი მაგიდა სკამით, კედელთან თარო ები მიედგათ, როგორც ჩანს, ტანსაცმლისთვის. ფანჯარა შიდა ეზოში გადიოდა, ციტრუსების ბალში. სასიამოვნო გარემო იყო და ძალიანაც მომენტია. - სადილი შედის ამ თანხაში, - ამიხსნა დიასახლისმა, - ახლა სუფრას გავშლი და ჩამობრძანდით პირველ სართულზე. სიხარულით დავთანხმდი, რადგან დილიდან ლუკმა არ ჩამედო პირში და გვარიანადაც მშიოდა. ჩემი ზურგჩანთა სკამზე ჩამოვდე, ამ ზურჩანთით მხოლოდ აუცილებელი ნივთები დამჭონდა - ერთი ხელი ტანსაცმელი, ასევე პატარა ბლოკნოტი, რომელშიც დროდადრო ჩანაწერებს ვაკითებდი. შეაპიშივილე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და დერეფნში გამოვედი. დერეფნანი არც ისე განათებული იყო, იატაზზე გრძელი ხალიჩა ეფინა და ნაბიჯების ხმა არ ისმოდა. შეიძლება ამიტომაც ვერ დამინახა ჩვენმა თანამგზავრმა, რომელიც ზურგით იდგა და ძველებური ღუმლის ღრიჭოში რაღაცას უჩინებდა. ყურადღება არ მივაქციე და ქვემოთ ჩავედი. სუფრა უკვე გაშლილი იყო, მაგიდაზე ორი თევზი და ხუთი პური იდო. ჩანდა, სხვები არ პაირებდენენ ჭამას, იქვე ბუხართან დივანზე ისხდნენ და გაცხოველებულად საუბრობდნენ. მავიდასთან დიასახლისმა მიმიპატიუა. ამასობაში ჩაფსკვნილიც ჩამოვიდა და შეუერთდა მათ.

- ଡାମ୍ଭେଜୁପ୍ରେକ୍ଷନ ରୋମ ଦାନଙ୍କିଫାରନ ଲୀଜ୍ ଆପିଲ୍ ଯୁଣିଟ୍, ସାଉକ୍ରାନ୍ତେଶ୍ଵର ମେଗରୋଡାର୍କ ହିଂସାଗତ୍ତେ ଗାଲାଫିରିଶ୍ରୀ, - ନୀଳିଟି-ରା ଲୋକାଶବ୍ଦିଲିମା, ରୋମରେଲ୍ସାଫ୍ ନାନ୍ଦୁଲ୍ଲି ର୍କ୍ଷମ୍ଭାବୀରୀବା. - ମିଳି ମିଳିନା ହିଂସାଗତ୍ତେ, ହିଂସା ହିଂସାଦ୍ୱୀପିତ୍ର ଅରାଫ୍ରେରୀ ଗ୍ରେନିଲ୍ଡା, ୩୦-ରାଫ୍ରିନିଟ ଗାଫାକୁଥିବିତ ଅବଳା ମାଗ ପରିଚ୍ଛେନ୍ତିର ହିଂସା ଏବଂ ଏକାର୍ଗୁଲ୍ରିଆ, ମାଗରାମ ପାତ୍ରିନ୍ଦରାନ୍ତିର ବାଲିନ୍ ପାରିତ ଏବଂ ରୋ ଗ୍ରେନିଟରା କ୍ରିଲିଓମ ମେକିରିର୍ଦ୍ଦେବାର, କୌ ଲୋକାଶବ୍ଦିରେ.

ჩაფლების უსიამოვნობ შეიმუშავა, თითქოს არ მოეწონა ნანულის ნათქვამი და აროხეროხდა.

- კაცი თუ პატიოსნებას დაივიწყებ, კაპიკია შენი ფასი. ვალს გასტუმრება უნდა, ლირსეულ ხალხთან და ნამდვილ ვაჟებაცებთან არ უნდა შეირცხვინო პირი, ესაა ჩვენი ქართველობა, მეტი რა. სულ არ მიკვირს ეგ მე. აგრე მე თვითონ რომ დამტკირდა ჩემი შეიღლის ქორნილისთვის ფული, ვალი არც ამიღია, ჩემი სართულის ქვემ ნახევრადსარდაფი მქონდა, ეძრაელი ოჯახი ცხოვრობდა, დედა, მამა და შვილი. ერთი ჩია, განუწნული კაცი იყო ის ებრაელი, ფოტოგრაფი, ცოლიც თავისი სწორი ჰყავდა, ჰოდა, ისრაელში მიღიოდნენ სამუდამოდ, ისე მოვაკვარახსჭინე საქმე, 3000 დოლარში გავისტუმრე და მერე გავყიდე 20 000 დოლარად და მეფური ქორნილი, პაეზდეკა” საფრანგეთში, ყველაფერი კაცურად გავაკეთე. იმათთვის ისიც ბევრი იყო, ატსტუპნოი“ ხო იცით, აი, ეგრე ჰქონდათ ეგ ბინა და მეტი ვივაჟებაცე. კაცმა

არ უნდა შეირცხვინო თავი. უმაღლესი ქორწილი იყო, მთელი თბილისი იმაზე ლაპარაკობდა, გოგიმ შვილი ისე დააოჯახა, ინგლისის დედოფალს შემურდებოდა. ასეა ძმაო, თუ გინდა კაცი გერქვას, უნდა შეინუხო თავი, აბა როგორ გინდა.

- გაიხარე გოგი, კაცური კაცი ხარ და გეეუთვინის ყველაფერი კაი, აგერ ნანული გეტყვის, როგორ ვნერ-ვიულობდი შენს ვალზე და ქე მოკვარახჭინდა ამფე-რად ეს საქმე.

- ჩვენ მართლმადიდებლები, რჩეული ხალხი ვართ, ქართველებს ღმერთი გადმოგვხედავს და გაგვამარ-ჯვებინებს. - პირჯვარი გადაინერა ჩიამ და იღუმალი მზერა მოავლო მსმენელებს.

მე ნელა ვჭამდი და ვუსმენდი მათ საუბარს, სახე-ებს, მიმიკას ვაკევირდებოდი და ისევ ვიგრძენი, რა შორს ნავსულვარ ადამიანების ყოველდღიურობის-გან, როგორ მეუცხოვა ყველაფერი, რაზეც ისინი სა-უბრობდნენ. ცოტა მომბეზრდა კიდეც გახსენება რა სამყაროდან მოვდიოდი და ავუჩქარე ჭამას, რათა დროზე ავსულიყავი ჩემს ოთახში და დამესვენა. ღა-მე ახლოვდებოდა და გამოიხებაზეც არ ვიტყოდი უარს, რაც არ უნდა იყოს, დღეს საკმარისზე მეტად დამდალა ემოციებმა, უნდა დამელაგებინა დღის ბო-ლოს თავში ამდენი სიახლე. მაღლობა გადაუხადე ნაჩქარევად დიასახლისს და ოთახში ავედი. ლოგინ-ზე ნამოვწერი და თვალები დავხუჭე, მინდოდა დღე-ვანდელი დღე გამერბინა კვლავ ფიქრებით. თუმცა ისეთი დალლილი ვიყავი, მაშინვე თავი მომტაცა ჰიპ-ნოსმა. ზმანება მეწვია ძილში. დიდ დარბაზში ვიყა-ვით მე, ჩემი ნაცნობი მწერალი, ჩემი ოანამგზავრები და ნანული. დარბაზი სავსე იყო ხალხით, დარბაზის ცენტრში მდგარ როიალზე ლამაზი ქალი უკრავდა, ყველა მას ვუსმენდით. იღვრებოდა ულამაზესი ჰან-გები, მაგრამ რატომლაც ყველა უსიამოვნო სახით იყურებოდა. მწერალი მომიბრუნდა და მეუბნება, ეს

ჩემი ცოლია, ნახეთ რა საშინლად უკრავს, მეშინია ხალხმა არ იხუვლოს და არ გადაჯეგონ. ძლიერ გა-მიკირდა მისი სიტყვები, რადგან მე ჩამესმოდა ღვთა-ებრივი მუსიკა, რომელიც სულს მიფორიაქებდა. ჩანს, დასხნრებები სულაც არ ფიქრობდნენ ასე. უცემ ნა-ნულიმ დაპკივლა, ჩვენებური დაუკარი რამე, ჩვენე-ბური, რას აბრახუნებ, არ იცი რამე ქართული, და-ლოცვილი. მას სხვები აპყვნენ. ჩაფსკვნილი ყვი-როდა, რისთვის მოგვიყვანეთ აქ, ამხელა კაცს სხვა საქმე არ მქონდა გვონიათ, ამის ბრახუნისთვის რომ არ მოგეცდინეთ? ჩია პირჯვარს სწერდა ქალს და შე-შინებული სახით იმეორებდა, ფუი ეშმაქს, უფალო გვიხსენი განსაცდელისგანო, მერე მოტრიალდა და დარბაზის მიმართა ხელაპყრობილმა, რა ხდება ქარ-თველებო, რას მოვესნარით ჩვენს ნილხვედრ მინა-ზე, ამის დაშვება არ შეიძლებათ. მას მხარს უბამდნენ სხვები და დარბაზი ივსებოდა უკმაყოფილო გუგუ-ნით - ესაა ჩვენი მამაპაპის შეურაცხყოფა, ჩვენი წმინ-და საგალობლებისა და მრავალხმიანობის გაბიაბუ-რება, არ დავუშვათ ქროლის აბუჩად აგდება და წი-ნაპრების გმობაო. ქალი კი უკრავდა, სულ უფრო გა-ტაცებით, მეტი ვნებით და მუსიკა ავსებდა ყველა-ფერს. მეშინოდა, რომ იხუვლებოდნენ და ქალს გადა-უვლიდნენ, მაგრამ ადგილიდან არავინ იძროლა, მხო-ლოდ გუგუნი ისმოდა მუსიკის ფონზე. შეშინებული ნამოვხტი, ოთახის კარზე ვიღაც გამეტებით აბრა-ხუნებდა. უცბად ჩავიცვი და გასაღები გადავატრია-ლე. ჩემს ნინო ორი პოლიციელი იდგა და გაკვირვებით მიყურებდნენ. აქ რას აკეთებთ მოქალაქე? ცოტა და-ვიპენი, მე მეძინა, რაშია საქმე? სადაა ქალბატონი ნანული, თვევნ არაფერი გაგიგიათ, შემეკითხა ერთ-ერთი. რა უნდა გამეგო, კიდევ უფრო დავიბენი. ქალ-ბატონი ნანული და მისი სტუმრები ნახევარი საათის ნინ გამოსალმეს ბანდიტებმა სიცოცხლეს. როგორ გამოსალმეს, სულ უფრო გაკვირვებულმა ვიკითხე,





Տագ, Ռուդուս, մյ արագյուրո զուցու, մեծնո. ჩամռճճաճա-  
ճուտ կը պատահ, ուշաբնան յուտեցեծ ցազեցէն, Շեմոմթա-  
զանի շրտմա մատղանմա. Հա ույմա սննդա, աելացը. Տատև  
ժաշեցաց, չը մեռլուն ձամին პորցելու ոյս. ցոնցեցա-  
ծո զեր զալացեցնու პոլուուրուլուս նատյամին. Տայլ րամ-  
ճենումը Տատևուն նոն իսնոն ցափարեցնու Տայլարուն ճաց-  
քուն պորցելու Տարուլուն, այ Եղմրճաճ մոմեհիցըն ճա-  
պոլուուրուլուս նատյամին. Ամուս մոյսեցազաճ Բայուցու  
ջեթիւ ճա Բայուցու կը պատահ. ոմ ոտաեծու ար Շեմոմթազէն,  
Տաթաճ ցշնոն ցուզանմին, პոլուուրուլուս լունգուր Յեշոն-  
ճաճ ցա ցայցելուն, մեռլուն ճաճաճ մոյզարու ուզա-  
լու ծրեցեցիւցաճաճայարեցնու Տայլեցն օագայիւ, Տայ-  
լայլուն, ցամեցն. Ենուու յս Տայլեցն օագայիւր, ցազուոյի-  
րու, Ենուու այս Ծրմաճ մեծնո, Ռոմ արացյուրո ցամոցու.  
Մերու Սուց մոյզեցնու, Հա Տեմտեցեցու ցաճայուրին օմա-  
ց Եցեցրս ճա ցամայրուուլա. Սուց Ենաբնօմա პոլուուրու-  
լումա ցայրեցնու ոտաեծու ցամունմ ճա ճանցրուուլուն օտ  
մոմայրուա Ռոցուր ճա Հա ցուտարեցամու ալմոցինճու այ,  
յուցաց Եցրու յուտեց ճամունու օի աճամանցնիւ, Ցոսաճ  
արաճ Կո Ցունոնճու Եցրուունաճ. Օս Ցուլուասմու Իներճա-  
պայլացյուր. Մերորու პոլուուրուլումա Տայլաճ Ցա Ցամարո  
յացա մոյզութաճ, յս ար ոյս Սորոց, Հացգան Շոյուրաճ  
ցամուսվալամ ճամեխմարու. Պոլուուրուլուս Տուպպացնուաճ  
ցազոց օս, Հաճ Մեխոնծլուն իներճան ցայլուատ,  
Ցորուութմոյմեջեցնու Տայլաճալաճ Ցա Ցամարուն, Ռոմ յալս  
Տաելուն ճուճու տանես սննդա Յեշոնուա, Ռոմ Պորցելու  
Տարուլուն Ցուլուանաճ անցրեցնու ոյս, Տացգամեսեմբ-  
լուն աշեարաճ Ցուլու Եցեցնեն, Ցացրամ Տուրենուս մո-  
աելունցնու եմանի ցայցնեն. Ճուլուս Եյտու Տատևու-  
տցուս Սուց Տրուլուաճ Ցենիւրուն ճա ճամշուրու Շե-  
ցոյեն. Ունալս Ցմաճլունճու ցաճարինուտցուս ճա օմաւ  
Ցոյիրունճու, Ռոցուր ցազուլունճու այսայրունաճ Հաճ Շե-  
ունլուն մալու, Ցուլուս աշեաճ Ցացեցնեն, Ցացրամ Տուրենուս  
մոաելունցնու եմանի ցայցնեն. Ճուլուս Եյտու Տատևու-  
տցուս Սուց Տրուլուաճ Ցենիւրուն ճա ճամշուրու Շե-  
ցոյեն. Ունալս Ցմաճլունճու ցաճարինուտցուս ճա օմաւ

კულავ ჩემს ოთახში ავედი, სანოლზე ჩამოვჯეოდა და კულილობდი თავს გადამხდარი ამბები დამელაგებინა. ისეთი ელვის სისწრაფით განვითარდა მოვლენები, გაზრდებაც ვერ მოვასწარო. უცებ რაღაც გამახსენდა, ნამოვხტი და დერეფანში გავედი. ძველ ლუმელთან მივედი და მის ღრიჭოში ხელის ფათური დავიწყებ. რაღაც იყო იქ. ფეხის წვერებზე ავინიე და შემრჩა პარკში გახვეული ნივთი. წვალებით გამოვაძრინებ და კულავ ოთახი დაგბრუნდი. პარკი გავხსენი და ხელში ფულის დასტა შემრჩა. საკამაოდ მოზრდილი დასტა ჩანდა, კულავ პარკში ჩავდე, როგორც იყო, და ზურგჩანთაში ჩავიდე. მერე ავკრიფე ჩემი ნივთები და ქვემოთ ჩამოვედი, პოლიციელებს დავემშვიდობე, მათ თავის მხრივ შემახსენეს რომ გამომიძახებდნენ თუ დასტირდებოდთ და ჩემს გზაზე მშვიდობით გამიშვეს. სადგურს ერთ საათში მივაღწი, ვრანიდან ფეხით გავლა მოვინდომე. ჩემი მატარებელი კულავ ლიანდაგზე იდგა და მგზავრებს ელოდებოდა. რამდენიმე საათი კიდევ მეტნდა და გადავწყვიტე სადმე მესაუზმა. ქალაქის ცენტრისკენ წავედი, გზად ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში. შეძრნუნებული ვიყავი მომხდარით და ჩემი ნაცნობი მწერლის სიტყვები ამომიტივტივდა გონებაში: ჩვენ ყველა ვალში ვართ დიდ მწერალთან, მან დაგვიმონა და ის წყვეტს, ვის რა ბედი გვაქვს". იქნებ მართალია, იქნებ მართლაც დიადი ხალხი საზღვრავს ადამიანის ცხოვრებას, მათი შექ-

ნაილი ნააზრევი ხომ არ იკარგება უკვალილდ. მერე რა, თუ თითქმის არავინ კითხულობს ამ სქელტანიან ნაწარმოებს, ხმა, რომელიც გაისმა, არასოდეს იკარგება უკვალილდ, მას სამყარო ინახავს და ამ ნააზრევით გვასამართლებს. სიტყვა პირუთვნელი მოსამართლეა, ზოგს წყალობად ევლინება, ზოგს ჯალათად, ზოგს კი წვრთნის. მისტიკაა თითქმის, მაგრამ წუხან-დელი ამბის შემდეგ, მზად ვარ ყოველივე დავიჯორ. ცენტრში კაფე ვიპოვე და შევედი გემრიელი საუზმის იმედით. მენიუ მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და სასურველი შეკვეთა მივეცი ლოყებლაუდა-უა შიძმანს. ზურგჩანთიდან პარკი ამოვაძერინება და ფულის გადათვლას შევუდექი, რვა ათასი ამერიკული დოლარი იღო. გავიფიქრე, ეს ალბათ სწორედ ის ვალია, რომელიც ჩემს თანამგზავრს გაუსტუმრეს, და ალბათ მანვე დამალა ლუმელის ლრიქოში-მეტე. სა-თუთად გადავთვალე მეტადი და რვაასი დოლარი ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე, დანარჩენი ისევ გადავახვივე პარკში და ზურგჩანთას დავუბრუნე. ეს ჩემი წილია, წილი, რომელიც ჩემმა მოგზაურობამ მომიტანა. კარგად დანაყრებული გამოვედი კაფედან და გზას დავადექი. პატარ-პატარა მაღაზიების რიგს მივუვებოდი და კვლავ იმაზე ვფიქრობდი, რა დიდი ცდუნებაა, ეძიო საზრისი ცველა მოვლენაში. არავინაა თანახმა უსაზრისო იყოს მისი ცხოვრება და მოვლენები, არავის სურს ბრმა შემთხვევითობა განაგებდეს მას და მის ბედს. საზრისით ბევრად ლირსეულად გამოიყურება სიცოცხლეცა და სიკვდილიც და ჩვენ მზად ვართ, საზრისი ძიებაში ხავსსაც მოვეტიდოთ. საინტერესოა, რა მანალვლებს მე იმ ხალხის სიკვდილში, რატომ ვეძიებ საზრისს მათ ტრაგიკულ ბედში. ამას ალბათ კაცობრიობის სახელით ჩავდივარ. უნებურად გამეღიმა. ქუჩის ბოლოში პატარა წიგნების მაღაზია დავლანდე. მაღაზის წინ პატარა მაგიდა გამოეტანათ, მაგიდაზე მცირე ზომის ყუთი იდგა, რომელსაც წარწერა ამშვენებდა, ახალგაზრდა ლიტერატორთა ფონდი". შესანირი ყუთი იყო. გოგონა ლიმილით გვიხმობდა, ჩვენი წვლილი შეგვეტანა. ნაბიჯს მოვუმატე და მაგიდას გაუსხორდი, მერე ზურგჩანთიდან სა-თუთად გახვეული პარკი ამოვალე და ყუთში ჩავაგდე. გოგონამ ლიმილით მადლობა გადამიხადა და ერთი წიგნი აიღო, ეს თქვენ საჩქარადო, შემომცინა. წიგნს დავხედე, ბედის ირონია ალბათ, ხელში შემრჩა ჩვენი გენიოსის ნაწარმოები. გულიანად გამეცინა, ისე რომ პატარა გოგონა დაიბნა. არ ელოდა, თუ ასე გამიხარებოდა მისი საჩქარი. დიდი მწერალია, ვუთხარი დაბეჭულობის განსაქარვებლად და დავემშვიდობე. რას იტყოდა წეტავ ახლა აქ რომ იყოს ჩემი მწერალი, რა აზრს ჩააქსოვდა ამ შემთხვევითობას? გზას გაუყევი, ნახევარ საათში დასავლეთის მატარებელი გა-დიოდა, უნდა მეჩქარა. ამისთვის კი პატარა სკვერი უნდა გადამეკვეთა. სადგურზე უკვე აქოშინებულმა მივირბინე, ის იყო მატარებელში ასვლა დავაპირე, რომ ათიოდე წლის გოგონა მგზავრებთან მოვიდა და სიმღერით ნამოიწყო, ბიძიებო, დეიდებო, დამებმარე-ეეთ. გოგონას წიგნი მივანოდე, გამომართვი, გამო-გადგება, თითქმის ვუვირე და მატარებელში ავედი. ბავშვი გაოცებული იდგა ბაქანზე და გულმოდგინეთ ცხვირს იჩიჩენიდა, თან წიგნს დაჰყურებდა ისე, თით-ქოს პირველად ენახოს მსგავსი საგანი.

მატარებელი ორ წუთში დასვლეთისკენ დაიძრებოდა.

## ელენე კვირკველია

### ლექსი და სიზმრები

დაგსიზმრებია ლექსი?

მექათხები და გბასუხობ, რომ - კი, დამსიზმრებია.

როცა ლექსი მესიზმრება

სიზმარშივე ვფიქრობ, რომ ამაზე კარგი ლექსი არ მაქვს.

ეს რა სათაცარი სოუზეტი განვაითარე,

ბოლოს რა მოულოდნელი ფინალი იყო.

სტრიქონებს შორის ჩაქოვილი ჰაერიც იგრძნობოდა.

თითქოს მართლა ხდებოდა ის, რასაც ვიტყუებოდი.

ასეთი თეთრი ლექსი არ მახსენდება.

ლიმონივით მჟავე და სუნთქვასავით უცხო.

თითქოს მზად არის,

რომელიმ სიტერატურულ უურნალში ახლავე დაიბეჭდოს.

ერთი ლექსის კონკურსზეც გავიდეს,

ერთი ლექსის კრიტიკაც დაუწერონ.

რა კარგად იწყება, თუმცა არ მახსოვს, როგორ იწყება,

მაგრამ იძღვნად ჩაგითოვეს, რომ ვერ მოწყდები.

შენ მეუპნები: - გაიგებენ კი?!

ორივეს გვეცინება და ფანჯრებს ვხურავთ..

ცხადია, ჩემი არცერთი სუზმარი არ მახსოვს,

იმ სიზმრებს ვგულისხმობ, სადაც ლექსი ურევია,

ისინი ალბათ ვარალელურ სამყაროში ცხოვრობენ,

ვინ იცის, იქნებ მელოდებიან.

წარმოიდგინე, რამდენი უცნობი ლექსის ავტორი ვარ.

როცა ლექსები მესიზმრება,

ყოველთვის მახსენდება ზაზა თვარაძე,

რომელიც წერდა სიზმრებს,

მე არ გამომდის, ჯერ ალბათ არ ვარ, ძალიან ცხადი.

### ბრჭყვიალა

როცა ლომბარდიდან გამოვედი,

სადაც სახლში შემორჩენილი ბოლო ბრჭყვიალა ჩავაბარე,

რომელიც რაღაც გრამებს იწონიდა.

ფიახ, რაღაც გრამებს, მაგრამ იმედებით სავსე გრამებს,

რომ ერთი კვირის სამყოფ საჭმელს მოგვიმარაგებდა

მე და ოჯახის ნევრებს,

რომელიც ვერ ელეოდნენ ბოლო ბრჭყვიალას.

გამოვედი თუ არა, ლომბარდის მოპირდაპირედ გავიხედე,

სადაც მაღალი, ტანადი კორპუსის პირველ სართულზე

სინითლე ენთო - სახელად ბაზიკი!

რა კვირაც მაღალ გაივლიდა,

ბრჭყვიალაც უკვე სხვისი იყო,

გადავჭრი ქუჩა

(მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ცხოვრება გადავჭრი, და არა ქუჩა.)

ანთებულებმა მიმიღეს,

ყველა ბედნიერი იყო ჩემი ნახვით,

თითქოს ადამიანად ვიგრძენი თავი,

ერთხანს ვფიქრობდი - მე მელოდებოდნენ, რა კარგია!

პირველი ორი თვე ვიხდიდი პროცენტებს,

მერე დამაგვიანდა,

დაგვიანებამ შვა მეტი პროცენტი,

მეტმა პროცენტმა შვა ნერვიულობა,

ნერვიულობამ შვა გაუსაძლისი შრომა,

გაუსაძლისმა შრომამ შვა ტკივილი,


ტკივილმა შვა ტკივილიდან გაქცევის სურვილი,

და მე გადავიხენებ!

დღეს მექია ემიგრანტი,

მე ალარ ვბრჭყვიალებ,

ფაქტობრივად აღარც ვანთივარ.



### დრო

დრო ასეთია ჩემთან:

- ლექსებსაც ვერ ვასწრებ,

ვერც იმას ვიგებ როდის მთავრდებიან.

შხოლოდ დაწყება შემიძლია,

ასე უფრო ადვილია...  
ანუ, როდესაც შენ დგები და  
ჩემს რომელიმე ლექსს კითხულობ,  
უნდა იცოდე, რომ დასაწყისია,  
დაბადებაა და მეტი არაფერი.  
რაც მოგინდება ის დაამატე,  
რასაც მოისურვებ ის ამოიღე.  
იკითხე და აკითხე.  
უბრალოდ, მხოლოდ შენ გიხაროდეს,  
განსაკუთრებით შენ გიხაროდეს,  
რომ ჯერ კიდევ შემწევს თავიდან დაბადების ძალა.

## სამზარეულოს პიმი

გავანიავე სამზარეულო.  
ნიავმა შემრალო გაზაფხული.  
გაზაფხულმა შევა ფოთლები და მათგან ერთ-ერთი  
სალათის ფოთლები, რომელიც წინ მიდევს  
და ალესილი დაინი ვერუქრები,  
რომ ვაქცევ ნაკუნწებად.  
ვჭრი და ვფიქრობ, რომ ასე ნაკუნდება  
ჩევენი ცხოვრება, ერთი შეხედვით სალი და ჯანმრთელი.  
სადღაც კი ყვავის ჩევნი საძვალე,  
იძვერს ყვავილებს და ცისენ აგზავნის...  
სამზარეულო ნიავდება  
სუნისგან ხახვის,  
სუნისგან კვერცხის,  
სუნისგან ცომის,  
ზეთი ტავაზე იხარშება, მარილი მყოფნის...  
გადღოვალაგე თევზები და ჩანგლები,  
- სტუმრები დღესაც ალარ მოვლენ,  
მთავარი არის ნარმოიდგინო - ყველას ახსოვხარ!  
კარტოფილი, მინითაა დამანთული,  
სამზარეულო ნიავდება,  
გადის სურნელი მინის!  
ვკითხულობ ვადებს შეძენილი პროდუქტების.  
მაიონეზი, ორ თვეში განუტევებს სულ.  
არაუანს, ორი კვირალა დარჩია,  
მანონიც არ არის დიდი ხნის.  
მათ შესახებ ყველაფერი ვიცი,  
როდის დაბადნენ, როდის მოკვდებიან.  
ჩემს ვადს არ ვულრმავდები...  
ონკანთან სველი ნაპირებია,  
რომელსაც ტილოს გადავუსვამ, მზესავით ტილოს.  
დავგვი ნაჩენებს და მივალაგებ ყოველივეს.  
კერძიც მზად არის,  
სამზარეულო ნიავდება ან და მარადის.

## აკვარიუმი

მთვარეა გარეთ,  
თევზებისთვის უინტერესო მთვარე.  
მთვარე, რომელმაც მოინელა პოეზია,  
მოინელა პროზა, და მაინც ილუმება, სასაცილოა.  
პოეტი ისვრის ანკეს,  
პროზაიკოსი ისვრის ანკეს,  
რაღაც ახალი მეტაფორა რომ ამოგლიჯოს მთვარეს.  
რომ მისი ლამე, ალარ გავდეს სხვის ლამეებს,  
რთულია, მაგრამ საინტერესო..

ორნი არიან,  
აწყდებიან გამჭვირვალე კედლებს.  
გაუთავებლად ბერავენ ლაყუჩებს.  
ერთმანეთი ზეპირად იციან.  
ვეუცხოები, როცა ვეახლები, რათა გამოვკვებო.  
მათვის უინტერესო მთვარესავით ვარ,  
მაგრამ ვისთვის ვანთივარ არ ვიცი.  
პირველმა ვინ დამაბიჯა ისიც არ ვიცი.  
არც ის ვიცი, როდის მფარავენ ლრუბლები.  
მათსავით თევზი მინდა ვიყო,  
ვიღაც ხომ მაინც მოვიდოდა ჩემს ნაპირთან,  
ვიღაცას ხომ ვენდომებოდი, - უცნაურია.



მთვარეები გარეთ,  
ნერენ და არ წყვეტენ ნერას.  
პოეტები და პროზაიკოსები.  
ასეა, როცა ცა გაწყდება,  
როდესაც სივრცეს დაეწაფები.


ვიღაც უცხო კი, უკვე იყო იმ ნერტილზე,  
მთვარე რომ ჰქვია,  
გაიარა და გამოიარა.

### მოხედვა

მე ვტოვებ სახლს და მე მივდივარ არ ვიცი საით,  
ნამომაძახებს ქარი ამბავს, რომელსაც ვმალავ,  
რომელსაც ცეცხლი ნავუკიდე ბოლოს კი წყალი  
მანც შევასხე და იქცა კვამლად.  
კვამლად, რომელსაც ოთახივით ამოვუშენე,  
ჩემი სხეული უფანჯრებო სივრცის მომცველი  
დავტოვე ყველა, პირველ რიგში თვალებს ვუშველე  
ასე, სხვადასხვა სივრცეებში ისევ ცოცხლები  
ვნაბავთ თვალებს და ვმალავთ ამბავს, რომელიც მოხდა,  
რომელიც იყო შესავსები დიდი ამბებით,  
ოდესმე ალბათ ყველაფერი იქცევა თოვლად  
მერე მზე მოვა და მწველ სხივებს შემოვალლვებით.  
დარჩება ორთქლი უშორესი მოწმე ამინდის,  
თუნდაც თარიღის, თუნდაც კადრის, რომელიც იყო.  
შენ კითხულობდი ჩემი სხეულის ამონარიდებს  
და ყველა ფურცელს აკრავდი სითბოს!

ვამბობ იყო და, ყველაფერი ცხადივით მოსჩანს,  
როცა თვალებში არეკლილი სხივად იელვებ,  
მივდივარ, მაგრამ ვბრუნდები და მივდივარ, მომაქვა  
ეს ვეებრთელა სიცარიელე,  
რომელსაც ვმალავ, საგულდაგულოდ მიღმა თვალების,  
ქრიან ქარები შემოდგომის, და ფოთლებს შორის  
ვნატრობ რომ ქარი მის მძიმე ხელებს წამომავლებდეს  
და წამართმევდეს სახეს - ნაომრის,  
რომელიც იძვა, ასე ცხადად ასე შეპარვით,  
ასე მუდმივი აასრულით, ბრძოლით, ყვირილით,  
იდგა ქუჩა და ამ ქუჩაზე, როგორც მეძავი  
ვიდექი მშოლოდ ერთი ლამის შესანირივით...

ხოლო, ვარსკვლავებს ვინც უყურებს - იცის გაქრობა,  
იცის ღრუბლების აფარება, თუნდაც სახეზე,  
ჰო და იმდენად ავიფარე, - შემომათოვა,  
შემომათოვა შენი სხეულის ნასახლარებზე  
ვნაბავ თვალებს და ვმალავთ ამბავს, რომელიც მოხდა,  
რომელიც იყო შესავსები დიდი ამბებით,  
ოდესმე ალბათ, ყველაფერი იქცევა თოვლად  
მერე მზე მოვა და მწველ სხივებს შემოვალლვებით...



### იუდას სიმღერა

ნუ გერიდებათ შემოხედთ ვინც გარეთ დგახართ,  
კეთროვანებო, სულით მდაბლებო და თქვენ, ვინც ბრმა ხართ.  
ვარსკვლავთ მთვლელებო და მწყემსებო დატოვეთ ფარა,  
წამოიყანეთ ყველა, ვისაც გაეხართ და გგვანან.  
უთხარით ყველას სათითაოდ ქრისტეს ამბავი,  
ახლოს მოვიდნენ ავადმყოფები, ნაავადარნი.  
დატოვეთ სახლი, ეზოები, ჭერი და ფარა,  
ქრისტე აქ არის, ქრისტე მხსნელი, რომელიც მალავს,  
რო იცის ჩემი ბილიკები, ილაბლი, ბედი  
ან უბედება! ერთი სიტყვით, როგორ გავქრიბი..  
როგორ მოვიბამ თოკს კისერზე, რომელიც მომქლავს  
და რომ ჩემამდე ვერ მოალწევს ვერცერთი ლოცვა.  
ქარი, რომელიც ამოვარდება ტოტივით მარწევს,  
როდესაც ქრისტეს ვეამბორები, როდესაც გავცემ  
ორიოდ გროშად, ვერცლი ფასად ცეცხლად რომ იქცა.  
აქ საიდუმლო სერობის უამს მან იცის ვინც ვარ!  
დანერილი აქვს ყველაფერი წინასწარ მეტყველს  
და ჩაეფლობა ყოველივე, რომ ამეტყველდეს,  
რომ შემიცოდოს და სათქმელი პირდაპირ მითხრას,

როგორი ცოდვით დავამძიმებ ცასა და მიწას.  
როგორი ცეცხლი ჩამიდგება თვალებში როცა  
ფარისეველი ჩავეხუტები, გავბედავ კოცნას.  
მას შეიძყრობენ, მე კი ვერსად ვიძოვი საშველს,  
სადმე გავიქცე, დავიმალო, ცოცხალი დავრჩე...  
დაწერილია ყოველივე, რაც უნდა მოხდეს  
ქრისტე ჯვარს აცვან ჩემი ხელით, მე უნდა მოვკვდე.

დატოვეთ სახლი, ეზოები, ჭერი და ფარა.  
ქრისტე აქ არის, ქრისტე მხსნელი, რომელიც მალავს...

### ნუდისტურ სანაპიროზე

ნუდისტურ სანაპიროზე, სადაც ამდენი სიშიშვლე ენთო.  
არც არავის გაკვირვებია ჩემი შიშველი სხეული,  
არც ჩემი მკერდის ზომით გაოცებულა ვინმე,  
არც ჩემი გრძელი ფეხებით.  
დღოდადრო ზღვიში ჩავდიოდი ტანს ვისველებდი.  
იქნებ, მზის ანარეკლი ვგონებოდი ვინმეს,  
თუნდაც ქალთევაზა,  
რომ ნამით მაინც გამოეხედათ,  
- ამაოდ დავშერი.

იქნებ, ვაშლი ჩამებიჩა ევასავით, ხომ შემრცხვებოდა?  
თუმცა, ვიყუჩე, არ გამიხედავს არავისკენ.  
უბრალოდ, მზერა დამაკლა.  
ისეთი მზერა, ქუჩაში მამაკაცები რომ მახვედრებენ,  
ერთი შემოხედვით ყველაფერს რომ ასწრებენ.  
სულ ვფიქრობ, როგორ გამოვიყურები მაშინ,  
როცა თვალებით მაშიშველებენ.  
იქნებ, ფერმკრთალი ვარ.  
იქნებ, სირცხვილით ვინვი.  
ან, იქნებ, მზად ვარ დამეუფლონ!

### ნერილი ჩემს დას

ჩანს, ყველაფერმა დაკარგა აზრი,  
როცა სიყვარული ვალდებულებამ გადაწონა,  
ისეთი დროა, ვერაფერს ახსნი.  
მე ელენე ვარ, გამარჯობა!

დღეს შენი ქოლგა დავითარე, დამიფარა.  
ღმერთივით მშვიდად მიყვებოდი ვინრო ტროტუარს,  
მე ახლა იქ ვარ საიდანაც,  
ყველაფერს ავხსნი, ოლონდ დრო თუა.

დღო თუა თორემ, აქ საქმეებს, რაღა გამოლევს,  
მოხუცი ქალის ალსარებას ვისმენ და ვითმენ,  
რომ არ ვიყვირო მისი მეუღლის სასაფლაოზე,  
რომ ღალატობდა, უყვარდა კიდეც!

შენ იქ დაგტოვე თვითმეტრინავიდან პატარა ჩანდი,  
დღე კი არ გავი, არ მოგწერო, არ გითხრა მენდე,  
ფული იმდენი შევაგროვე, რამდენიც სახლის,  
ქირას ეყოფა, და შემდეგ თვემდე,

როგორმე გასტან, მოგისწრებ ისევ,  
მე რომ აქ ბიჭი მომენტის, ის მნერდა წუხელ.  
ხომ იცი დაო, უსიყვარულოდ არავის მივცემ,  
წვრილმან ღიმილსაც, ნამებს და წუთებს.

უბრალოდ მწერდა, რომ ლექსებს წერს, ხატავს და მღერის,  
თავს მანწინებდა მეტაფორებით.  
არ შეუძლა, თორემ ნამით რომ იყოს ღმერთი,  
ვარსკვლავებს ჩემთვის შეაგროვებდა.

სასაცილოა!

ყველაფერმა დაკარგა აზრი,  
მაინც მიუცურავ ნაპირისკენ, სადაც შუქია,  
ისეთი დროა, ვერაფერს ახსნი.  
გიგზავნი კოცნას დიდს და გულიანს!



# ალფრედ შარის სიტყვა

წარმოთქმული „იუბიუ მეფის“ პრემიერაზე

1896 წლის 10 დეკემბერს, პარიზში,  
ინდივიდუალური და გრაფიკული მუზეუმი

ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ



ქალბატონებო, ბატონებო,

ზედმეტი იქნებოდა (და სასაცილოც, როცა ავტორი საკუთარ პიესაზე ლაპარაკობს), ჩემი მხრიდან, იუბიუ მეფის“ წარმოდგენის წინ სიტყვით გამოსვლა, მას შემდეგ, რაც გაცილებით სახელოვანმა ადამიანებმა ინებეს მასზე ლაპარაკი (რომლებსაც მადლობას ვუხდი, და მათთან ერთად - ყველას, ბატონ სილვესტრს, მენდესს, შოლლს, ლორენს და ბაუერს!), რომ არ ვფიქრობდე, რომ მათმა გულმონქალებამ იუბიუს მუცელი გაცილებით ფართოდ გაძერა სატირული სიმბოლოებით, ვიდრე ჩვენ შევძელით მისი გაძერვა ამ საღამოსთვის.

სვედენბორგიანელმა<sup>2</sup> დოქტორმა მისესმა<sup>3</sup> ჩინებულად შეადარა ელემენტარული ნამუშევრები ყველაზე სრულებრივი ბოლო უმნიშვარი არსებები - ყველაზე სრულყოფილებს, იმ კუთხით, რომ პირველი მოკლებული არიან ყოველგვარ დრამას, რელიეფსა და ხარისხს, რაც მათ წრიულ (ან თითქმის წრიულ) ფორმას უზოვებს (როგორიცაა კვერცხუჯრედი და ბ-ნი იუბიუ), ხოლო მეორენი იმდენ პერსონალურ დეტალს იძენენ, რომ ასევე წრიულ ფორმას ატარებენ, იმ აქსიომიდან გამომდინარე, რომ ყველაზე გლუვი სხეული არის ის, რომელიც ყველაზე მეტ უსწორმასწორობას შეიცავს. ამიტომაც შეგიძლიათ, ბ-ნ იუბიუში დაინახოთ იმდენი ალზია, რამდენიც მოგვაურვებათ: უბრალო მარიონეტი თუ მოსწავლის მიერ გაშარებული მასწავლებელი, რომელიც მისთვის წარმოადგენდა ყოველივე გროტესკულს, რაც კი სამყაროში არსებულა.

სწორედ ამ ასპექტში წარდგება დღეს თქვენ წინაშე მისამართის მისახიობებმა, თრი საღამოს განმავლობაში, აუნაზღაურებლად და ნიღბებში ჩამაღლულებმა ითამაშეს, რათა ზუსტად დაეჭირათ პერსონაჟთა შინაგანი არსება და დიდი მარიონეტების სული, რომლებსაც აქ იხილავთ. ვინაიდან პიესა ნაჩქარევად და კეთილი ნებით დავდგით, იუბიუს ნამდვილი ნიღბის შექმნა ვერ მოვასწარით, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან მოუხერხებელია სატარებლად. იუბიუს დამტაშებიც მიახლოებითი კოსტიუმებით წარდგებიან სცენაზე. მთლიანად მარიონეტებად რომ დავრჩენილიყავით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო საიარმუკო მუსიკის ქონა; და ორკესტრირების არჩევანი ჩასა-

ბერ ინსტრუმენტებზე, გონგებსა და საზღვაო საყვირებზე შევაჩერეთ, რომელთა შესაგროვებლად დრო არ გვეყო. ნუ ვუსაყვედურებთ მისამართის მისამართის: ჩვენ განსაკუთრებით გვინდოდა, იუბიუს პერსონაჟისთვის ბ-ნი უემიეს<sup>4</sup> ნიჭიერებას შეესხა ხორცი, და მხოლოდ ორი საღამოთი (დღეს და ხვალ) შეძლო ბატონმა უინისტიმ<sup>5</sup> - და ვილიე დე ლილ-ადანის დადგმამ<sup>6</sup> - იგი ჩვენთვის ეთხოვებინა. დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ სამ მოქმედებას, რომლებიც უკვე გამოქვეყნდა და ორს, რომლებიც ასევე გამოქვეყნდა, რამდენიმე ამოქრილი ადგილის გარდა. ყველა ადგილი ამოვილე, რაც კი მსახიობებმა ისურვეს (პიესისთვის აუცილებელი რამდენიმე პასაჟიც კი) და მათთვისვე დავტოვე სცენები, რომლებსაც თავად სიამოვნებით ამოვიდებდი. რაც უნდა მარიონეტულობას ვესწრაფოდეთ, თითო პერსონაჟს თითო ძაფზე ვერ ჩამოვიკიდებდით, რადგან ეს აბსურდი თუ არა, ძალიან დამაბრკოლებელი იქნებოდა. თანაც ჩვენს დასს არ ჰქონდა სრული შემადგენლობის გარანტია, მაშინ როცა გინიოლში<sup>7</sup> ძაფების ერთი შეკვრა მართავს მთელს არმიას. აქ თქვენ იხილავთ მუყაოს ცხენებით (რომელთა შეღებვაში ღამე გავათენეთ) ერთმანეთის პირისპირ მოკუნტრუშე ისეთ ღირშესანიშნავ პერსონაჟებს, როგორიცაა ბ-ნი იუბიუ და ცარი. ამგვარად სცენის შეესება ვცადეთ. სულ მცირე, პირველი სამი მოქმედება და ბოლო სცენები გათამაშდება მთლიანად ისე, როგორც დაინერა.

დეკორაციაც, სხვათა შორის, აბსოლუტურად ზუსტი გვაქვს: ისევე ბუნებრივად, როგორც ახერხებენ პიესის განთავსებას დროში (მაგალითად - ათას რომელიღაც წელს რევოლვერიდან რაღაც რაოდენობის გასროლით), აქაც ნახავთ, როგორ იხსნება კარები ლურჯი ცის ქვეშ გადაჭიმული თოვლიანი მინდვრებისკენ, როგორ იპობა ორად ქანქარებით მორთული ბუხები და როგორ ცოხნიან ლოგინებთან მოხასხას პალმის ხეებს თაროებზე შემოსკუპებული პატარა სპილოები.

რაც შეეხება ჩვენს ორკესტრს, რომელიც არ გვყავს, მხოლოდ მისი უღერადობის სიმძლავრე და ტემბრი დაგვაკლდება, რადგან კულისებში სხვადასხვა პიანინოსა და დაფლაფზე შესრულდება იუბიუს თემები. მოქმედება კი, რომელიც ახლა დაინყება, ხდება პოლონეთში ანუ არსად.

- 1 - ქრონისტები და კრიტიკოსები, რომლებიც იუბიუს“, დადგმამდე, პიესის გამოქვეყნებისთანავე დადებითად გამოეხმაურნენ.
- 2 - შვედი მეცნიერისა და თეოსოფოსის, ემანუელ სვედენბორგის მიმდევარი.
- 3 - გერმანელი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის, გუსტავ თეოდორ ფეხნერის ფსევდონიმი.
- 4 - ფირმენ უმიერ - ფრანგი რეჟისორი და მსახიობი. მან პირველმა განასახიერა იუბიუს პერსონაჟი.
- 5 - ბოლ უინისტი - ფრანგი მწერალი და თეატრის კრიტიკოსი, ღირებულის თეატრის“ დირექტორი.
- 6 - უარი გულისხმობის ოდეონში“ დადგმულ, ვილიე დე ლილ-ადანის პიესას ამბოხი“, რომელშიც ფირმენ უმიერ იუბიუს“ პარალელურად თამაშობდა.
- 7 - ისტორიული ფრანგული მარიონეტების თეატრი.

# „იუბიუ მეფის“ კოსტიუმების რეპერტუარი აღფრედ უარის მიხედვით

გამოქვეყნდა „პატაფიზიკის კოლექის ურნალში“ (n°3-4, 22 haha 78 E.P.)

## მამა იუბიუ:

ნაცრისფერი უილეტი, მარჯვენა ჯიბეში მუდამ ხელ-ჯოხი, ნესვისძებური ქუდი.

მეორე მოქმედების მეორე სცენიდან: გვირგვინი ქუდ-ზე.

მეორე მოქმედების მეექესე სცენა: თავშიშველი.

მესამე მოქმედების მეორე სცენა: გვირგვინი და სამე-ფო მოსასხამი, თეთრი თავსაბურავი.

მესამე მოქმედების მეორე სცენა: გრძელი ლაბადა, ყურებიანი სამგზავრო ქუდი

მესამე მოქმედების მეშვიდე სცენა: იმავე სამოსში, მაგრამ თავშიშველი.

მესამე მოქმედების მერვე სცენა: ლაბადა, მუზარადი, ქამარში გარჯობილი ხმალი, კაუჭი, მაკრატელი, დანა და მარჯვენა ჯიბეში კვლავ ხელვოხი. ჩამოკიდებული მათარა დუნდულზე ეჯახუნება.

მეორე მოქმედების მეხუთე სცენა: ლაბადა და ქუდი, უიარაღოდ და უჯოხოდ.

გემის სცენაში - ხელში ჩემოდნით.

## დედა იუბიუ:

დამლაგებლის სამოსი, ვარდისფერი და ბუმბულებიანი ქუდი, გვერდზე გადაკიდებული ჩანთა-ბადით.

სადილის სცენაში - წინსაფრით.

მეორე მოქმედების მეექესე სცენიდან: დედოფლის მოსასხამში.

## ასისთავი არშია:

უნგრელი მუსიკოსის სამოსი, წითელი, ძალიან შემო-ჭერილი, დიდი მოსასხამი, დიდი მახვილი, დაბილული ჩექები, ბუმბულებიანი ჩაპსა“ (პოლონური სამხედრო ქუდი).

## მეუვე ვენცელი:

სამეფო მოსასხამი და გვირგვინი, რომლებსაც იუბიუ მოირგებს მეტის მკვლელობის შემდეგ.

## დედოფალი როზმონდა:

მოსასხამი და გვირგვინი, რომლებსაც შემდეგ დედა იუბიუ მოირგებს.

## ბოლესლავი, ვლადისლავი:

პოლონური სამოსი, ნაცრისფერი, მუნდირის შესაკ-რავებით, მოკლე შარვლები.

## ხულიგავი:

ჩიოლის სამოსი და ქუდი.

## გენერალი ლასი:

პოლონური სამოსი, ორკუთხა ნაპოლეონისეული ქუ-დი თეთრი ბუმბულებით, ხმალი.

## სტანისლავ ლეშჩინსკი:

პოლონური სამოსი, თეთრი წვერი.

## იან სობიესკი, ნიკოლა რენელი:

პოლონური სამოსი.

## ცარი ალექსი:

შავი სამოსი, დიდი ყვითელი სარტყელი, სატევარი და

მედლები, დიდი ჩექები, შემზარვი წვერი, შავი წვე-ტიანი კონუსისებური ქუდი.

## თახსარები:

დიდი წვერებით, ძეხვისფერი სქელი ლაბადებით.

## ხალხი:

პოლონურ სამოსში.

## მიხეილ თედორეს ძე:

ბერვის ქუდით.

## დიდგვაროვნები:

პოლონურ სამოსში, არშიაშემოვლებული და მოქარ-გული ბერვის ქურქებით.

## მსაჯულები:

შავ მანტიებში, მოსამართლის ქუდებით.

## მრჩევლები, ფინანსისტები:

შავ მანტიებში, ასტროლოგის ქუდებით, სათვალეე-ბით, წვეტიანი ცხვირებით.

## გლეხები:

პოლონურ სამოსში.

## პოლონეთის ჯარი:

ნაცრისფერი ბერვის ქურქებით და მუნდირის შესაკ-რავებით, თოფებით (სულ მცირე, სამი კაცი).

## რუსეთის ჯარი:

ორი მხედარი, პოლონელების მსგავს, მაგრამ მწვანე ფერის სამოსში, ბერვის ქუდებით, მუყაოს ცხენებით.

## რუსი ქვეითი:

მწვანე სამოსში, ქუდით.

## დედა იუბიუს მცელები:

პოლონურ სამოსში, შუბებით.

## დათვი:

ასისთავი არშია დათვად გადაცმული.

## მაყუთულავი:

ბორბლებიანი ხსნ ცხენი ან მუყაოს ცხენის თავი, სცე-ნების მიხედვით.

## ეკიპაჟი:

ორი კაცი, მეზღვაურის ცისფერი, საყელოებიანი მაი-სურით.

## გემის კაპიტანი:

ფრანგული საზღვაო ოფიცირის ფორმით.



## აღმოჩენა შარი

# იუბილ მეფე

პიესა 5 მოქმედებად

„მერკურ დე ფრანსის“ გამოცემა, პარიზი 1896

ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაზანა ჩაბრაძემ

### ეძღვნება მარსელ შვობს<sup>1</sup>

მაშინ შეანჯლრია გოგრა<sup>2</sup> მამა იუბიუმ, და ამ დღიდან ინგლისელებმა მას „შექსპირი“ შეარქვეს, და ამ სახელით დაწერა მან ბევრი შესანიშნავი ტრაგედია.

### პერსონაჟები:

მამა იუბიუ  
დედა იუბიუ  
ასისთავი არშია  
მეფე ვენცელი  
დედოფალი როზმონდა  
მათი ვაჟები: ბოლესლავი, ვლადისლავი და ხუ-  
ლიგავი  
წინაპრების აჩრდილები  
გენერალი ლასი  
სტანისლავ ლეშჩინსკი  
იან სობიესკი  
ნიკოლა რენელი  
ცარი ალექსი  
ჯოზილ, სვეტის და ძელარ თახსარები  
შეთქმულები და ჯარისკაცები  
ხალხი  
მიხეილ თელორეს ძე  
დიდგვაროვნები  
მსაჯულები  
მრჩევლები  
ფინანსისტები და ფინანსირები  
მსახურები  
გლეხები  
რუსეთის ჯარი  
პოლონეთის ჯარი  
დედა იუბიუს მცველები  
ერთ-ერთი კაპიტანი  
დათვი  
მაყუთულაყი  
ტვინსაბურლი  
ეკიპაჟი  
გემის კაპიტანი

### მოქმედება I

#### სცენა I

მამა იუბიუ, დედა იუბიუ.

მამა იუბიუ  
ძნებვი!  
დედა იუბიუ  
აი, მესმის დელიკატურობა! პირზავარდნილი ყალ-  
თაბანდი ხართ, მამა იუბიუ.

მამა იუბიუ  
ბოლო არ მოგილოთ, დედა იუბიუ!  
დედა იუბიუ  
მე კი არა, სულ სხვას უნდა მოულოთ ბოლო, მამა  
იუბიუ.

მამა იუბიუ  
ვერ გავიგე, ჩემმა მწვანე ვარყალმა!  
დედა იუბიუ  
როგორ, მამა იუბიუ, ნუთუ ბედით კმაყოფილი  
ხართ?

მამა იუბიუ  
ძნებვი! ჩემმა მწვანე ვარყალმა, რასაკვირველია,  
ქალბატონო, ქამყოფილი ვარ! უარესითაც კმაყოფილ-  
დებიან: დრაგუნთა კაპიტანი, მეფე ვენცელის ნდობის  
ოფიცერი, პოლონეთის წითელი არნივის “ორდენის  
კავალერი და არაგონის ყოფილი მეფე ვარ! მეტი რა  
გინდათ?

დედა იუბიუ  
როგორ! არაგონის ტახტის შემდეგ, ჯაყვებით შე-  
იარაღებული ორმაცდათიოდე პაჟის ალუმზე გა-  
მოყანით კმაყოფილდებით, მაშინ როცა შეგიძლიათ,  
მაგ გოგრაზე არაგონის გვირგვინს პოლონეთისა ჩაუ-  
ნაცვლოთ?

1 - Marcel Schwob (1867-1905), ფრანგი მწერალი და მთარგმნელი, რომლის ხელმძღვანელობით გამომავალი გაზიერ პარიზის ექსოს „ლიტერატურული დანართის 1893 წლის კონკურს ახალგაზრდა უარიშ მოიგო.

2 - დედაში: მსხალი, რაც ფრანგულში თავის “ერთ-ერთი სინონიმია. უარ სიტყვებით თამაშობს: ინგლისურად, მსხლის შენჯლრევა” (shake the pear) ძალიან ჰგავს დიდი დრამატურგის გვარს (Shakespeare). ავტორი ეპიგრა-  
ფიდანვე მიანიშნებს პიესაში არსებულ შექსპირული სცენების პაროდიებზე.

### მამა იუბიუ

ოჳ! დედა იუბიუ, არ მესმის, რას როშავ!

### დედა იუბიუ

რა ჩერჩეტი ხარ!

### მამა იუბიუ

ჩემმა მწვანე ვარყალმა, მეფე ვენცელი ჯერ კიდევ  
ცოცხალია და თავს შევენივრად გრძნობს; და კიდევ  
რომ მოვდეს, რა უშვრები მის შვილებს, მთელი ბატა-  
ლიონი რომ ჰყავს?

### დედა იუბიუ

და, ვინ გიშლის მთელი ოჯახის ამოხოცვას და მა-  
თი ადგილის დაკავებას?<sup>3</sup>

### მამა იუბიუ

აჳ! დედა იუბიუ, შეურაცხყოფას მაყენებთ. ქვაბ-  
ში არ გადაგიძახოთ!

### დედა იუბიუ

ო, საცოდავო უბადრუკო! მე თუ ქეაბში გადამიძა-  
ხე, ვინდა მოგიკემსაც ბოლოგამორღვეულ ნიფხვებს?

### მამა იუბიუ

და მერე რა? სხვებზე ნაკლები ტრაკი რითი მაქვს?

### დედა იუბიუ

შენს ადგილზე, მაგ ტრაკს ტახტზე დავდებდი, ქო-  
ნებასაც უსასრულოდ გავზრდიდი, ყოველდღე კუ-ბ-  
ატის შევჭამდი და ქუჩებში კარეტით ვისეირნებდი!

### მამა იუბიუ

ეჳ, მეფე რომ ვიყო, დიდ თავსაბურავს შევაკერი-  
ნებდი, ისეთს, არაგონში რომ მქონდა, და იმ არამზადა  
ესპანელებმა უტიფრად რომ მომპარეს.

### დედა იუბიუ

მაგას დაამატებდი ქოლგას და ერთ გრძელ ლაბა-  
დასაც, კოჭებამდე რომ დაგფარავდა.

### მამა იუბიუ

აჳ! რა მაცდუნებელია! იჳ, ეს ძნეხვის გროვა ვენ-  
ცელი! ერთი, ტყის პირას გადამეყრებოდეს, თავპედს  
ვაწყევლინებ!

### დედა იუბიუ

ოჳო! აი, ეს მესმის, მამა იუბიუ! ახლა ნამდვილი  
მამაკაცი ხართ!

### მამა იუბიუ

ო, არა! მე, დრაგუნთა კაპიტანმა, პოლონეთის მე-  
ფე გავანადგურო? უწინამც მოვკვდე!

### დედა იუბიუ (ცალკე)

აჳ! ძნეხვი! (ხმამაღლა) მაშ ასეთად დარჩები, მამა  
იუბიუ? ვირთხასავით უდღეური და საწყალობელი?

### მამა იუბიუ

ღმერთძალლი! ჩემმა მწვანე ვარყალმა, მირჩევ-  
ნია, ვიყო საწყალობელი, მაგრამ პატიოსანი ვირთხა,  
ვიღრე ბოროტი და გაქონილი კატა.

### დედა იუბიუ

და თავსაბურავი? და ქოლგა? და გრძელი ლაბა-  
და?

### მამა იუბიუ

და მერე რა, დედა იუბიუ?

გადის კარის გაჯახუნებით.

### დედა იუბიუ (მარტო)

ფუჳ, ძნეხვი, ძნელი დასამუშავებელია, მაგრამ,  
ფუჳ, ძნეხვი, მგონი, მანც კარგად შევანჯლრი! ღვთის  
და ჩემივე წყალბით, იქნებ ამ კვირაში პოლონეთის  
დედოფალი გავხდე!

### სცენა II

მამა იუბიუს სახლში გაშლილია საუცხოო სუფ-  
რა.

მამა იუბიუ და დედა იუბიუ.

### დედა იუბიუ

რაღაც, სტუმრები იგვიანებენ.

### მამა იუბიუ

დიახ, ჩემმა მწვანე ვარყალმა! შიმშილით ვკვდე-  
ბა! დედა იუბიუ, დღეს ძალიან უშნოდ გამოიყურება.  
განგებ ხვდები ასე სტუმრებს?

### დედა იუბიუ (მხრებს იჩერჩავს)

ძნეხვი!

### მამა იუბიუ (იღებს შემწვარი ქათმის ხორცს)

როგორ მშია! ჩავკებჩ ამ ჩიტუნას. მგონი, ქათა-  
მია. არ არის ცუდი.

### დედა იუბიუ

რა შერები, რეგვენო? სტუმრებს რა ვაჭამოთ?

### მამა იუბიუ

რაც დარჩა, ისიც ეყოფათ. ხელს ალარაფერს ვახ-  
ლებ. დედა იუბიუ, აბა ფანჯრიდან გაიხედე, ხომ არ  
მოდიან.

### დედა იუბიუ (ფანჯრისკენ მიდის)

არავინ ჩანს.

ამასობაში, მამა იუბიუ ხბოს ნაჭერს იპარავს.

### დედა იუბიუ

აი! ასისთავი არშია და მისი ამალა მოდიან! ჰმ, რას  
ჭამ, მამა იუბიუ?

### მამა იუბიუ

არავერდს, სულ ცოტა ხბოს ხორცი ავიღე.

### დედა იუბიუ

ააა! ხბო! ხბო შექამა! ხბო! გვიშველეთ!

### მამა იუბიუ

ჩემმა მწვანე ვარყალმა, თვალებს დაგთხრი!

კარი იღება.

### სცენა III

მამა იუბიუ, დედა იუბიუ, ასისთავი არშია და  
მისი ამალა.

### დედა იუბიუ

გამარჯობა, ბატონებო! მოუთმენლად გელოდით.  
დაბრძანდით.

### ასისთავი არშია

გამარჯობა, ქალბატონო. კი მაგრამ, მამა იუბიუ  
სად არის?

### მამა იუბიუ

აი, მეც! აი, მეც! დასწყევლოს! არადა, ჩემმა მწვა-  
ნე ვარყალმა, ზედმეტად სქელი ვარ იმისთვის, რომ  
ვერ შემამჩნიოთ.

### ასისთავი არშია

გამარჯობა, მამა იუბიუ. დასხედით, ბატონებო.

სხდებიან.



### მამა იუბიუ

უჰ! ცოტაც და, სკამს ჩავტეხავდი.  
ასისთავი არშია

აბა, დედა იუბიუ, დღეს რას შემოგვთავაზებთ?

### დედა იუბიუ

აი, მენიუც.

### მამა იუბიუ

ოო! მაინტერესებს!

### დედა იუბიუ

პოლონური სუპი, ყ-ვირთაგვას კოტლეტი, ხბო,  
ქათამი, ძალლის პაშტეტი, ინდაურის კურტუმო, რუ-  
სული შარლოტი...<sup>4</sup>

### მამა იუბიუ

ეე! მგონი, საკმარისია! კიდევ დარჩა რამე?

### დედა იუბიუ (აგრძელებს ჩამოთვლას)

შოკოლადის ბომბი, სალათა, ხილი, დესერტი, ფა-  
ფა, მინავაშლა, ყვავილოვანი კომბოსტო ძნევით.

### მამა იუბიუ

ე! ჩინეთის იმპერატორი ხომ არ გგონივარ, ამდენს  
რომ ხარჯავ?

### დედა იუბიუ

ნუ უსმენთ, რეგვენია.

### მამა იუბიუ

უჰ! კბილები არ ავილესო შენს კანჭებზე!

### დედა იუბიუ

ჯობს, ისადილო, მამა იუბიუ. აი, პოლონური “გა-  
სინჯე.

### მამა იუბიუ

ფუჰ, რა საზიზლრობაა!

### ასისთავი არშია

მართლაც უგემშურია.

### დედა იუბიუ

ოო! აბა რა ჯანდაბა გინდათ?

### მამა იუბიუ (შუბლზე ხელს იტყაპუნებს)

აპა! რაღაც აზრი მომივიდა. ახლავე დავპრუნ-  
დები.

გადის.

### დედა იუბიუ

ბატონები, ხბო გასინჯეთ.

### ასისთავი არშია

უკვე მივირთვი. ძალიან გემრიელი იყო.

### დედა იუბიუ

მაშინ კურტუმო გადაიღეთ.

### ასისთავი არშია

არაჩვეულებრივია, არაჩვეულებრივი! ვაშა დედა  
იუბიუს!

**ყველა ერთად**  
 ვაშა დედა იუბიუს!  
**მამა იუბიუ** (შემოდის)  
 ახლა კი დაიყვირებთ: ვაშა მამა იუბიუს!"

ხელში ბინძური ცოცხი უჭირავს, რომელსაც სუფ-  
 რაზე ისვრის.

**დედა იუბიუ**  
 რას შვრები, უბადრუკო!  
**მამა იუბიუ**  
 აბა, გამისინჯეთ!

რამდენიმე სტუმარი სინჯავს და მოწამლული  
 ეცემა.

**მამა იუბიუ**  
 დედა იუბიუ, ყ-ვირთაგვას კოტლეტები მომაწო-  
 დე სტუმრებისთვის.

**დედა იუბიუ**  
 აპა.  
**მამა იუბიუ**  
 აბა, ყველანი გარეთ! ასისთავო არშია, თქვენთან  
 სალაპარაკო მაქეს.

**დანარჩენები**  
 ეე! ჯერ არ გვისადილია!  
**მამა იუბიუ**  
 როგორ თუ, არ გისადილიათ! გარეთ-მეთქი! არ-  
 შია, დარჩით.

ადგილიდან არავინ იძვრის.

**მამა იუბიუ**  
 კიდევ არ წასულხართ? ჩემმა მწვანე ვარყალმა, ყ-  
 ვირთაგვას კოტლეტებით მოგილებთ ბოლოს!

ისვრის კოტლეტებს.

**ყველა ერთად**  
 ვაი! უი! გვიშველეთ! თავი დავიცვათ! რა უბედუ-  
 რება! მოვკვდი!

**მამა იუბიუ**  
 ძნებვი, ძნებვი, ძნებვი! ყველანი გარეთ! ჩემთან  
 ხუმრობა არ გაგივათ!

**ყველა ერთად**  
 თავს უუშველოთ! უბადრუკი მამა იუბიუ! მოღა-  
 ლატე! უდღეული ყალთაბაზდი!

**მამა იუბიუ**  
 ოჲ! ძლივს არ წავიდნენ! ამოვისუნთქე! თუმცა ძა-  
 ლიან ცუდად ვისადილე! გამომყევით, არშია.

გადიან დედა იუბიუსთან ერთად.

#### სცენა IV

**მამა იუბიუ, დედა იუბიუ და ასისთავი არშია.**

**მამა იუბიუ**  
 გემრიელად მიირთვით, ასისთავო?  
**ასისთავი არშია**  
 ძალიან კარგად, ბატონი, ძნებვის გარდა!  
**მამა იუბიუ**  
 ვაჲ! ძნებვი ცუდი არ იყო!

**დედა იუბიუ**  
 გემოვნების საქმეა.

**მამა იუბიუ**  
 ასისთავო არშია, გადავწყვიტე, ლიეტუვის ჰერ-  
 ცოგის წოდება გიბოძოთ.

**ასისთავი არშია**  
 როგორ? მე თქვენ ფრიად საწყალობელი მეგო-  
 ნეთ, მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ**  
 რამდენიმე დღეში, თუ თქვენი სურვილი იქნება,  
 პოლონეთზე გავმეფდები.

**ასისთავი არშია**  
 ვენცელის მოკვლას აპირებთ?

**მამა იუბიუ**  
 არც ისე უტვინოა ეს ყმაწვილი! მიხვდა!  
**ასისთავი არშია**  
 ვენცელის მოკვლას თუ ეხება საქმე, მზად ვარ! მე  
 მისი დაუძინებელი მტერი ვარ! პირობას გაძლევთ ჩე-  
 მი ხალხის სახელით!

**მამა იუბიუ** (მივარდება და გულში იკრავს)  
 ო! ო! როგორ მიყვარხართ, არშია!

**ასისთავი არშია**  
 ფუჟ! როგორ ყარხართ, მამა იუბიუ! არასდროს  
 იბანთ?

**მამა იუბიუ**  
 იშვიათად.  
**დედა იუბიუ**  
 არასდროს!

**მამა იუბიუ**  
 ფეხები არ დაგისრისო!

**დედა იუბიუ**  
 ძნებვის გროვაგ!  
**მამა იუბიუ**

მოკლეედ, არშია, თქვენთან საქმე მოგვარებულია.  
 ჩემმა მწვანე ვარყალმა, ლიეტუვის ჰერცოგად გაქ-  
 ცევთ, დედა იუბიუს გეფიცებით!

**დედა იუბიუ**  
 კი მაგრამ...  
**მამა იუბიუ**

იყუჩე, ჩემო ანგელოზო.  
 გადიან.

#### სცენა V

**მამა იუბიუ, დედა იუბიუ და შიკრიკი.**

**მამა იუბიუ**  
 რა გნებავთ, ბატონო? თავი დამანებეთ! ნუ დამ-  
 ლალეთ!

**შიკრიკი**  
 მეფე გიხმობთ, ბატონო!

გადის.  
**მამა იუბიუ**  
 ვაიმე! ძნებვი! დალახვ-ახვროს! ჩემმა მწვანე ვარ-  
 ყალმა, ნიღაბი ამხადეს, თავს წამაცლიან! აფსუს! აფ-  
 სუს!

**დედა იუბიუ**  
 ღოყლაპია კაცუნა! დრო კი იწურება!

**მამა იუბიუ**  
 ეე! კარგი აზრი მომივიდა: ვიტყვი, რომ ყველაფე-  
 რი დედა იუბიუს და არშიას მოწყობილია!

**დედა იუბიუ**

რა? ბებერო თახსირო იუბიუ! აბა, გაბედე!

**მამა იუბიუ**

დიახ! ასე ვიზამ!

გადის.

**დედა იუბიუ (მისდევს)**

ექ! მამა იუბიუ, მამა იუბიუ, კუ-ბ-ატს მოგიმზა-  
დებ!

გადის.

**მამა იუბიუ (კულისებიდან)**

ო! ძნევი! ერთი შენც და მაგ შენს კუ-ბ-ატსაც!

## სცენა VI

**მეფის სასახლე.**

მეფე ვენცელი, ოფიცრებით გარშემორტყმული;  
არშია; მეფისწულები: ბოლესლავი, ვლადისლავი და  
ხულიგავი; და მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ (შემოდის)**

ო! იცით, მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერი დედა  
იუბიუს და არშიას მოწყობილია!

**მეფე**

მამა იუბიუ, რა მოგივიდა?

**არშია**

სასმელი ზედმეტი მოუვიდა.

**მეფე**

როგორც - მე, ამ დილით.

**მამა იუბიუ**

დიახ, მთვრალი ვარ, ბევრი მომივიდა ფრანგული  
ლინო.

**მეფე**

მამა იუბიუ, მინდა, დაგავილდოო დრაგუნთა კა-  
პიტნის რანგში განეული დიდი სამსახურისთვის, და  
სანდომირის გრაფის წოდება გიბოძო!

**მამა იუბიუ**

ო, მეფეო ვენცელ, არც კი ვიცი, მადლობა როგორ  
გადაგიხადოთ!

**მეფე**

მადლობა რა საჭიროა, მამა იუბიუ. ხვალ დილით  
ალლუმზე მოდი.

**მამა იუბიუ**

მოვალ! ახლა კი, გთხოვთ, ჩემგან ეს პატარა სა-  
ლამური მიიღოთ.

მეფეს სალამურს წარუდგენს.

**მეფე**

ჩემი ასაკის კაცს სალამური რაში სჭირდება? კარ-  
გი, ხულიგას მივცემ.

**ნორჩი ხულიგავი**

ეს მამა იუბიუ სულელი ხომ არ არის?

**მამა იუბიუ**

ახლა კი აქაურობას გავეცლები.

შემოტრიალებისას ეცემა.

ვაი! უი! მიშველეთ! ჩემმა მწვანე ვარყალმა, ნან-  
ლავი გამერლვა და ფაშვი მეფუშება!

**მეფე (წამოდგომაში ეხმარება)**

რამე ხომ არ იტკინეთ, მამა იუბიუ?

**მამა იუბიუ**

დიახ! და უთუოდ სულიც ამომხდება! რა ეშველე-  
ბა დედა იუბიუს?

**მეფე**

ჩვენ ვიზრუნებთ მასზე.

**მამა იუბიუ**

რა კეთილი ხართ!

გადის.

ჰო, მაგრამ ეს თქვენს ამოულეტას ხელს არ შეუშ-  
ლის, მეფეო ვენცელ!

## სცენა VII

**მამა იუბიუს სახლი.**

ჯოხილი, სვეტისი, ძელარი, მამა იუბიუ, დედა  
იუბიუ, შეთქმულები და ჯარისკაცები, ასისთავი არ-  
შია.

**მამა იუბიუ**

ჰე! ძირფასო მეგობრებო, უკვე დროა, შეთქმუ-  
ლების გეგმა დავსახოთ! თითოეულმა საკუთარი აზრი  
გამოთქვას. თავდაპირველად კი, თუ ნებას დამრთავთ,  
ჩემს აზრს გაგაცნობთ.

ასისთავი არშია

თქვეთ, მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ**

ესე იგი, ჩემ მეგობრებო, მე ვფიქრობ, რომ მეფე  
უბრალოდ უნდა მოვნამლოთ, სადილში დარიშხანი ჩა-  
ვუყაროთ. როგორც კი შეჭამს, მოინამლება, და მეც  
მეფე გავხდები.

**ყველა ერთად**

ფუჭ, რა მაიმუნობა!

**მამა იუბიუ**

რა? არ მოგწონთ? არშია რა აზრისაა?

ასისთავი არშია

იმ აზრის ვარ, რომ ხმლის ერთი კარგი დაკვრით  
თავიდან წელამდე შეუზე გავაპოთ.<sup>5</sup>

**ყველა ერთად**

აპა! ეს უკვე კეთილშობილური და ვაჟკაცურია!

**მამა იუბიუ**

და, ფეხები რომ მოგიქნიოთ? ახლა გამახსენდა,  
რომ აღლუმზე რკინის ჩექმებს იცავს. მტრისას, თუ  
ვინმეს მოარტყა! თქვენ იმდენს იზამთ, ყველას მას-  
თან დაგაბეზღებთ, რომ ამ ბინძური საქმიდან გამოვ-  
ძრე. და ალბათ, ფულსაც მაჩუქებს!

**დედა იუბიუ**

ოპ! მოღალატე, ლაჩარო, ბინძურო და უსახურო  
წუნურაქ!

**ყველა ერთად**

თავსლაფი მამა იუბიუს!

**მამა იუბიუ**

ე! დამშვიდდით, ბატონებო, თუ არ გინდათ, ჩაგი-  
ჯიბოთ! მე ხომ თქვენთვის მივდივარ რისკზე. არშია,  
რა გაენყობა, რაკი ასეა, შეუზე მას შენ გააპობ!

ასისთავი არშია

არ ჯობია, ყველა ერთად მივვარდეთ ღრიალითა  
და ყვირილით? ამგვარად, ჯარიც ჩვენ შემოგვიერ-  
თდება.

**მამა იუბიუ**

მოკლედ, მე მის ფეხებზე შედგომას ვეცდები. ის ნაიძორძიებს. მე კი ვეტყვი: „ დ ნ ე ხ ვ ი ! “. და ამ ნიშანზე, თქვენ მას ეძღერებით!

**დედა იუბიუ**

ძალიან კარგი! და როგორც კი მოკვდება, შენ აიღებ მის კვერთხსა და გვირგვინს.

**ასისთავი არშია**

მე კი, ჩემი ამალით, სამეფო ოჯახს დავედევნები.

**მამა იუბიუ**

დიახ, და განსაკუთრებით, ნორჩ ხულიგავს მიხედეთ!

გადიან.

**მამა იუბიუ (მათ მისდევს და უკან აპრუნებს)**

ბატონებო, ერთი აუცილებელი ცერემონია დაგვაიწყდა. უნდა დაიფიცოთ, რომ მამაცურად იბრძოლებთ!

**ასისთავი არშია**

ეს როგორ ვქნათ? მდვდელი რომ არ გვყავს?

**მამა იუბიუ**

დედა იუბიუ იყიდებს მღვდლის როლს.

**ყველა ერთად**

დაე, ასე იყოს!

**მამა იუბიუ**

ესე იგი, ფიცავთ, რომ მეფეს ნამდვილად მოკლავთ?

**ყველა ერთად**

დიახ, ვფიცავთ! ვაშა მამა იუბიუს!

პირველი მოქმედების დასასრული

**დედოფალი**

კი მაგრამ, მე ხომ სიზმარში გნახეთ, როგორ გირტყამთ იგი იარაღსა და როგორ გაგდებთ მდინარე ვისლაში, და როგორ ადგამს მას გვირგვინს არწივი, პოლონეთის გერბზე რომ არის, ისეთი!

**მეფე**

ვის ადგამს?

**დედოფალი**

მამა იუბიუ!

**მეფე**

რა სისულელეა! ბატონი იუბიუ ნამდვილი ჯენტლმენია, რომელიც ჩემი გულისხმის ოთხად გაიჭრება!

**დედოფალი და ხულიგავი**

როგორ ცდებით!

**მეფე**

კრინტი, პატარა მამუნო! თქვენ კი, ქალბატონი, დაგიმტიკებთ, თუ როგორ არ მეშინია ბატონი იუბიუსი, და ალლუმზე ასევე წავალ, უაბჯროდ და უხმლოდ.

**დედოფალი**

საბედისნერო დაუდევრობა! ცოცხალს ვეღარ გნახავთ!

**მეფე**

ვლადისლავ და ბოლესლავ, წამოდით!

გადიან.

დედოფალი და ხულიგავი ფანჯარასთან მიღიან.

**დედოფალი და ხულიგავი**

გფარავდეთ ღმერთი და წმინდა წიკოლოზი!

**დედოფალი**

ხულიგავ, სამლოცველოში წამომყევით, თქვენს მამასა და ძმებზე ვილოცოთ!

**სცენა II****საალუმე მოედანი.**

პოლონეთის არმია, მეფე, ბოლესლავი, ვლადისლავი, მამა იუბიუ, ასისთავი არშია და მისი ამალა, ჯოხილი, სვეტისი, ძელარი.

**მეფე**

კეთილშობილო მამა იუბიუ, ახლოს მოდით, თქვენს ამალასთან ერთად, რომ ჯარი დავათვალიეროთ.

**მამა იუბიუ (თავის ხალხს)**

აბა, მოემზადეთ! (მეფეს) მოვდივართ, თქვენო უდიდებულესობაზ, მოვდივართ.

მამა იუბიუს ამალა წრეს არტყამს მეფეს.

**მეფე**

ოპო! აი, დანციგის<sup>7</sup> ცხენისანთა გვარდიის პოლკიც გამოჩნდა. მართლაც რა მშვენიერები არიან!

**მამა იუბიუ**

მართლა ასე ფიქრობთ? მე კი მგონია, რომ უვარგისები არიან! აი, ამას შეხედეთ. (ჯარისკაცს) რამდენი ხანია, პირი არ დაგიბანია, საზარელო საფრთხობელავ?

**მეფე**

კი მაგრამ, ეს ჯარისკაცი სრულიად სუფთაა! რა მოგდით, მამა იუბიუ?

**მამა იუბიუ**

აი, რა მომდის!

**მოქმედება II****სცენა I****მეფის სასახლე.**

ვენცელი, დედოფალი როზმონდა, ბოლესლავი, ვლადისლავი და ხულიგავი.

**მეფე**

ბატონონ ხულიგავ, ამ დილით ძალიან თავხედურად მოექეცით ბატონ იუბიუს - ჩემი ორდენების კავალერს და სანდომირის გრაფს! ამიტომაც გიკრძალავთ ჩემს ალლუმზე მოსვლას!

**დედოფალი**

არადა, ვენცელ, თქვენს დასაცავად, ურიგო არ იქნებოდა მთელი თქვენი ოჯახის იქ ყოფნა!

**მეფე**

მე არასდროს ვცვლი ჩემს გადაწყვეტილებებს, ქალბატონო. ნუ დამლალეთ თქვენი ლაქლაქით!

**ნორჩი ხულიგავი**

ვემორჩილები თქვენს ნებას, მამა!

**დედოფალი**


ანუ, თქვენი უდიდებულესობა ისევ აპირებს იმ ალლუმზე წასვლას?

**მეფე**

და რატომ არ უნდა დავაპირო, ქალბატონ?

5 - ისევ მაკეტის "სცენის პაროდია.

6 - დედოფალ ატოსას სიზმრის პაროდია ესქილეს სპარსელებიდან".



მეფის ფეხებზე შედგება.

### მეფე

უბადრუკო!!

მამა იუბიუ

ძ ნ ე ც ი !! ჩემთან - ჩემი ხალხი!

არშია

ნინ! შეტევაზე!

ყველა მეფეს ეძღვერება. ერთ-ერთი თახსარი სკდება.

### მეფე

აჲ! მიშველეთ! ქალწულო მარიამ, მოვკვდი!

**ბოლესლავი** (ვლადისლავი)

რა ხდება აქ? ხმალი ვიშიშვლოთ!

მამა იუბიუ

ოჲო! გვირგვინიც ხელთ მაქვს! ახლა სხვებსაც მივხედოთ!

ასისთავი არშია

ჰკა მაგათ!!

მეფისწულები გარბიან. ყველა მათ მისდევს.

### სცენა III

დედოფალი და ხულიგავი.

#### დედოფალი

როგორც იქნა, დავმშვიდდი!

**ხულიგავი**

არც არანაირი მიზეზი გაქვთ ნერვიულობის.

გარედან საშინელი ღრიანცელი შემოდის.

#### ხულიგავი

აჲ! ეს ვის ვხედავ? ჩემს ძმებს მამა იუბიუ და მისი ამაღლა მოსდევს!

#### დედოფალი

ო, ღმერთო ჩემო! ქალწულო მარიამ, მოიმწყვდი- ეს! მოიმწყვდიეს!

### ხულიგავი

მთელი ჯარი თან მოჰყვება მამა იუბიუს. მეფე არ ჩას! რა საშინელება! გვიშველეთ!

#### დედოფალი

ბოლესლავი მოკლეს! ტყვია დაახალეს!

#### ხულიგავი

ჰეი! (ვლადისლავი მოხედავს) მაგრად დაუდექი, ვლადისლავ!

#### დედოფალი

აჲ! ალყაში მოაქციეს!

#### ხულიგავი

მორჩა ყველაფერი! ეს-ეს არის, არშიამ სოსისი- ვით ორად გააპო!

#### დედოფალი

აჲ! ვაიმე! სასახლეში შემოვარდნენ ეს ველურები! კიბეებზე ამორბიან!

ღრიანცელი ახლოვდება.

#### დედოფალი და ხულიგავი (დაჩოქილნი)

ღმერთო, დაგვიფარე!

#### ხულიგავი

უჲ! ეს მამა იუბიუ! არამზადა უბადრუკი! ერთი, ხელში ჩამივარდეს...

### სცენა IV

#### იგივენი.

კარი შემოინვრევა. მამა იუბიუ და მისი გამ- დვინვარებული ამაღლა შემოცვივდებიან.

#### მამა იუბიუ

აჲ! ხულიგავ, რას მიპირებ?

#### ხულიგავი

დიდება ღმერთს! სისხლის უკანასკნელ წვეთამდე- დავიცავ დედაჩემს! ვინც პირველი გაინძრევა, მკვდა- რია!

#### მამა იუბიუ

ოჲ! როგორ შემაშინა! არშია, გამიშვით აქედან.

**ერთ-ერთი ჯარისკაცი (წინ გამოიწევა)**  
დაგნენებდი, ხულიგავ!

**ნორჩი ხულიგავი**  
ამ ყალთაბანდს დამიხედეთ! აპა, მიიღე შენი წილი!

თავს უპობს.

#### დედოფალი

გამაგრდი, ხულიგავ, გამაგრდი!

**რამდენიმე შეთქმული (წინ გამოდიან)**

ხულიგავ, გპირდებით, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ.

#### ხულიგავი

ნაძირლებო! ღვინის ტიკორებო! დაქირავებულო მაიმუნებო!

ხმალს დაატრიალებს და ნამდვილ „საყასბოს“ მოაწყობს.

#### მამა იუბიუ

ოჳ! ამას როგორ ვერ უნდა მოვულო ბოლო!

#### ხულიგავი

დედა, თავს უშველე, საიდუმლო კიბით!

#### დედოფალი

და შენ, შვილო, შენ?

#### ხულიგავი

მეც თან მოგყვები.

#### მამა იუბიუ

დედოფალი დაიჭირეთ! აპ! გაიპარა! შენ კი, უბად-რუკო...

ხულიგავისკენ მიღის.

#### ხულიგავი

უჳ! დიდება ღმერთს! აი, ჩემი შურისძიებაც! (ხმლის სასტიკი დარტყმით, ფაშვს გაურლვევს მამა იუბიუს) მოვდივარ, დედა!

ქრება საიდუმლო კიბეზე.

#### სცენა V

**გამოქვაბული მთებში.**

**შემოდის ნორჩი ხულიგავი და მოჰყვება დედოფალი როზმონდა.**

#### ხულიგავი

აქ უსაფრთხოდ ვიქნებით.

#### დედოფალი

იმედი მაქვს! აპ, ხულიგავ, მომეშველე!

დედოფალი თოვლზე ეცემა.

#### ხულიგავი

ე! დედა, რა გჭირს?

#### დედოფალი

ძალიან ავად ვარ, ხულიგავ, ორი საათის სიცოცხლე-და დამრჩენია!

#### ხულიგავი

რა? გაციცდი?

#### დედოფალი

ან კი როგორ გავუძლო ამდენ უბედურებას? მეფე მოკულეს, ოჯახი გაგვინადგურეს, და შენ - წარმომადგენელს ყველაზე კეთილშობილი გვარისა, ვისაც კი

ოდესმე ხმალი სჭერია - ბოროტმოქმედივით, მთებში გადახვენა გაიძულეს!

#### ხულიგავი

და თან ვინ, ღმერთო მაღალო, ვინ? - ამ უხამსმა მამა იუბიუმ, ამ თავზეხელალებულმა უჯიშომ, ამ თახ-სირმა არამზადამ, ამ სამარცხვინო მანანნალამ! რომ მახსენდება, როგორ დააჯილდოვა მამაჩემმა, გრაფო-ბა უბოძა და მეორე დღეს, ეს ნაგავი სინდისმა არ შეა-წუხა და მასზე ხელი ასწია!

#### დედოფალი

ო, ხულიგავ! რა ბედნიერები ვიყავით, სანამ ეს მა-მა იუბიუ გამოჩინდებოდა! ახლა კი, აფსუს, ყველაფე-რი შეიცვალა!

#### ხულიგავი

რას ვიზამთ! დაველოდოთ იმედით და ნურასდროს დავთმობთ ჩვენს უფლებებს!

#### დედოფალი

შენ მთელი გულით გისურვებ, ძვირფასო შვილო, მაგრამ მე ამ ბედნიერ დღეს ვერ მოვესწრები!

#### ხულიგავი

აპ! რა გჭირს? ფერი მისდის, ეცემა, გვიშველეთ! მაგრამ აქ არავინაა! ო, ღმერთო ჩემო! გული აღარ უცემს. მოკვდი! ნუთუ ეს შესაძლებელია? მამა იუბიუს კიდევ ერთი მსხვერპლი! (თავს ხელებში რგავს და ტირის) ო, ღმერთო ჩემო! რა ძნელია მარტო დარჩენა თოთხმეტი წლის ასაკში, და თან სასტიკი შურისძიე-ბის ვალდებულებით!

ეცემა, უკიდურესი სასოწარკვეთით შეპყრობილი.

ამასობაში, ვენცელის, ბოლესლავის, ვლადისლა-ვის და როზმონდას სულები შედიან გამოქვაბულში.<sup>8</sup> მათ თან ახლავთ წინაპრები. გამოქვაბული ივსება. მათგან ყველაზე ხანდაზმული უახლოვდება ხული-გაეს და ნაზად აღვიძებს.

#### ხულიგავი

ოჳ! ამას რას ვხედავ? მთელი ჩემი ოჯახი, ჩემი წინაპრები... რა სასწაულია!

#### აჩრდილი

იცოდე, ხულიგავ, რომ მე, სიცოცხლის განმავლობაში, ვიყავი დიდგვაროვანი მატიას კენიგსბერგელი, ჩვენი დინასტიის ფუძემდებელი და პირველი შეფე. შენ გაბარებ ჩვენი შურისძიების საზრუნავს. (აწერის დიდ ხმალს) დაე, ამ ხმალა, მე რომ გადმოგცემ, მხოლოდ მაშინ დაისვენოს, როცა თვითმარქებია უზურპატორს სიკვდილს აგემებს.

ყველა აჩრდილი ქრება. ხულიგავი რჩება მარტო, აღტკინუბული.

#### სცენა VI

მეფის სასახლე.

მამა იუბიუ, დედა იუბიუ, ასისთავი არშია.

#### მამა იუბიუ

არა-მეთქი, არ მინდა! ამ სალახანების გამო უნდა გამაკოტროთ?

#### ასისთავი არშია

კი მაგრამ, მამა იუბიუ, ნუთუ ვერ ხედავთ, როგორ ელის ხალხი ძღვენს ამ ბრწყინვალე მოვლენის აღსანიშნავად?

**დედა იუბიუ**

თუ მათ ხორცს და ოქროს არ დაურიგებ, ორ სა-ათში ტახტიდან ჩამოგაგდებენ.

**მამა იუბიუ**

ხორცს - კი! ოქროს - არა! დაკალით სამი ბებერი ცხენი. ესეც ეყოფათ მაგ მაიმუნებს.

**დედა იუბიუ**

თავად მაიმუნი! ვინ გადამყარა ასეთ ცხოველს?

**მამა იუბიუ**

კიდევ ერთხელ გიმეორებთ, გამდიდრება მინდა, გროშსაც არ დავთმობ.

**დედა იუბიუ**

კი მაგრამ, პოლონეთის მთელი სახაზინო ხომ ჩვენ ხელთა.

**ასისთავი არშია**

დიახ. მე ვიცი, რომ სამლოცველოში უზარმაზარი განძია დამამალული. ჩვენ მას დავარიგებთ.

**მამა იუბიუ**

უბადრუუკო, აბა ერთი გაბედე!

**ასისთავი არშია**

თუ არ დაურიგებ, ხალხი გადასახადებს აღარ გა-დაიხდის, მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ**

მართლა?

**დედა იუბიუ**

დიახ, დიახ!

**მამა იუბიუ**

აჲ! თუ ასეა, ყველაფერზე თანახმა ვარ. დაარი-გეთ სამი მილიონი და შეწვით ას ორმოცდათი ხარი და ცხვარი. მით უმეტეს, რომ მეც შემხვდება!

გადიან.

**სცენა VII**

**ხალხით სავსე სასახლის მოედანი.**

მამა იუბიუ გვირვეინით, დედა იუბიუ, ასისთა-ვი არშია, ხორცით დატვირთული მსახურები.

**ხალხი**

აი, მეფეც! დიდება მეფეს! ვაშა!

**მამა იუბიუ (ოქროებს ფანტაგს)**

აიღეთ, თქვენი იყოს! სულ არ მეხალისებოდა თქვენ-თვის ფულის დარიგება, მაგრამ დედა იუბიუმ ისურვა ასე. სამაგიროდ, გადასახადებს ხომ გადაიხდით?

**ყველა**

კი, კი!

**ასისთავი არშია**

შეხედეთ, დედა იუბიუ, ოქროებს ვერ იყოფენ! რო-გორ დასცხეს ერთმანეთს!

**დედა იუბიუ**

მართლაც რა საშინელება! ფუჭ! აი, ერთს თავი გაუპეს!

**მამა იუბიუ**

რა მშენები სანახაობა! კიდევ მომიტანეთ ოქ-როს ზანდუები!

**ასისთავი არშია**

შეჯიბრი ხომ არ მოგვეწყო?

**მამა იუბიუ**

ოჲო! კარგი აზრია! (ხალხს) მეგობრებო, ამ ოქ-როს ზანდუებს ხომ ხედავთ, შიგ სამასი ათასი პოლო-

ნური ოქროს მონეტაა, საუკეთესო ხარისხის! ვისაც შევიბრში მონაწილეობა გსურთ, მოედნის ბოლოში დადექით. როგორც კი ცხვირსახოცს გავაქნევ, გაიქ-ცევით. ვინც პირველი მიასწრებს, ზანდუებიც მისი იქ-ნება! დამარცხებულები კი, გული რომ არ დაწყდეთ, ამ მეორე ზანდუებს გაიყოფენ.

**ყველა**

ვაშა! დიდება მამა იუბიუს, ჩვენს კეთილ მეფეს! ვენცელის დროს ამას ვინ გვალირსებდა!

**მამა იუბიუ (გახარებული, დედა იუბიუს)**

გესმის მათი?

ხალხი მოედნის ბოლოში მწერივდება.

**მამა იუბიუ**

ერთი, ორი, სამი! მზად ხართ?

**ყველა**

კი! კი!

**მამა იუბიუ**

ნინ!

ხალხი გარბის, ერთმანეთში შეხლა-შემოხლით, ყვირილით და გნიასით.

**ასისთავი არშია**

უახლოვდებიან! უახლოვდებიან!

**მამა იუბიუ**

აჲ! პირველს დაეწივნენ.

**დედა იუბიუ**

არა, ისევ წინ გავიდა.

**ასისთავი არშია**

არა! აგებს, აგებს! მორჩა! სხვამ მოიგო!

იგებს რიგით მეორე.

**ყველა**

ვაშა მიხეილ თედორეს ძეს! ვაშა მიხეილ თედო-რეს ძეს!

**მიხეილ თედორეს ძე**

თქვენი უიუბიუესობავ, არ ვიცი, მადლობა რო-გორ გადავუხადო თქვენს ბრწყინვალებას...

**მამა იუბიუ**

ო, ჩემი ძეირფასო მეგობარო, ეს არაფერია! წაი-ლე შენი ზანდუები, მიხეილ! დანარჩენებმა კი, ეს მეორე გაიყავით. თითომ თითო მონეტა აიღეთ, რიგრიგო-ბით, სანამ არ გამოილევა.

**ყველა**

ვაშა მიხეილ თედორეს ძეს! ვაშა მამა იუბიუს!

**მამა იუბიუ**

თქვენ კი, მეგობრებო, მაგიდასთან მობრძანდით! დღეს სასახლის კარი ღიაა თქვენთვის. პატივი დამ-დეთ და ჩემთან ერთად იქეიფეთ!

**ხალხი**

შევიდეთ! შევიდეთ! ვაშა მამა იუბიუს! მონარქთა-გან ყველაზე კეთილშობილს!

შედიან სასახლეში. დილამდე ისმის ღრეობის ხმები.

**მეორე მოქმედების დასასრული**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ქეთევან კოკოზაშვილი

# სარკმლიდან დანახული

ჩვეულებრივი წერილი ცოტა უჩვეულო ჩანართებით  
თემურ ჩხეტიანს, რომელიც ახლა ვაჩნაძიანშია



ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სათაური შენივე ლექსის პერიფრაზია.

ჩემთვის შენს პოეზიაზე წერა ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ უნდა დავწერო ახლობელ ადამიანზე, მეგობარზე, რომლის ყოველ-დღიურობა კარგად ვიცი, თითქმის წვრილმანებიც კი, ცოტა პარადოქსულია, მაგრამ ძნელიც სწორედ ამიტომ არის, ვფიქრობ, რამე არ გამომრჩეს, არ გამომეპაროს, ან პირიქით, თუნდაც ოდნავ არ გადავაჭარბო, ზუსტად ვიცი, რომ ეს ყველაზე მეტად თავად არ მოგენონხება.

ასე ვიწყებ წერას შენზე და შენს ლექსებზე, თითქოს ხელს გყიდებ და ნელ-ნელა გესაუბრებით შენც და მკითხველსაც.

თემურ ჩხეტიანის პოეზია საბოლოოდ მაინც ერთ წიგნშია თავმოყრილი, თუმცა, ბევრი კარგი ლექსი რატომღაც არ არის შესული ბოლო კრებულში და ჩემთვის ისინიც საყურადღებოა, ვერ გამოვტოვებ.

ჩვენს პრაგმატულ, ტექნიკურ, აჩქარებულ და საბაზრო ეკონომიკის “მერკანტილურ დროში თითქოს პოეზიის ადგილი აღარ არის, აღარ კითხულობენ, სულიერება თითქოს სულს დაფავს, თითქოს პოსტმოდერნულმა მიმართულებამ პოეზიის ონტოლოგიური ბუნება ჩრდილში მოაქცია, განდევნა ლი-

რიზმი, კიჩი” ნამოსწია წინ და მხოლოდ აბსტრაქტულ ტერმინად და მოვლენად აქცია პოეტური მეტაფიზიკა. თუმცა ამ გაუდაბნოებულ გარემოში უცებ რაზისივით გამოჩებილ და მაინც გამოანათებენ ხოლმე პოეტები, რომლებიც სრულიად სანინააღმდეგოს გვაზიარებენ. ასეთ ვითარებაში თემურ ჩხეტიანის პოეზია ნამდვილი კომფორტის სივრცეა რაფინირებული, დახვენილი სიტყვისა და ღრმა აზრისკენ მიღრევილი ადამიანებისთვის. ეს არის მარტოსულობის, დიდი, თბილი ნალვლით “გაჯერებული სამყოფელი...

ბალახის სიმაღლე” პოეტის ბოლო, ყველაზე მოზრდილი კრებულია და მასში რჩეული ლექსებია თავმოყრილი. საინტერესოა წიგნის სტრუქტურა. ეს არის ერთი მთლიანობა, რომელსაც პოეტი ციკლებად ჰყოფს, აქ ერთი მხრივ, მისი, როგორც საჭადრაკო კომპოზიტორის, სვლებივით გათვლილი წესრიგი იგრძნობა, მეორე მხრივ კი, ვერლიბრისა და კონვენციური ლექსის, ხან მაღალი და ხან დაბალი ტონალობების გამათა მონაცვლეობა ერთიანი მელოდიური დრამატული ქმნილების შეგრძენებას აჩენს. ეს არის საოცრად სევდიანი, ტკივილიანი და გრძნობიერი სივრცე, მძაფრი შეგრძენებით განმსჭვალული.

ჯერ წიგნის სათაურს მივყვეთ, მისი შემადგე-

ნელი სიტყვები საინტერესო სინტაგმას ქმნის. რა-ზე მიგვანიშნებს მათი კონტაცია - ბალახის სი-მაღლე? ბალახი დაბალია, ზოგჯერ შეიძლება, შე-უმჩნეველიც, დიდი-დიდი ადამიანს მუხლამდე ან წელამდე მივწვდე", - ამბობს თავად პოეტი იმავე სახელნოდების ლექსში. ეს ერთგვარი მინიშნებაა მცირებე, მოკრძალებულზე, ჩემი სიმაღლიდან რას დავინახავ? " ისმის ასეთი კითხვაც, თუმცა მეორე სიტყვის მნიშვნელობის ახსნა ისევ ლექსშია, ეს ის სიმაღლეა", საიდანაც მშვენივრად მოჩანს მზის ნა-თება და შეიგრძნობა მისი სითბო, აქედან ვარ-სკვლავებსაც აჰყურებს ნამიანი თვალებით". აქ მი-სი ერთი მინიმაც მახსენდება:

„ყველაზე დაბლა ვდგავარ,  
მაგრამ ჩემ ზემოთ  
მხოლოდ ღმერთია.“

ასე ბალახიდან მზემდეა განფენილი პოეტის ხედვა სივრცეში, ასე ფართოა მისი ფიქრებისა და განცდების მიმოქცევის ამპლიტუდა.

თემურ ჩხეტიანი ერთნაირად თავისუფლად გრძნობს თავს ვერლიბრშიც და კონვენციურ ლექ-სშიც, ერთნაირი ოსტატობით ფლობს ვრცელ სა-ლექსო ფორმებსაც და მინიმალისტურსაც. ის სიტყვისა და ენის ნამდვილი გურმანია, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვის თნდაყოლილი ალლო, გემოვ-ნება და განსაკუთრებული გრძნობა აქვს, ამიტო-მაც კარგად სწვდება ენის უფაქიზეს ნიუანსებს. მი-სი სიტყვიერი ქსოვილი, ერთი შეხედვით, მარტი-ვია, უბრალო, მაგრამ პოეტური სახეები ისეთი ზუს-ტი და მძაფრია, ზოგჯერ კი ისეთი ნატიფი და ლი-რიული, რომ შეგრძნებების დონეზე აღნევს მკითხველამდე. ზოგჯერ კი ისეთი ხილული და ცხა-დი ხდება სათქმელი, ისე ტრაგიზმამდეა აყვანილი პოეტის განცდები, ამ დროს თითქოს მის შიშველ ნერვებს ხელით ეხება და ზოგჯერ პოეტის სულსაც მოიხელება. აქ არის იმედი და უიმედობა, სიხარუ-ლი და წუხილი, შევება და დარდი, მონატრება და მოგონება; გრძნობებისა და განწყობის ასეთი თა-ნაბარზომიერი მონაცვლეობით იქმნება ლექსის მთლიანობა, რომელსაც ხშირად სრულყოფს ხოლ-მე მოულოდნელობის ეფექტით დატვირთული ფი-ნალი.

თავის დამკვიდრება თემურ ჩხეტიანისთვის არ ყოფილა იოლი, შემოქმედი ადამიანებისთვის, ზო-გადად, ეს საკმაოდ რთული პროცესია და მისთვის, მითუმეტეს, ძნელი აღმოჩნდა. ლექსში ველის შრო-შანი" ის წერს:

„მე კი სულ უნდა ვეცადო,  
რომ დავიმკვიდრო სივრცე  
და ბევრსაც უნდა ვეწამო...“

თუმცა ნამდვილად ღირდა წამება "... დღეს პო-ეზია თემურ ჩხეტიანისთვის თავისუფლების სივ-რცეცაა და, ამავე დროს, გაცილებით მნიშვნელო-ვანი სამყაროა, მისი საყრდენია, გადარჩენისა და გაძლების საშუალებაა. მას გარკვეული გარემოე-

ბების გამო ასე მოუწია, სიმარტოვეში უმკლავდება ტკივილსაც და სიხარულსაც, თუმცა მარტობას მოაზროვნე ადამიანისთვის, შემოქმედისთვის თა-ვისი დადებითი მხარეც აქვს, ერთგვარი სიამოვნე-ბა და კომფორტია, ბიძგს აძლევს თავის თავში ჩაღ-რმავებისთვის, ფიქრისთვის, ათასგვარი დაკვირ-ვებისთვის, ადამიანური და პოეტური მედიტაციის-თვის. თემურ ჩხეტიანი ერთ ლექსში თავადვე აფა-სებს თავის შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ ბევრს არ წერს, ტომეულებს არ ითვლის მისი ლექსები, თუმცა მან მშვენივრად იცის, რომ ცოტა იყო, ის რაც მართლა ღირდა სათქმელად". ეს არის გულ-ნრიფელობაც და პასუხისმგებლობაც ნამდვილი შე-მოქმედისა:

„მაგრამ მე ვწერდი მხოლოდ იმდენს,  
რამდენიც შეგეძლო,  
ვწერდი ცოტას,  
რადგან თვითონ მეც ცოტა ვიყავი“.

სწორედ ამ ცოტაში" და მის ერთგვარად ჩაკე-ტილ სივრცეში თემურ ჩხეტიანისთვის სამყარო მთელი თავისი დაფარული შრეებით, უხილავი სა-ხილველით იხსნება, პოეტი მის ყოველ ნიუანსს სწვდება და შეიგრძნობს საოცარი უნარით და ასე იქმნება, ასე ინერება, ასე იხსნება და ყალიბდება მისი მიკროკოსმოსი; პოეტი რამდენადაც გამუდ-მებით თავისი თავის შესწავლაშია, რამდენადაც თა-ვის თავშია ჩაბრუნებული და საკუთარი არსების დაფარულ წიაღმა ჩაღრმავებული, იმდენად საოც-რად გახსნილი და მიმღებია.

თემურ ჩხეტიანის პოეზიაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, როგორი მნიშვნელოვანია მის-თვის დეტალები, გარემოს შემადგენელი ცალკეუ-ლი ვიზუალური ფრაგმენტები, საერთოდ საგნობ-რიობა. ლუმელზე მოშიშინე ყვითელი ჩაიდნიდან" კახეთის ძველ მატარებლამდე" მთელი პორტრე-ტები, პეიზაჟები და ხასიათები იხატება. ერთი დღის ერთი სურათი" სათაურიდანვე მიგვანიშნებს, რომ პოეტი აქ მთელ ტილოს ხატავს:

„....თეატრის წინ, კიბის საფეხურზე  
ვისხედით ორი პოეტი,  
ვსაუბრობდით და სიგარეტს ვეწეოდით.

ვსაუბრობდით და გავყურებდით  
თეატრისწინა მოედანზე მოძრავ მანქანებს;  
გავყურებდით შენობებსაც;  
საცხოვრებელი სახლი, სამუსიკო  
სასწავლებელი, ბანკის  
შენობა...

თვალს ვაყოლებდით მტრედებს, რომლებიც  
დროდადრო ფრინდებოზე მოედნიდან,  
ფრინდებოზე და აქეთ-იქით იფანტებოდნენ..."

თემურ ჩხეტიანის ზოგიერთი ლექსის ეპიკურ თხრობაში ვლინდება პოეტისთვის დამახასიათებ-ლი სივრცის საოცარი გრძნობა. აქ კინოკადრები-

ვით მიჰყვება ერთმანეთს ფრაგმენტული ხატები და სურათები, მოქმედება იშლება სივრცეში და დროში და კადრებად აკინძული მძაფრი დინამიურობით ვითარდება. საბოლოოდ ასე იქმნება შთამ-ბეჭდავა შთლიანობა, ერთიანი სურათი. განსხვავებით, მაგ. უკა პრევერისგან, თემურს არასდროს პერ-ნია კინოხელოვნებასთან კავშირი და სასცენარო მუშაობის გამოცდილება, ამიტომ ეს არის საკუთ-რივ მისთვის და მისი თვითმყოფადობისთვის დამა-ხასიათებელი. ეს არის შთამბეჭდავი პოეტური კი-ნონოველები, ლამის ნეორეალისტური კინოს ხერ-ხებთან მიახლოებული, ზოგჯერ ამბის მძაფრი, დრა-მატული განვითარებით, ზოგჯერ ნელი, მშვიდი, თანდათათან ერთმანეთს მიდევნებული, დუნე მდი-ნარებით გადავლილი კადრებითა და სურათებით პოეტის ეზოს სულ ადვილად გამოხმობილი მანქე-ტენიდან“ ნიუ-იორკის მანქეტენის ბრწყინვალე-ბადე“. ამ მხრივ ჯერ მინდა გამოვყო ქოხი“:

„ქოხი შევასწარით წვიმას..

მანამდე ერთად დავდიოდით ტყის ბილიკებით; ვუყურებდით, ვუსმენდით და ერთად ვხარობდით:

ვუყურებდით ხეებს და ყვავილებს; ვუსმენდით ჩიტების ხმას და ფოთლების შრიალს; ვვიხაროდა ბევრი ჰაერი, კამკამა წყალი და ერთმანეთი...

ქოხში შევასწარით წვიმას, რომელიც ფეხდაფეხ მოგვყვა და კიდევაც დაგვასველა,

მაგრამ ქოხის კართან დარჩა და შინ აღარ შემოგვყოლია; შინ, სადაც უკვე ქოხის კედლებს აწყდებოდა ჩვენი სიცილი.

მერე ჩვენ ერთი პირსახოცით ვუმშრალებდით ერთმანეთს თმებს, თვალებს - სახეებს... წვიმა კი გრძელდებოდა და ხმაურობდა ქოხის სახურავზე,

და ქოხის კართან ატყაბუნებდა. მერე ბინდდებოდა და მაინც კარგად ეხდავდით ერთმანეთს.

ბოლოს სულაც ბნელოდა, მაგრამ ანათებდნენ შენი მხრები, ძუძუები და თეძოები;

გრილოდა, მაგრამ თბილი იყო შენი მკლავები და მხურვალე იყო შენი ბაგეები; და რბილი და ვრცელი იყო ქოხში ფიცრებისგან შეკრული ვიწრო საწოლი...“

აღმოსავლეთის ექსპრესი“ კი მთელი ფილმია, ბავშვობისა თუ მოზრდილობის

ფრაგმენტების სურათ-ხატების კასკადით, ხან ვენახებს შორის, სახნავ-სათეს“ ადგილებში, ხან

ლიანდაგებზე“, ხან სადგურების ფუსფუსში, ხან მატარებლის ტალანში, სახალისო ამბები თუ ტრა-გიკული - მოულოდნელად გაჩენილი ხანდარი:

„სადგურებში ხომ ყოველთვის ფუსფუსი იყო: მიდიოდნენ ან ჩამოდიოდნენ, აცილებდნენ, ელოდებოდნენ, წასაღები მიდიოდა, მოსატანი შემოდიოდა.“

მოგონება მოგონებას ერთვის, კადრი კადრს მისდევს, მოქმედება მოქმედებას მიჰყვება და ბო-ლოს თემურისთვის დამახასიათელი მოსხლეტილი ფრაზა - “მოდიოდა მატარებელი, მას თავისი ახლდა სინათლე...“

თემურ ჩხეტიანის მინიმალისტური პოეზია, რა-საკვირველია, მისი ერთიანი პოეტური სივრცის გა-ნუყოფელი ნანილი და ორგანული შემადგენელია, მაგრამ იმსახურებს ცალკე განხილვას. აქ განსა-კუთრებით იგრძნობა მისი პოეზიის სრულიად ბუ-ნებრივი, თავისითავადი და პირველქმნილი სისადა-ვე და უბრალოება. იგი ცდილობს, რაც შეიძლება მცირე რაოდენობის სიტყვებით, ხშირად ზმნების გარეშე, მოკლედ, მაგრამ მეტყველად, დანეროს დი-დი ამბავი, დახატოს მონუმენტური ტილო, ზოგჯერ ესაა მთელი ნოველა, ჩატეული რამდენიმე სიტყვა-ში:

„Nescafe Gold“-ის მწვანე გემო, ფანჯრის მიღმა კი ნირწამხდარი ვარდი... შემოდგომაა“.

ან მეორე მინიმა:

ვან გოგი - „ჩიბუხიანი კაცი“ სურათი კიდია კედელზე, თუ კედელი ჰკიდია სურათს?!“

მისი მინიმები თითქოს უმცირესი ნამცვრევე-ბია, საოცარი სიმსუბუქითა და დიდი ემოციით დატ-ვირთული:

„ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ღიმილი წავაფარე ტკივილს.“

თემურ ჩხეტიანის პოეტური ენისთვის ზოგა-დად დამახასიათებელია ლაკონურობა, ზუსტად მერჩეული სიტყვა. ეს განსაკუთრებით კარგად იგ-რძნობა მის ჰაიკუებში, რომელთაც პოეტი ცოტა მოკრძალებული სათაურის ქვეშ აერთიანებს - ჰა-იკუს მცდელობა“. ეს ციკლი აღმოსავლურ პოეტურ ტრადიციებზეა დაყრდნობილი. როგორც ცნობი-ლია, ჰაიკუ არის ნამიერი შთაბეჭდილება, დროში მოხელოებული უეცარი განცდა თუ შეგრძნება, ეს არის კოდური ენა, რამე დეტალის ან მოვლენის უეცარი გაელვება ემოციის მთელი ინტენსივობით, რაც კონცენტრირებულად არის გადმოცემული მარ-ტივი ლექსიკით. თემურ ჩხეტიანის ჰაიკუში ეს სი-

მარტივე ქვეტექსტებით არის გაჯერებული და სულ მიყურადებული უნდა იყო, რომ უმცირესი ჩქამი, ყრუ ხმაც გაიგონო. ეს მცირე ფორმის ტექსტები ძალიან მეტყველი, უეცრად მოსხლეტილა სტატი-კური სურათებისა თუ შეგრძნებების გაელვებაა. ეს არის პატარა ექსპრესიონისტული წანახატები, რომ-ლებშიც უეცრად მოხელებული წამი მკითხველის-თვის დინამიკაში გრძელდება და მას თავისებურად ინტერპრეტაციის საშუალება ეძლევა. ჰაიკუში კრისტალიზდება თემურ ჩხეტიანის მრავალფეროვანი წამიერი რეფლექსიები და უაღრესად დახვეწილ ფორმას იღებს. ზოგი მინიმა ან ჰაიკუ ისეთი ვულ-კანისებური ამოფრქვევაა, ცხადად იგრძნობა პოეტის გულის ფერება:

„დღის მზიანი გზა...

იებით სავსე ეზო

ცარიელ სახლთან.“

მისი ჰაიკუში აქ იბადება - მის სიმარტოვეში, ოთახის სიჩუმეში თუ ეზოს ყოველ კუთხე-კუნჭულ-ში:

„შემოიძარცვა სამოსი

და გადმოყარა ძუძუები

კარალიოკმა“.

აქვე მეორე ჰაიკუ:

„ფიქრი, ნაღველი

და საფერფლე ემსგავსება

კრემატორიუმს.“

თემურ ჩხეტიანი არის ადამიანი, რომელიც საკ-მაოდ ბევრს მუშაობს, კითხულობს, აკვირდება, აანა-ლიზებს, იმახსოვრებს. ჩვენ არაერთი ლექსი გვი-თარგმნია ერთად და ვიცი, მისი მიდგომა, როგორ არჩევს თითოეულ სიტყვას ან როგორ მუშაობს რით-მაზე. უკვე აღვნიშნე, რომ ის ერთნაირად თავისეუფ-ლად გრძნობს თავს კონვენციურშიც და ვერლიბ-რის სალექსო ფორმაშიც. ვერ ვიტყვი, რომ მისი პო-ეზია განსაკუთრებულად გამოირჩეოდეს მუსიკა-ლური თვალსაზრისით და ამისთვის შესაბამის პო-ეტურ ხერხებსაც ნაკლებად იყენებს, თუმცა რით-მიან ლექსებში თავად სარითმო წყვილები ისეთი დაკვირვებით, სიტყვისა და მუსიკის ისეთი შეგ-რძნებით არის მიგნებული და შეჩეული, თუ ამ ტი-ბის ლექსის რიტმულ-ინტონაციურ თავისებურე-ბებსაც გავითვალისწინებთ, რბილი, ჰაეროვანი მე-ლოდიურობა ყოველთვის გასდევს თავიდან ბოლომ-დე:

„გვიანია და არ ისმის ჩქამიც,

სძინავთ სახლებს და სოფელსაც სძინავს,

შემოდგომაა, საგრძნობლად ცივა,

და იორთქლება ფანჯრები ღამით.

და ისევ მარტო და ისევ ჩუმად,  
და, რა თქმა უნდა, არავინ მოღის-  
არა აქვს ბოლო ფიქრსა და ლოდინს,  
მოლოდინის და ფიქრის დრო თუ გაქვს.“

რაც შეეხება თავისუფალ ლექსებს, სტრუქტუ-რულად ისეა განსაზღვრული, კონსტრუქციულად ისეთი მკაცრი რიტმული წესრიგით არის აგებული ყოველი ფრაზა, ზოგან რითმის შეგრძნებაც ჩნდე-ბა. ამ მხრივ მის პოეზიაში განსაკუთრებული დატ-ვირთვა აქვს გამოირჩებას, მისი საშუალებით აქცენ-ტირებულია ესა თუ ის ფრაგმენტი, ქმედება ან სუ-რათი და რიტმი კიდევ უფრო მძაფრდება. მის ლექ-სებში ფრაზას თავისებური და განსაკუთრებული სინტაქსური სიმწყობრე ახასიათებს, ეს მწყობრი კონსტრუქციები თანმიმდევრულობით, ბუნებრივი მდინარებითა და ჰარმონიით მიყვება ერთმანეთს და ასე იქმნება თემურ ჩხეტიანის პოეტური სივ-რცე.

მე ვერ ვხედავ განსხვავებას ხელის გულსა და ლექსს შორის“, - ეს პაულ ცელანის სიტყვებია. პა-ტარა, ერთიბენო ხელის გული, აღმავალ-დაღმავა-ლი ხაზებით, ზოგი პარალელური, ზოგი მორკალუ-ლი, ზოგიც ტალლოვანი, ერთმანეთის გადამკვეთი, ერთმანეთში გამავალი, სიცოცხლის ხაზი და გუ-ლის ხაზი - ეს არის მართლაც თემურ ჩხეტიანის ლექსი. ერთ ლექსში ის წერს:

„თოვლის გამო თეთრია ეს დღე

და თეთრში ისევ ბეკვირამე იგულისხმება,  
მე კი წინ მიდევს თეთრი ფურცელი...“

თეთრში მართლაც ბევრი რამე იგულისხმება, სიმბოლურად თუ პირდაპირ, გულწრფელი, სუფ-თა, ნამდვილი, პირველქმნილი, სადა, სპეტაკი, კამ-კამა განცდები და ეს ხელისგულისოდენა თეთრი ფურცელიც ამ ხაზებისა და განცდების დამტევი სივრცეა. თემურ ჩხეტიანი სწორედ ხელის გული-დან“, თავისი შემოსაზღვრული ეზოდან, თავისი სახ-ლიდან და ოთახიდან ხედავს, აღიქვამს და აკვირ-დება სამყაროში მიმდინარე პროცესებს. რაც უფ-რო შეზღუდულია სივრცობრივად პოეტის რეალუ-რი საჭვრეტელი, მით უფრო ღრმად და ყოვლისმომცველი; აქედან იბ-მება უხილავი კავშირები გარესამყაროსთან. აქ ეძ-ლევა მას სამუალება უფრო მეტად ჩაულრმავდეს თავის თავს, უფრო მეტად კონცენტრირდეს და ამ სიღრმიდან, ამ ინდივიდუალური სულიერი სივრცი-დან მეტი და მეტი გამოიტანოს ზედაპირზე.

თემურ, ჩემს ნერილს ბოლოს ისევ შენთან ერ-თად დაგასრულებ, ვიცი, გული ბევრ რამეს“ გიგ-რძნობს, დაუინგბული მზერა ხედავს და უყრი ის-მენს“ და არსებობს ის სარკმელიც, ხან ღია, ხან და-ხურული...


„ერთი სარკმლით შეიცნობა მთლიანად სახლი... მივჩერებივარ მე ერთ სარკმელს, მინდა გავიგო-რითი ჰავას ის სხვებს...“

აქ რაკურსი თავად მკითხველმა აირჩიოს - შიგ-ნიდან გარეთ თუ გარედან შიგნით.

რობერტ მესენჟერი

# „უბადრუკი ფარისეველი“

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ფილიპ ლარკინმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ლექსების მხოლოდ ოთხი მომცრო კრებული გამოაქვეყნა. სამ მათგანში ნამდვილი შედევრებია თავმოყრილი. თითოეული გვერდი - რომელიც უმრავლეს შემთხვევებში თითო ლექსს მოიცავს - უჩვეულო ოსტატობისა და ფანტაზიის ნაყოფია. ერთხელ კინგსლი ემისს ვაუმა ურჩია, ყოველ სალამოს ლარკინის ორი ან სამი ლექსი წაეკითხა. მალე ემისს სალამოობით ლარკინის ლექსების კითხვა ჩვევად ექცა და დიდ სიამოვნებასაც ანიჭებდა. ლარკინის ლექსები ლაკონიურობით ყველაზე მეტად ჩეხოვის მინიატურებს წააგავს.

ფილიპ ლარკინი ბიბლიოთეკარი იყო, პროფესიონალი პოეტი არასოდეს ყოფილა. პედაგოგიურ მოღვაწეობას არ ეწეოდა, არ მიუღია სტიპენდიები და არ უცხოვრია საგანგებოდ გამოყოფილ რეზიდენციაში. სტივენ სპენდერისა და ტედ პიუზისგან განსხვავებით, ლარკინს მონანილება არ მიუღია გლობალურ კულტურულ მოგზაურობებში. საჯარო გამოსვლებს თავს არიდებდა და არც ლონდონში ჩადიოდა ლიტერატურულ სალამოებზე დასასწრებად. მაგრამ თუკი სიცოცხლის განმავლობაში

ლარკინს ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო ლიტერატურულ სამყაროსთან, მისი სიკვდილის შემდეგ ვითარება შეიცვალა. გამოიცა ლარკინის Collected Poems და ვრცელი Complete Poems. მათში დასტამბულმა გამოუქვეყნებელმა ნანარმოებებმა, ჩანაწერებმა და ვარიანტებმა 640 გვერდით შეავსეს ლექსების ოთხმოცდაათიოდე გვერდი, რომლებიც ლარკინმა თავის სიცოცხლეში გამოაქვეყნა. გამოიცა ასევე, აღრეული თხზულებების ორი ტომი, სამი ბიოგრაფია და კორესპონდენციების სამი მსხვილი ტომი. კონგრესის ბიბლიოთეკაში ინახება ორმოცდახუთი ტომი, სახელწოდებით Larkin, Philip-Criticism and Interpretation. და ეს ყოველივე ლარკინის მძიმე არტილერიაა.

მას შემდეგ, რაც ენტონი თუაიტმა 1992 წელს გამოაქვეყნა ლარკინის Selected Letters, ხოლო მომდევნო წელს პოეტის ოფიციალური ბიოგრაფია დაწერა ენდრიუ მოუშენმა, პოეტის ხასიათთა და შეხედულებებით დაინტერესდნენ კრიტიკოსები და მეცნიერები ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს. გამოითქმის სრულიად განსხვავებული თვალსაზრისები. ბევრი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ლარ-

კინი ქალთმოძულე ან რასისტი იყო, სხვები კი, მას თავაზიან კოლეგად და ერთგულ მიჯნურად მოიხსენიებენ. პოეტის შინაგანი სამყაროს წვდომისთვის ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს. პოეზია უფრო ძველია, ვიდრე ცივილიზაცია, მაგრამ უკანასკნელი ორმოცდათი წლის განმავლობაში ის თითქმის დასამარტი. მხოლოდ მცირერიცხვანმა პოეტებმა შექმნეს ღირებული ქმნილებები ამ პერიოდის განმავლობაში, რომელთა შორისაც ლარკინი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მას შემდეგ, რაც ის აღარ არის ოცდაათი წელი გავიდა და მისი ლექსების წაკითხვისას ვხვდებით, რაოდენ დიდია პოეზიის გავლენა ჩვენს მეხსიერებასა და ნარმოსახვაზე. დღეს თითქმის არ არსებობს ლექსები, რომლებიც გამახსოვრდება, მაგრამ ლარკინის ლექსები ასეთი არაა. კარგად მახსოვს სტრიქონები, რომლებიც გავხვდება ლექსში *Self's the Man:*

მამაკაცმა შეირთო ქალი, იმის შიშით, რომ არ  
დაეკარგა,

და ახლა მთელ დროს მას უთმობს.

სამსახურში ყურყუტის ფასად აღებულ ფულს ცოლს უხდის, თითქოს მისი ვალი ჰქონდეს,  
ცოლი კი ამ ფულს ამაყად ხარჯავს  
ბავშვების ჭინჭებზე, სამრობსა  
და ელექტროლუმელზე.

მახსოვს, როდესაც ამ ლექსს ვკითხულობდი, ჭინჭებზე “გული ამიჩუყდა.

ჯერჯერობით, სანამ ლარკინის შემოქმედებით მემკვიდრეობის სამი მსხვილი ტომი იბეჭდება, ხელმისაწვდომია ფაბერის მიერ პატარა ფორმატით გამოცემული სამი შესანიშნავი კრებული: *The Less Deceived* (1955), *The Whitsun Weddings* (1964) და *High Windows* (1974). შეიძინეთ ისინი, ჩაიდეთ პიჯაკის ჯიბეში და თავისუფალ დროს იკითხეთ. მოგერჩენებათ, რომ ცხოვრება უფრო მშვენიერია. სამაგიეროდ, სიამოვნებას ნამდვილად არ მოგანიჭებთ თითქმის შვიდასგვერდიანი ტომის - *Philip Larkin: Letters Home* - კითხვა. ის შედგება ოთხი ათასი წერილისა და ბარათისგან, რომლებსაც ლარკინი სწერდა თავის მშობლებს 1944 წლიდან 1977 წლამდე.

ზოგადად, ლარკინს წერილების წერა უყვარდა და მათში, ერთგვარად, სხვადასხვა როლებს ირგებდა ხოლმე: კინგსლი ემისის ძმაკაცად “მოჰქონდა და თავი და, იმავდროულად, წერილობით ეარშიყებოდა ემისის მრავალშვილიან ცოლს, პილის; ბობ კონკვესტს ეჭორავებოდა და პორნოგრაფიულ წერილებს სწერდა; კოლინ განერისადმი გაგზავნილ წერილებში რეაქციონერ პოლიტიკოსად ნარმოვიდება, ბარბარა პიმის ამხნევებდა, როგორც მისი თანამიკალმე; ხელოვნების ისტორიკოსს, ჯუდი ეგერტონს არწმუნებდა, რომ მისი უახლოესი მეგობარი იყო. ყველაზე უფრო მრავალფეროვანია მისი მიმოწერა მონიკა ჯონსთან - ლარკინის მრავალწლიან საყვარელთან და არაოფიციალურ ცოლთან. პოეტი გაცილებით ლალად გრძნობდა თავს, როდესაც სიყვარული სიტყვიერად უნდა გამოეხატა და არა ფიზიკურად, თუმცა, ჯონსისადმი გაგზავნილი წერილებში ჩანს, რომ ის არცერთ ასპექ-

ტში არ აკლებდა მცდელობას. თუაიტის მიერ გამოცემული წიგნი იმასაც ადასტურებს, რომ გაზვია ადებულია შეხედულება ლარკინის, როგორც უკმენი და ახირებული კაცის შესახებ. მას უამრავი ერთგული მეგობარი ქალი ჰყავდა. უბრალოდ, ლარკინის კონსერვატიული შეხედულებები და ბუზლუნი - “Walt Whitman/ Was certainly no titman,” უცხოებოდა ლიტერატურული ისტებლიშმენტის სათუთ სმენას. თუეიტის წიგნი (რომელშიც რედაქტორს არავითარი ცვლილებები არ შეუტანია) ახლაც - ოცდახუთი წლის შემდეგ - ინარჩუნებს თავის ლირებულებას.

**Letters Home**-სგან განსხვავებით, თუეიტის **Selected Letters**-ში შესული არ არის ლარკინის მიერ მშობლებისთვის გაგზავნილი არც ერთი წერილი. რედაქტორისეულ ხაზგასმულად მოკლე შესავალში ნათესავია:

წინამდებარე წიგნში შესულია ფილი ლარკინის 700 წერილი, რომელიც მან ორმოცდათზე მეტი ადრესატს გაუგზავნა. კრებულის შედგენამდე ჩვენ გავეცანით მრავალ ათას წერილს, რომლებიც, გარდა ამ ადრესატებისა, მიემართებოდა სხვებსაც. ლარკინი მათ წერდა ახალგაზრდობიდან გარდაცვალებამდე (სამოცდასამი წლის ასაკში). წიგნში არ შევიტანე, ძირითადად, მშობლებისადმი და, კერძოდ, დედისადმი მიწერილი წერილები, რომელთაც ლარკინი რეგულარულად უგზავნიდა დედას (მას შემდეგ, რაც ლარკინის დედა 1948 წელს დაევრივდა, პოეტი კი 1950 წელს ბელფასტში გადასახლდა), ამ უკანასაწელის გარდაცვალებამდე (1977 წელს). კრებულში მათი შეტანა ნარმოუდგენლად გაზრდიდა მის მოცულობას”.

იმას, რასაც თუეიტი დელიკატურად მოგვანიშნებს, ააშკარავებს **Letters Home**: ლარკინის მიერ მშობლებისადმი მიწერილი წერილები უინტერესობა და არაფრით დაგვეხმარება პოეტის შინაგანი სამყაროსა და შემოქმედების გაგზებაში. 1940 წლიდან, როდესაც ოქსფორდში დაიწყო სწავლა, ლარკინი რეგულარულად სწერდა მშობლებს, მაგრამ ამ წერილების მიხედვით ვერ ნარმოვიდგენთ პოეტის ინტელექტუალურ ბიოგრაფიას ან მის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ლარკინი როგორც მწერალი ადრე ჩამოყალიბდა. გამომცემლობა *Fortune Press*-მა მისი ლექსების კრებული *The North Ship* გამოაქვეყნა 1945 წელს, ხოლო რომანი *Jill* - 1946 წელს. მომდევნო წელს ფაბერმა გამოსცა მისი მეორე რომანი *The Girl in Winter*, რომელიც კრიტიკოსებმა მოინონეს. 1948 წლის იანვარში მან ფაბერის გამომცემლობას გაუგზავნა ლექსების მეორე ტომი, სახელწოდებით *In the Grip of Light*, მაგრამ 1948 წლის თებერვალში ფაბერმა პოეტს დაუბრუნა ხელნაწერი. ასევე მოიქცნენ სხვა გამომცემლობები. ამ მარცხმა სერიოზული დაღი დააჩნია მის ცხოვრებას. თავის წერილებში პოეტი მხოლოდ მოკლედ საუბრობს იმდეგაცრუებისა და სევდის შესახებ. ამ განცდების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ისიც, რომ მარცხმა მამამისის გარდა იცვალა ნალელის ბუშტის ნარუმატებელი ოპერაციის შედეგად. ამასთან, მშობლებისადმი მიწერილ წერილებში პოეტი მხოლოდ გაკვრით ეხება მისი

თვის უსიამოვნო საკითხებს.

მამის გარდაცვალების შემდეგ ლარკინი შინ, ქვენთოში დაბრუნდა და აქ დედასთან ერთად ორი წელი დაყო. წერდა ცოტას, რის მიზეზადაც მამის სიკვდილს მიჩნევენ, მაგრამ, შესაძლოა, პოეტზე დამთრგუნველ ზეგავლენას ახდენდა დედასთან ერთად ცხოვრება და სამსახური (ბიბლიოთეკაში), რომელიც არ მოსწონდა, ასევე - დაეჭვება საკუთარ შესაძლებლობებში, რაც მოჰყვა In the Grip of Light-ის მარცხს. 1950 წელს ლარკინმა თავი დააღნია ოჯახურ უსიამოვნებებს იმის წყალობით, რომ მუშაობა დაიწყო ბელფასტში, სამეფო კოლეჯის ბიბლიოთეკაში. მან სასიყვარულო ურთიერთობა გააბა მონიკა ჯონსთან და ხშირად სწერდა მას. წერილებში პოეტი მიმოიხილავს წაკითხულ წიგნებს (უზიარებს მონიკას თავის შთაბეჭდილებებს და ცოტათი ტრაბახობს კიდეც) და აღიარებს, რომ ფაბერთან განცდილი მარცხის შემდეგ სურს, დამოუკიდებლად გამოსცეს თავისი წიგნი. ის ასევე კვლავაც სწერს დედას. 5 წიგნმბერს, კვირას, ჯერ კიდევ ბელფასტში ყოფნისას, ლარკინი სთხოვს დედამისს, ფრთხილად შეარჩიოს კომპანიონი ქალი (კომპანიონის შერჩევა ძალზე რთული და საფრთხილო საქმეა!), იყიდოს მყუდრო სახლი ( ვში-შობ, რომ ნებისმიერ სახლში ყოველთვის იქნება რამენაირი ხარვეზები"), და კარგი ავეჯი. ამ კვირაში ახალი არაფერი მომხდარა", განაგრძობს ის:

კოსტიუმი შევუკვეთე და საშობაოდ, ალბათ, მზად იქნება, თუმცა, დარწმუნებული არა ვარ. სუთ-შაბათ სალამოს უნდა წავიდე წვეულებაზე და შევხვდე იმ ადამიანებს, რომელიც უნინ მომწონდნენ. ღმერთო ჩემო! რატომ არ შეიძლება, რომ გულ-წრფელად გუთხრა ყველაფერი, რასაც მათზე ვფიქრობ? გუშინ გრემი, ბრედო, ვილაც ტერი და მე ლისბერნში წავედით - დაახლოებით 7 თურვა მილი ვიარეთ. ბრედლიმ და მე ღამე იქ გავათიეთ. კარგი იყო, მაგრამ... როგორ მომწინდა. ერთად გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ ისევ მარტო დარჩენა მომინდა. რაც შეეხება ჩემს ახალ ცხოვრებას", ერთი შეხედვით, არაფერი უჭირს, მაგრამ, ზოგადად ცხოვრებაა აუტანელი. უბედური არ ვარ, თუმცა ამ საკითხზე ლაპარაკი არ მსურს".

აი, ასეთ წერილებს უგზავნიდა ლარკინი დედამისს ყოველ კვირას. საბედნიეროდ, მათში არ გეხვდება საალერქო სიტყვები - ლარკინი დედამისს ჩემო კარგო ბებრუხუნა", ასე მიმართავდა. თვით წიგნის რედაქტორი ჯეიმს ბუთი აღიარებს ამ წერილების ბანალურობას (ამბობს, რომ ეს წერილები უფერულია" და, ძირითადად, ყოფით საკითხებს ეხება"). ამასთან, ბუთი აკრიტიკებს თავის წინამორბედს, თუეტს, იმის გამო, რომ ამ უკანასკენლს ყურადღებიდან გამორჩა ლარკინის კორესპონდენციის ყველაზე ინტიმური და საინტერესო ნაწილი, რომელიც სამუალებას გვაძლევს, ჩავნედეთ პოეტის ცხოვრების ტრაგიულ არსს". ეს სრული უაზრობაა, ლარკინის ცხოვრებაში არაფერი იყო ტრაგიული, ხოლო მისი ყველაზე უფრო ინტიმური და საინტერესო კორეპონდენცია მონიკა ჯონსთან გაგზავნილი წერილებია.

ლარკინი ჯონსს სწერდა:

მთელი დილის განმავლობაში შინ გასაგზავნ წერილებს ვწერდი, რაც ზოგჯერ ძალიან მომაბეჭრებელია. ამის შემდეგ მთელი დღე ამაოდ მეკარგება ხოლმე. დედაჩემის მცდელობები, იპოვოს კომპანიონი ქალი, ისე, რომ არც ერთი ჩვენგანი არ შეგვანუხოს, განწყობილებას მიმდიმებს. როდესაც მასთან ერთად ცხოვრობდი, ერთი სული მქონდა, მოვშორებოდი - ეს ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილება იყო ჩემთვის, როგორიც სუნთქვაა - მაგრამ ახლა, როდესაც შორს ვარ, მანამებს აზრი იმის შესახებ, რომ დედა იძულებულია, შეეგუოს კომპანიონს, თუმცა, სინამდვილები სრულიად უცხო ადამიანთან ცხოვრება ისევე მტანჯველია მისთვის, როგორც - ჩემთვის."

აქვე ლარკინი პატივებას ითხოვს დეპრესიული განწყობილების გამო. წერილი საინტერესო ხდება, როდესაც პოეტი საუბრობს მისთვის მართლაც მნიშვნელოვან საკითხებზე:

იცი, საყვარელო, ბოლოს და ბოლოს, შევარჩიე 20 ლექსი, რომელიც საუკეთესოა 1945 წლის შემდეგ დაწერილ ლექსებს შორის, და მინდა გამოვცე. ეს ლექსები ჩემთვის იგივეა, რაც ძველი მეგობრები, ძველი ერთგული მეგობრები... სირთულე ისაა, რომ არ ვიცი, ვის გავუგზავნო ჩემი წიგნი - რეალურად, 10 ახლო მეგობარზე მეტი არა მყავს და ეჭვი მეპარება, რომ კიდევ ოცდაათ ეგზემპლარს რეცენზენტებისთვის გავიმეტებ: მათ ბლეკულის წიგნის მაღაზიაში გავგზავნი და შევუთვლი, რომ უფასოდ მისცენ წიგნი ყველას, ვინც თავაზიანად დაელაპარაკება გამყიდველებს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მეყოფა თუ არა ფული, რომ ბეჭდვის საზღაური გადავიხადო. მთავარია, ისინი ბელფასტს არ გავაკარო".

ხუთი წელი, რომელიც ლარკინმა ბელფასტში გაატარა, მისი ცხოვრების ერთ-ერთი უძედნიერესი პერიოდი იყო - წლები, როდესაც ის ჩამოყალიბდა როგორც მწერალი, როდესაც უარი თქვა მხატვრული პროზის წერაზე (სამჯერ განიცადა მარცხი მესამე რომანის წერისას), შემოტრიალდა პოეზიისკენ და გათავისუფლდა ლიტერატურული გავლენებისგან (კერძოდ, იუტსის გავლენისგან). არავერი ეს არ ჩანს Letters Home-ში. ამის ნაცვლად ეცნობით ბანალურ ისტორიას ახალგაზრდა კაცისა, რომელიც მორჩილ ვაჟიშვილად წარმოგვიდგენს თავს. მწერლად ჩამოყალიბების ისტორია ალბეჭდილია Letters to Monica (2010)-ში, რომელიც ასევე თუეიტმა გამოსცა. დეპრესიისა და სპირტიანი სასმელებისგან გამოთაყვანებული მონიკა (რომელმაც არც კი იცოდა, სახელდობრ, რა ინახებოდა მის არქივში) ცოცხალი იყო, როდესაც თუეიტი გამოსცემად ამზადებდა Selected Letters-ს. მონიკას სიკვდილის შემდეგ (2001 წ.) მოიძებნა მისი უამრავი წერილი ლარკინისადმი. Selected Letters-ში მეაცრდა ულმობელ პირის გამოსცა და საინტერესო წერილის შემდეგ თუეიტი ცდილობს, Letters to Monica-ში ლარკინი ნაზდა ალერგიას მიჯნურად წარმოაჩინოს: იმის გამო მიყვარხარ, - წერდა ლარკინი მონიკას 1955 წელს, - რომ არ სჩადი არაფერი, რისი ჩადენაც არ ლირს. მაგალითად, არ წერ ლექსებს, რომელიც არ მომენტება! არ კითხულობ ნაწარმოებებს, რომ-

ლებიც, ჩემი აზრით, არ ვარგა! არ იახლოებ [ფილიპ კოლინზს], მონადირებებს", მის მუდის, ბარკერს! უბრალოდ, ლირსეული ადამიანი, რთული, იდუმალი არსება ხარ".

და მანც, ამ წერილებში ლარკინი თვინიერი მიჯნურის სახით არ გვევლინება. ის ხან ჭირვეულობს, ხან კი ებოდიშება სატრფოს; ზოგჯერ მკვახედ მიმართავს, ზოგჯერ - ძალზე სერიოზულია, ზოგჯერ კი - საკუთარ აზრებსა და განცდებშია ჩაფლული. ჩანს, რომ ბოლომდე გულნრფელი არ არის (მაგალითად, ემისისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც ამ წერილებშითავს იჩენს, გაცილებით უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ემისთან საჯაროდ გაცხადებული მეგობრობა): ვნანობ, რომ ჩემი სიტყვები არასწორად გაიგე: სინამდვილეში არ მინდოდა, შენთვის გული მეტყინა, - სწერდა ლარკინი მონიკას 1950 წლის ოქტომბერში, - ნუ დაგავინცდება, რომ თავდაჯერებული მამრი არ ვარ: ალბათ, აჯობებდა, ვყოფილიყავი".

პოეტის წერილები მონიკასადმი ძალზე სიღრმისულად ასახავს მის შინაგან ცხოვრებას. ამ წერილების ერთ-ერთი თემას სიძულვილი საკუთარი ოჯახის მიმართ. ამ თემას მოუშენის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაშიც ვხვდებით, რომელშიც ჩართულია ლარკინის (1950-იანი წლების დასაწყისით დათარიღებული) ავტობიოგრაფიული ჩანაწერი:

როდესაც ჩემს ბავშვობას ვიხსენებ, ძირითადად, შიშის და მოწყენილობის განცდა მეუფლება... დედაჩემი განუწყვეტლივ უჩიოდა თავის უსიხარულო ცხოვრებას, იმას, რომ სათანადოდ ვერ უძღვებოდა ოჯახს და ძრნოლით ელოდა ომის მოახლოებას. ეს სულიერი მდგომარეობა ალბათ, მისი ასაკით იყო გამოწევული, მაგრამ მონოტონური მონოლოგი, რომლითაც ის მამაჩემსა და ჩვენ მოვგმართავდა საუზმობისას, სადილობისას და ვახშმობისას, ეჭვებსა და შიშს აღვიძრავდა. ამის განმეორებას არაფრის გულისთვის არ ვისურვებდი. ერთხელ, სადილობისას, გამოაცხადა, თავის მოკვლას ვაპირებო. შინიდან გარეთ გამოსვლისას ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უფრო გრილ, სუფთა, ჯანსაღ და სასიამოვნო ატმოსფეროში ვექცეოდი. მეგობრები გარეთ რომ არ მეპოვა, ჩემი ცხოვრება აუტანელი იქნებოდა.

მამაჩემის სულიერი მდგომარეობა იმხანად ძალზე მძიმე იყო. დედაჩემმა სახლი ისეთ ადგილად გადააქცია, სადაც მამა ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მისი პირველი შვილი (ჩემი და), მამაჩემის აზრით, გონებრივად არასრულფასოვანი იყო. ამიტომ არანაირი იმედი არ ჰქონდა, რომ ოდესმე გათხოვდებოდა და თავისუფლებას მოიპოვებდა. მეორე შვილი, ანუ მე, საკუთარ სამყაროში ცხოვრობდა და ყურადღებას არ აქცევდა მამის მორიდებულ მცდელობებს, დაეახლოებინა შვილი... მახსოვს, ერთხელ ვუთხარი, საბოლოო ჯამში, ბედნიერი ცხოვრება გქონდა-მეოქი. მამაჩემის სარკასტულმა სიცილმა კი მიმახვედრა, რა აზრის იყო ამის თაობაზე. ჩემი

მხრივ, სისულელე იქნებოდა, სინანული გამომეთქვა მისი ქორწინების გამო, მაგრამ ვერასოდეს ვხვდებოდი, რაში სჭირდებოდა ცოლი და, საერთოდ, ოჯახი. ყველაზე მტერ სიამოვნებას მარტოობა ანიჭებდა. ადამიანებთან ურთიერთობა უჭირდა და ამის გამო ოჯახში დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა, რაც, თავის მხრივ, ამძიმებდა მის ცხოვრებას. შედეგად, ორი რამ მტკიცედ ვირწმუნე: 1. ადამიანებმა ერთად არ უნდა იცხოვრონ და 2. ბავშვები მშობლებს ადრეულ ასაქშივე უნდა მოაცილონ".

**Letters Home**-ის შესავალში ბუთი წერს, რომ ეს ჩანაწერი არასწორ შთაბეჭდილებას გვიქმნის ლარკინის ოჯახური ცხოვრების შესახებ. არა მგონია. პოეტი ამასვე სწერდა მონიკა ჯონის თავისი მშობლებისა და დის შესახებ და ზოგადად, ოჯახისა და მოვალეობების თაობაზე. მაგალითად:

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ოჯახი დამთრგუნველ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. ოჯახის შექმნა ნიშნავს მშვიდი, უსაფრთხო სამყაროს დატოვებას, რათა შევაბიჯოთ რეალურ" ცხოვრებაში, სადაც ბავშვები უნდა ალვზარდოთ (რაც თავისთვად არც ისე სასიამოვნო საქმიანობაა), რათა მათ იცოცხლონ ჩვენი სიკვდილის შემდეგ; სადაც მოხუცებულებს უნდა მოვუაროთ არა იმიტომ, რომ ეს მოგვნონს, არამედ იმის გამო, რომ ისინი ავადმყოფები არიან. არ მომწონს, რომ ჩემი ოჯახის წევრებს არა აქვთ ფიზიკური და ფინანსური შესაძლებლობები იმისთვის, რათა საკუთარ თავს მიხედონ".

ასევე:

არ მიყვარს ჩემი ოჯახი და არც არასოდეს მიყვარდა. ყოველ სამ საათში ერთხელ ოჯახის წევრებს სიგიურმდე მიყვავარ, იქამდე, რომ ლამის ყველაფერი დავამტკრიო და გინება დავინცო. ეს საშინალად მომაბეჭრებელია".

არაგულნრფელი ოჯახური ურთიერთობები, ასევე - თვალთმაქცობის (რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას ნამოადგენდა ლარკინის მიერ შინ მიწერილი ნერილები) აუცილებლობა მას გამუდმებით ანამებდა:

ხშირად განვიცდი უსიამოვნო გრძნობას, რომელიც, ალბათ, სიბრალულის საკმაოდ დამამცირებელი სახეობაა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ის მასალად გამოვიყენო ჩემი ნანარმობებისთვის, ცვდილობ, არ ვიფიქრო მასზე და თავს ვეუბნები, ამაზე წერა არ ღირს-მეთქი. მაგალითად, როდესაც მასხენდება დედაჩემის ცხოვრების ზოგიერთი მხარე ან მამაჩემის ავადმყოფობა, გული მტკივა და შეძლებისდაგვარად გავურბი ამ მდგომარეობას. ასეთ მომენტებში ჩემი ეგოიზმის გამო დანაშაულის შეგრძნება მაქვს და შფოთვა მიპყრობს, რადგან ვიცი, რომ მართლაც დამნაშავე ვარ. უნდა მეთქეა: დედა, ნამოდი და ჩემთან დასახლდი ბელფასტში-მეთქი, ან უნდა გამემხილა მამაჩემისთვის მისი დაავადების არსი. ეს შემიმსუბუქებდა სინდისის ქენჯნას,

რომელსაც ახლა განვიცდი. რა თქმა უნდა, ახლა ამამა თითზე კინანი, მაგრამ ვიცი, რომ არასწორად მოვიქეცი და ახლა ჩემი ტანჯვეით მსურს დანაშაულის გამოსყიდვა. მაგრამ რა ვქნა - ასეთი ვარ და ვერაფერს გავაწყობ".

ის განუწყვეტლივ უბრუნდება ამ გრძნობას: თუკი ასე ვიტანჯები, რატომ არ ვეხმარები მას? რატომ? რატომ? რატომ? უბადრუკი ფარისეველი ვარ. უბადრუკი ფარისეველი. უბადრუკი ფარისეველი".

თავის ოჯახთან თანაცხოვრების სურვილის უქონლობა ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ 1954 წელს ლარკინი ყოფილი მისამართიდა, დაეწყო თუ არა ბიბლიოთეკარად მუშაობა ჰალის უნივერსიტეტში, თუმცა, ეს სამსახური მისთვის მისაღები იყო - როგორც პროფესიული, ისე ფინანსური თვალსაზრისით. ლარკინი სწერდა მონიკა ჯონსს:

ნება მომეცი, აგინერო ჩემი ოჯახური სიტუაცია - გასულ შობას და ალდგომას ჩვენს ოჯახში ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო: ალბათ, იმის გამო, რომ დედა მიჩინებდა, საქმეს მოჰკიდე ხელიო". თავს ვუთხარი: თუკი გსურს, რომ მშვიდად იცხოვრო, არასოდეს დაბრუნდე ინგლისში, სანამ დედა არ მოკვდება-მეთქი... გულწრფელად გითხრა, არ ვიცი, რა მინდა, მაგრამ კარგად ვიცი, რა არ მინდა! დედაჩემის სიახლოვე მთრგუნავს. დანაშაულის, სიბრალულის, პასუხისმგებლობის, ასაკისა და სიკვდილის წინაშე შიშის გრძნობა მანამებს".

აქ ლარკინი, რა თქმა უნდა, ცოტათი თვალთმაქცობს". მან მშვენივრად იცოდა, რომ ჰალის უნივერსიტეტში მუშაობისას გაცილებით ახლოს იქნებოდა მონიკასთან (რომელიც ლესტერის უნივერსიტეტში ასწავლიდა), რაც წარმოჭრიდა საკითხს ქორნინების შესახებ, საითკენაც მონიკა მიისწრაფვოდა.

ლარკინმა დაიწყო სამსახური, თავი არიდა ქორნინებას და 1955 წელს, მას შემდეგ, რაც *The Spectator*-ში გამოაქვეყნა ლექსი *Church Going*, შემდეგ კი უკვე - კრებული *The Less Deceived* - სახელი გაითქვა. ის აღიარებულ იქნა ომისშემდგომი ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოეტად - ავტედით წინასწარმეტყველად განნირული ქვეყნისა, რომელმაც მზერა უნდა მიაყროს წარსულს, რადგან მომავალი არა აქვს: მინდვრებზე ეშვება არნაული ბინდი, არ ანთებს ლამპებს".

ჯეომს ბუთი ალლოიანი კრიტიკოსია და ლარკინის ცხოვრებას და შემოქმედებას კარგად იცნობს. თუ ესურთ გაეცნოთ საინტერესო ინფორმაციას ჰალელი ბარდის შესახებ, ნაიკითხეთ ბუთის *Philip Larkin: Life, Art and Love* (2014). ამასთან, *Letters Home*-ში მკითხველებს იზიდავს ის, რომ ისინი ეცნობიან პოეტის დამოკიდებულებას დედისა და დის მიმართ; ქირქილებენ იმის გამო, რომ ლარკინს გარკვეული მიდრეკილება ჰქონდა პორნოგრაფიისადმი, დღესასწაულებისა და მაღაზიებში სიარულისადმი. ბუთისეული ბიოგრაფიისთვის დართულ პოსტკრიპტუმში გვხვდება საინტერესო პასაუი, როდესაც რედაქტორი კიცხავს ლარკინის კიდევ ერთ სატრფოს, მეოვე ბრენანს. ეს ის ქალი იყო, რომელსაც ბუთი დაეხმარა, დაეწერა *Philip Larkin I Knew* (2002). ბრენანი ლარკინის საზოგადოების ვიცეთავმჯდომარედაც იქნა არჩეული: სწორედ 2003 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ბრენანმა მოინდომა მოეწყო საზოგადოების ექსპურსია სკარბოროში, იმ მაღაზიების დასათვალიერებლად, სადაც ის და პოეტი ერთად დადიოდნენ 1960 წელს. ეს იდეა ბრენანის სიკვდილის შემდეგ განხორციელდა". შევიძლიათ წარმოიდგინოთ ლარკინის რეაქცია, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო? 1982 წელს პოეტი ჯუდი ეგერტონს აღუნერდა იეიტსის



ტანჯვას, როდესაც მის ფანჯრებქვეშ ათი ათასი ბოისკაუტი The Lake Isle of Innisfree-ს გაჰყვირდა: საშინელება იყო. ახლა, იმედი მაქვს, რომ სანამ მოვკვდები, იმავეს ჩაიდენს ათასობით სკაუტი გოგონას.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიხარია, რომ წავიკითხე Letters Home, რადგან მასში აღწერილია ერთი უკვდავი ეპიზოდი: ნიულენდ-პარკის 105-ე ნომრიდან (ამ სახლში ცხოვრობდა პოეტი ჰალში) ფილიპ ლარკინის საზოგადოებამ 2004 წელს, მონიკა ჯონსის სიკვდილის შემდეგ, ნამოილო მისი წინდები, რომლებიც ფრთხილად ამოკემსეს სხვა ფერის ძაფით, რომელსაც აქა-იქ კიდევ ერთი ფერი შეაშველეს. იხ. ტაბულა 5A". სასაცილოა, მაგრამ წიგნში მართლაც ნახავთ ლარკინის წინდების ფერად ფოტოსურათს.

Letters Home-ის გამოცემისთანავე გამოქვეყნდა სილვია პლატთან მინერ-მონერის მეორე - ჭარბად ანოტირებული - ტომი. ამ ორ პოეტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს: პლატის ცხოვრება ტრაგიკულად ხანმოკლე იყო, ხოლო თბზულებები - მეტ-ნაკლებად დაუსრულებელი. ის, აგრეთვე, ფერინი მის დიად წმინდანად იქნა აღიარებული. ლარკინის თბზულებები დასრულებულია. მისი შემოქმედებითი ნიჭი ამონიურა გარდაცვალებამდე თითქმის ათი წლით ადრე - და სწორედ ამის გამო თქვა უარი პოეტ-ლაურეატის წოდებაზე 1984 წელს. ამასვე ადასტურებს მისი ხელნაწერები. ლარკინის უკლებლივ ყველა თბზულება შესულია გამოქვეყნებულ ტომებში. თუეგმა დამატებით გამოაქვეყნა კიდევ სამოცდართი ლექსი, რომლებიც Collected Poems-ის ორ გამოცემაში შევიდა.

გავიაზროთ ფილიპ ლარკინის ცხოვრების გზა. ის იყო წარმატებული ბიბლიოთეკარი (თუმცა კი არ უყვარდა თავისი პროფესია) და ძალზე წარმატებული პოეტი, მაგრამ საზოგადოებაში არავითარ როლს არ ასრულებდა. ტ.ს.ელიოტისგან განსხვავებით, რომელიც ინგლისურენოვან სამყაროში სამათნელებულზე მეტი ხნის განმავლობაში მაღალი კულტურის სიმბოლოს წარმოადგენდა, ლარკინი გაურბოდა საზოგადოებას და პოპულარობისკენ არ მისწრაფოდა. ლარკინს არავითარი ილუზია არ ჰქონდა ლიტერატურასა და საზოგადოებაში თავის ადგილთან დაკავშირებით და, შესაძლოა, საერთოდაც არავითარი ილუზია არ გააჩნდა. ის წერდა ისე, როგორც შეეძლო; ცხოვრება ისე მოიწყო, რომ რეალური სამყაროს შორიახლოს იმყოფებოდა. 1953 წლით დათარიღებულ წერილში ლარკინი თავის ერთ-ერთ სატრფოს, პეტსი სტრენგს სწერდა: მინდა დავწერო 75-100 ახალი (ძველ ლექსებზე უკეთესი) ლექსი, ისეთ თემებზე, როგორებიცაა სიცოცხლე, სიკვდილი, დრო, სიყვარული და ბუნება, და დავწერო ისე, როგორც სხვა პოეტებს არ დაუწერიათ". მან ამ მიზანს მიაღწია.

ლარკინის ნანარმოებების უმრავლესობა, რომლებიც ასე ხშირად გვახსენდება დღეს, განსაკუთრებული ინტონაციით გამოირჩევა: რატომ უნდა ჩაერიოს გომბეშო / ჩემს ცხოვრებაში?"; ფოსტალიონები ექიმებივით დადიან სახლში";

შენი დედის და მამის დედ-მამასაც..."; დაიმახსოვრე: წიგნები - ნაგავია"; ამგვარი უმეცრება არასოდეს ყოფილა"; არსად არაფერი ხდება, მაგრამ რაღაც მაინც ხდება"; სიცოცხლე ნელი სიკვდილია". პირქში, იმედდაცარგული, მრისხანე: ანტიმოდერნი. მიუხედავად ამისა, ლარკინის ქრესტომათიაში ის ხან დალაი-ლამად წარმოგვიდგება ( ფრთხილად უნდა მოვექცეთ / ერთმანეთს. სიკეთე უნდა ვთესოთ, / სანამ დრო ჯერ კიდევ გვაქს") და ხან ერიკა ჯონგს ემსგავსება ( როდესაც ვხედავ გოგონას და ბიჭს/ და ვვარაუდობ, რომ ბიჭი ხმარობს გოგონას, გოგონა კი / სვამს აპეს ან იყენებს სხვა კონტრაცეპტივებს/ ვიცი, რომ ეს დიდებული რამაა"). მისი დიდებული პოეზია უაღრესად ფართო დიაპაზონისაა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვით პოეტი დიდებული პიროვნება იყო, მით უმეტეს, რომ ის ხშირად დასცინოდა თავის თავს. მაგალითად, 1972 წელს ლარკინი სწერდა მონიკას:

გუშინ მთელი დღე ვმოგზაურობდი. ხელში პევზნერი მეჭირა, თან რადიოს ვუსმენდი. სასიამოვნო ამინდი იყო. მნიშვნელოვანი არაფერი გვინახავს - ბიბი, პოკლინგტონი, ჰაგეიტი და ასე შემდეგ. ეკლესიების ნახევარი დაკეტილი იყო. პევზნერის თქმით, პოკლინგტონში საუკეთესო შენობაა ხელოვნებათა ცენტრი - და თუ მას ნახავ, დარწმუნდები, რომ მართლაც ასეა. საოცრად მახინჯი ნაგებობაა. ფასადი 200 წლის წინანდელ კოტეჯებს მიუგავს. შემდეგ დავათვალიერე საკმაოდ ლამაზი ვიქტორანული სასაფლაო ბევერლიში".

1993 წლის 20 მარტს ალან ბენეტი<sup>3</sup> თავის დღიურში წერდა:

შაბათ საღამოს რიჩმონდში, გეორგიანულ თეატრში ვთამაშობდი. მაყურებელთა ნახევარს ქურთუები ეცვა. მეორე ნახევარმა მნიშვნელოვანი თანხა გადაიხადა იმისთვის, რომ შემდეგ მარკიზ ზეტლანდთან ერთად<sup>4</sup> ესადილა... ჩემთან არავინ მოსულა და სადილად არ მიუწნვევივარ. როგორც ჩანს, უბრალოდ, ტაკიმასხარად მიმიჩნევენ. ამიტომ, სანამ მაყურებელთა ნახევარი ზეტლანდთან ერთად სადილობდა, ლიმინგის ბარში დავჯექი... მართალი გითხო, აქ ყოფნა მერჩივნა, ამიტომ უკმაყოფილო სულაც არ ვარ. ვევდები, რომ ლარკინი ვით ვიქცევი - ესე იგი, ვაცხადებ, რომ რაღაც მენყინა, შემდეგ კი ვაღიარებ, ჩემი მდგომარეობით უკმაყოფილო სულაც არ ვარ-მეტქი".

ლარკინი ისეთივე ადამიანი იყო, როგორიც ჩვენი უმრავლესობაა. მაგრამ ის ისეთი დიდი პოეტი იყო, როგორიც არცერთი ჩვენგანი არ ვართ.

© The New Criterion, მაისი 2019

- 2 - იგულისხმება ამერიკელი პროზაიკოსი და პოეტი ერიკა ჯონგი (დაიბ. 1942 წ.).
- 3 - იგულისხმება გერმანული წარმომავლენის ინგლისელი ხელოვნების ისტორიკოსის, ნიკოლაუს პევზნერის (1902-1983) თბზულება: The Buildings of England.
- 4 - იგულისხმება მწერალი და მსახიობი (დაიბ. 1934 წ.).
- 5 - იგულისხმება ირლანდიის გენერალ-გუბერნატორი (1889 - 92) ლორენს დანდესი, გრაფი ზეტლანდი.

# არილი განვითარებულ თეატრი რეპერტუარი

ტელ: 577 747-719

ელ-ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)

